სახელმწიფო მინისტრი

მარტო გასაცნობად კი არა, დასახმარებლად

რუსთავის სააქციო საზოგადოება „აზოტი" მდიდარი ტრადიციებისა და დიდი შესაძლებლობების მქონე საწარმოა, რომლის ნაწარმზეც მოთხოვნილება მუდამ იყო და არის. მისი კოლექტივი თანდათან ძლევს პრობლემებს, უფრო მეტად ტვირთავს საწარმოო სიმძლავრეებს და ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვებასაც გეგმავს.

გუშინ „აზოტს" ეწვია საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი საგადასახადო შემოსავლების მინისტრთან მიხეილ მაჭავარიანთან ერთად.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა, იგი საწარმოს სულაც არ სწვევია მხოლოდ გაცნობის მიზნით. „აზოტი" მარტო იმით კი არ არის საინტერესო, რომ უშვებს მეტად საჭირო პროდუქციას, არამედ იმითაც, რომ, არსებული სიძნელეების მიუხედავად, ახერხებს აქ დასაქმებულ 3500 კაცს რეგულარულად გადაუხადოს ხელფასი, რაც დღეს, სამწუხაროდ, ქვეყნის საწარმოთა უმეტესობაში არ ხერხდება.

მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ „აზოტი" ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს, რადგან იგი ჯერ კიდევ ზარალიან საწარმოდ ითვლება. ამიტომ მას მუშაობაშიც, პერსპექტივის გათვლაშიც და ნაწარმის რეალიზაციაშიც ხელისუფლების დახმარებაც სჭირდება. „აზოტელებს" სახელმწიფო მინისტრის დახმარების იმედი აქვთ.

— ერთ კვირაში თურქმენეთში მივემგზავრები, — განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა, — სადაც ვეცდები მოვიძიო ბაზარი გვარჯილის გასასაღებლად, რომელსაც „აზოტი" უშვებს.

„აზოტისა" და შიდა ქართლის მრავალ პრობლემაზე, სამომავლო პერსპექტივებსა და უახლოეს მომავალში გასაკეთებელ-მოსაგვარებელზე იყო კონკრეტული მსჯელობა სამუშაო თათბირზე, რომელიც საწარმოში სახელმწიფო მინისტრის სტუმრობის შემდეგ გაიმართა.

საკუთარი ინფორმაცია.

ხვალ

ისრაელის ახალი პრეზიდენტი მოშე კაცავი საქართველოს მეგობარია

ედუარდ შევარდნაძე და ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცავი, თბილისი, 1998 წლის სექტემბერი.

1998 წლის 7 სექტემბერს ისრაელის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ტურიზმის მინისტრი მოშე კაცავი ჩვენს ქვეყანას ეწვია როგორც საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26-საუკუნოვან იუბილეზე ისრაელის სახელმწიფო დელეგაციის ხელმძღვანელი. მაშინ კაცავი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, სახელმწიფო მინისტრს, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. იყო ბორჯომში, გორში, მცხეთაში, რამდენიმე დღე დაჰყო აქ და... საქართველოზე შეყვარებული დაბრუნდა ისრაელში.

რამდენიმე თვის შემდეგ ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ მოშე კაცავის თელ-ავივში ჩაუტანა ფოტოსურათი, რომელზეც ედუარდ შევარდნაძე და კაცავი არიან გამოსახულნი. მასპინძელმა სხვა ქვეყნების პრეზიდენტების და სასულიერო მოღვაწეების სურათები მისწი-მოსწია და თავის კაბინეტში ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე დაჰკიდა ეს ფოტო...

დაწვრილებით ხვალის ნომერში.

სპარტაკ ძოწულია.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასულ კვირიდან დღემდე ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 3953 მკითხველი. მათ შორის, 57% აშშ-დან, 31% — საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №207 (3608) ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

გიხაროდენ!

ღვთითბოძებული ნიკა აბზიანიძე

პატივცემულო რედაქცია, თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი გახლავართ, ღმერთმა სიხარული ნუ მოაკლოს თქვენს თანამშრომლებს და სრულიად საქართველოს.

სამი წელი გავიდა, რაც ჩვენს ოჯახს დიდი უბედურება დაატყდა თავს: ავტოავარიის შედეგად დავკარგეთ ექვსი წლის საყვარელი დათო აბზიანიძე. აუტანელი და უსაზღვროა ჩვენთვის ეს უბედურება.

მაგრამ ღმერთმა ბოლომდე არ გაგვწირა და ამ უბედურების შემთხვევიდან სამი წლის თავზე, მაისის თვეში შვილმკვდარ მშობლებს — ჩემს ქალიშვილს ქეთინოს და სიძეს გია აბზიანიძეს შავგვრემანი და ჯანმრთელი ვაჟიშვილი შეეძინათ, პატარას ნიკოლოზი (ნიკა) დაარქვეს.

ეს ღმერთისგან მოძღვნილი სიხარული და შვება მალამოსავით მოეცხო ჩვენს ნაღვლიან ოჯახს.

ღმერთმა ახაროს საქართველოში ყველა გაჭირვებული.

ამრავლოს ქართველი ერი.

ბაბუა **ლევან კიკვიძე.**
თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

გვალვა

„და ბალახიც უქაროდ დუმს"

ოქროს დავარცხნილი კვადრატები — ასე ჩანს ვერტმფრენიდან.

მიწაზე ფეხს დაადგამ — სიყვითლე სივრცის როგორც გვალვის უძრაობა.

მკვდარი ყანები.

გვალვის მზე კისერსდამიზნებული გილიოტინასავით არის — ბედისწერასავით. ვერ დაემალები. ან სად უნდა დაემალო, როდესაც ირგვლივ მცხუნვარების მეტი არაფერია.

გონჯი პურის ყანის მეტიო, უნდა მეთქვა — გამეჩებული ციდა ღეროების სიყვითლე და გუდაფშუტა თავთავები — მოუსვლელად გამხმარი, მეჩხერი და გატიალებული.

„გვალვა — უწვიმობა" — სხვა არაფერი.

გვალვა და სხვა არაფერია შირაქის ველზე — არავინ და არაფერი მცხუნვარებისა და სიჩუმის გარდა: „და ბალახიც უქაროდ დუმს".

მაგრამ თუ ყურს დაუგდებ, ფსორიაზიანი მიწის ნაპრალებიდან ძალიან, ძალიან ყრუდ დარდიან გულისცემას გაიგონებ.

იხ. მე-2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 1 აგვისტო ქ. თბილისი

ლ. შერვაშიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული მეცნიერების განვითარებაში, შუა საუკუნეების სახვითი ხელოვნებისა და აფხაზეთის ქართული მონუმენტური ფერწერის ძეგლების მეცნიერულ შესწავლაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის რეგიონული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლეონიდე შერვაშიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

მილოცვა

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების დაარსების 150 წლის იუბილეს გილოცავთ.

ეს დღე საზეიმოა არა მარტო ამ საზოგადოების წევრთათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის, რადგან გეოგრაფიული საზოგადოება ქართველი ერისათვის უძველესი და უძვირფასესი ტრადიციების მქონეა.

განვლილი 150 წლის განმავლობაში თქვენი საზოგადოების თაოსნობით მრავალი ეროვნული მნიშვნელობის საქმე გაკეთდა.

ამ უძველეს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კერას უდიდესი წვლილი მიუძღვის გეოგრაფიული ცოდნის გაღრმავებასა და, საერთოდ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ათვისების ურთულესი პროცესის მოწესრიგებაში, სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის საქმეში, მასწავლებლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის კვალიფიკაციის ამაღლებაში.

ეს თარიღი, სხვა თარიღებთან ერთად, კიდევ ერთხელ შეახსენებს მსოფლიოს, რომ გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ისტორიაში საქართველოს თავისი ღირსეული ადგილი უჭირავს.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს და ვიმედოვნებ, რომ სახელოვან წინაპართა ტრადიციების მყარ საძირკველზე დაფუძნებული საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება კვლავ გააგრძელებს თავის საქმიანობას მშობლიური ქვეყნისა და ჩვენი მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

პალიტრა



ედმუნდ კალანდაძე, „საღამოს ზვინები".

აქცენტი

მეწარმეები ქრთამს „სიამოვნებით" იძლევიან

ამავე რუბრიკით გამოქვეყნებულ ჩემს წინა წერილში, რომელიც პრეზიდენტის იუმორნაკაზმი სიტყვებით — „თქვენ რა, რესტორნებში არ დადიხართ"? — დავასათაურე, ყველაფერი, რაც ჩრდილოვან ეკონომიკასთან დაკავშირებით მინდოდა მეთქვა, როგორღაც ვერ მოვახერხე და ერთგვარად გულნაკლული დავრჩი. ამაში მთავარმა რედაქტორმაც მხარი ამიბა და კიდევ ერთი წერილის დაწერა გადავწყვიტე.

დავიწყებ თუნდაც ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროთი, რომლის ამოუწურავ რეზერვებზე თათბირზე ედუარდ შევარდნაძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა. კერძოდ, როგორც მან თქვა, საქართველომ შეიძინა ახალი ფუნქცია — გახდა სატრანზიტო ქვეყანა, საიდანაც ბიუჯეტი დიდ შემოსავლებს ელოდება. მაგრამ მოლოდინი ერთია და რეალობა მეორე. თავის დროზე, როცა ამ სამინისტროს ფრიდონ ინჯია თავკაცობდა, პრეზიდენტის თხოვნით და რეკომენდაციით ბოჭკოვანმა კაბელმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორია გადაკვეთა. ველოდით, რომ ამ სფეროდან ბიუჯეტს გარკვეული შემოსავალი ექნებოდა, მაგრამ როგორც ახლა ირკვევა, თურმე იქიდან სახელმწიფოსი არაფერი ყოფილა. ამას იმიტომ ვამბობ, დასძინა პრეზიდენტმა, რომ მსგავსი „ჩრდილები", თუ ფხიზლად არ ვიქნებით, მომავალშიც გადაგვეღობება.

იხ. მე-3 გვ.

ექსპერტთა ანალიზით, ექვსი ძირითადი სახის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავლებმა შარშან ნავარაუდევი 1,7 მილიარდი ლარის ნაცვლად 667 მილიონი ლარი შეადგინა. იმ ერთ მილიარდ ლარზე მეტი სად წავიდა? თურმე ჩრდილოვან სექტორს შეემატა. და, რაც ყველაზე უარესია, — იმისათვის, რომ გადასახადი საფინანსო კონტროლის არეში არ მოხვედრილიყო, გადამხდელსა და გადასახადის ამკრეფს, ბიზნესმენსა და მაკონტროლებელს შორის მოხდა გარიგება....

გუშინ

დაიწყო რუსეთის სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია

რუსეთის რესურსამოწურული სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია დაიწყო თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში, რომელიც ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის გამგებლობაშია. ეს ტექნიკის სალიკვიდაციო სამუშაო ხორციელდება რუსეთ-საქართველოს შეთანხმებებისა და ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად. ჟურნალისტებისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა თანდასწრებით განხორციელდა სამი ერთეული ტექნიკის — ტანკის, ქვეითთა ჯავშნიანი მანქანისა და ჯავშანტრანსპორტიორის უტილიზაცია.

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

პირველად და გადაჭარბებით!

წუხელ „საქართველოს რესპუბლიკას" აცნობეს, რომ საქართველოს საბაჟომ პირველად, თანაც არნახული რაოდენობით შეასრულა შემოსავლების გეგმა: თუ აქამდე მაქსიმალური ზღვარი, რომელსაც ეს უწყება აღწევდა, 14 მილიონი ლარი იყო, ამჯერად, ივლისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და ბიუჯეტში თითქმის ორჯერ მეტი — 27 მილიონი ლარი შეიტანა.

ამასთანავე, შესრულებულია საგადასახადო შემოსავლების გეგმა.

საქართველო საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისიდან გამოსვლას იწყებს.

ჩაის ფოთლის პრობლემები

საქართველოს ჩაის პლანტაციებზე, 26 ივლისის მონაცემებით, 14,2 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლია მოკრეფილი, რაც 19 ათასი ტონით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

ზუგდიდის რაიონში მოკრეფილი ნედლეულის მოცულობა 2780 ტონით ნაკლებია შარშანდელზე, წალენჯიხის რაიონში — 2000 ტონით, ზნოროწყუს რაიონში — 2130 ტონით, ოზურგეთის რაიონში — 4[illegible] ტონით, ლანჩხუთის რაიონში — 1240 ტონით.

სამინისტროს მონაცემებით, მსგავსი მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია მეჩაიეთათვის ხელფასების გაუცემლობა, აგრეთვე, საწვავის უკმარისობა.

ინტერმაფია

საქართველოს, უკრაინისა და ჩეჩნეთის მოქალაქეებისაგან შემდგარი კრიმინალური ჯგუფი დააკავეს მოსკოვში, რომელმაც სამი ადამიანი, მათ შორის წლინახევრის გოგონა გაიტაცა გამოსასყიდის მიღების მიზნით.

ამჟამად, დამნაშავეებს წარუდგინეს ბრალდება ადამიანთა გატაცებისათვის, რაც 5-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.

ამინდი დღეს

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +17+22;
დღისით +31+36.
მთაში: ღამით +16+21;
დღისით +30+35.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +18+23;
დღისით +35+40.
მთაში: ღამით +17+22;
დღისით +32+37.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +21+23;
დღისით +38+40.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ლარის კურსი

2 აგვისტოდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გერმანული მარკა	1	0.9295 ლარი
აშშ დოლარი	1	1.9600 ლარი
ევრო	1	1.8500 ლარი
რუსული რუბლი	1	0.0703 ლარი.

უკანასკნელ საათს

გუშინ რუსეთის კონტრმზვერავებმა გამოიხსნეს რუსი საზღვაო ფეხოსანი სერგეი კისელიოვი, რომელიც ჩეჩნეთში 3 თვის განმავლობაში ვაჰაბიტებს ჰყავდათ დატყვევებული.

რუსული იალქნიანი იახტა „სიბირი" მოყვარული იახტსმენებით გუშინ სელიკამსკიდან გავიდა. გაბედულ მეზღვაურთა ექსპედიცია სამი ოკეანის გადაკვეთას ითვალისწინებს. მოგზაურობა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანიდან დაიწყო.

ინტერპანორამა

გუშინ ჯაკარტაში, ფილიპინების საელჩოს წინ ააფეთქეს ძლიერი ნაღმი. დაჭრილი ელჩი საავადმყოფოში მოათავსეს. გამვლელთაგან 20 დაიჭრა, 2 — ძალიან მძიმედ. ერთი ქალი ადგილზე გარდაიცვალა.

გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ბორის ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ОРТ-ის მისი კუთვნილი აქციების სახელმწიფოსთვის გადაცემის თაობაზე.

შპს მაგთიკომი
MAGTICOM Ltd

მაგთი MAGTI GSM

კომპანია მაგთი GSM სიამოვნებით აცნობებს თავის აბონენტებს, რომ ამა წლის 1 აგვისტოდან გაიხსნა რეალიზაციისა და მომსახურების კიდევ 4 რეგიონული ოფისი:

ბორჯომში — კოსტავას მოედანი №2
მარნეულში — რუსთაველის ქ. №80
გორში — სტალინის პროსპ. კორპ. №4
ამბროლაურში — კოსტავას ქ. №2

ამგვარად, დედაქალაქში მდებარე მაგთი GSM-ის 5 ოფისის გარდა რეგიონული მომსახურება უკვე 17 ქალაქს ფარავს: ბათუმი, ფოთი, ქობულეთი, თელავი, გურჯაანი, რუსთავი, ახალქალაქი, ახალციხე, ქუთაისი, ზესტაფონი, სამტრედია, ზუგდიდი, ოზურგეთი, ბორჯომი, მარნეული, გორი, ამბროლაური.

მაგთი GSM-მუდმივი კავშირის სამყარო.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

დოკუმენტი

საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, № 13 (20), 1999 წელი, მუხ. 52) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები:

1. 28-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 და მე-6 პუნქტები:

„5. სასამართლო აღმასრულებელი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე კრედიტორის განცხადების მიღებისთანავე მოვალეს – სახელმწიფო დაწესებულებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის წინადადებას აღსრულების ფონდის სახსრებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ.

6. თუ წლის განმავლობაში აღსრულების ფონდით გათვალისწინებული სახსრები საკმარისი არ იქნება კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, საქართველოს პრეზიდენტი მიმართავს პარლამენტს აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფის თხოვნით“.

2. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 92^1 მუხლი:

„მუხლი 92^1. აღსრულება იმ დაწესებულების მიმართ, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან

იმ დაწესებულების მიმართ, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იძულებითი აღსრულება შეიძლება დაიწყოს სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში ან მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებულ აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე საბიუჯეტო წლის განმავლობაში“.

3. 113-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში აღსრულების ფონდის მოცულობის განსაზღვრის უზრუნველსაყოფად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს 2000 წლის 15 აგვისტოს წარუდგინოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა ჩამონათვალი“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2000 წლის 13 ივლისი.

საქართველოს კანონი

„საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საბაჟო ტარიფისა და გადასახადის შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, № 13-14, 8.04.1998) მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 121110000, 121120000, 130110000, 130120000, 150420, 151530, 1520, 170211000 კოდებში, 28-ე და 29-ე თავებში წარმოდგენილი სამკურნალო ნედლეული და სუბსტანციები, 30-ე თავში მითითებული ფარმაცევტული პროდუქცია, მათ შორის, ვაქცინები, 391212000, 391231000, 701010000, 701090470, 701090670, 960200000 (ჟელატინის კაფსულები) კოდებში აღნიშნული საქონელი, გარდა ამ კანონის მე-18 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულისა“;

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2000 წლის 13 ივლისი.

საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს საბაჟო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, № 47-48, 31.12.1997) 176-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში სიტყვები „გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ინსპექტირებას დაუქვემდებარებელი საქონლისა“ შეიცვალოს სიტყვებით „გარდა იმ საქონლისა, რომელიც სახელმწიფოსა და მის მიერ უფლებამოსილ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად არ ექვემდებარება ინსპექტირებას, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობის ან/და საერთაშორისო რატიფიცირებული ხელშეკრულებების საფუძველზე, საქონლის იმპორტის შემთხვევაში გათვალისწინებული ყველა გადასახადისგან გათავისუფლებული საქონლისა“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 2000 წლის 13 ივლისი.

აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭო მზადყოფნას გამოთქვამს

აფხაზეთში კონფლიქტის პროცესის მიმდინარეობა, დევნილთა სოციალური დაცვის მდგომარეობა, სახალხო დიპლომატიის ეფექტიანი განვითარებისათვის ახალი მიდგომების გამონახვისა და კონფლიქტის ზონაში ადამიანის უფლებათა დარღვევის საკითხები განიხილეს 1 აგვისტოს გამართულ შეხვედრაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ ყოლბაიამ და საქართველოში ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭოს მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ელიზაბეთ რასმუსონმა და პროექტების კოორდინატორმა ანა ცქიტიშვილმა.

ელიზაბეთ რასმუსონმა განაცხადა, რომ ლტოლვილთა ნორვეგიის საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში კვლავაც აქტიურად დაუჭერს მხარს იმას, რომ კონფლიქტი რაც შეიძლება მალე მოწესრიგდეს. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემის საკითხებს, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უნდა გააძლიერონ საგანმანათლებლო მუშაობა, ხელი შეუწყონ ინდივიდუალური და მიკრობიზნესის განვითარებას, დევნილებით დასახლებული ობიექტების რეაბილიტაციას.

ელიზაბეთ რასმუსონი დაინტერესდა წინადადებებით, რომლებიც ეხება სახალხო დიპლომატიის ახლებური გააზრების საკითხებს და განაცხადა, რომ მზად არის სისტემატურად ითანამშრომლოს პარლამენტის აფხაზეთის კომისიასთან.

საქინფორმი.

გვალვა

„და ბალახიც უქაროდ დუმს“

(პირველი გვერდიდან)

მერე ეს ყრუ დაგუგუნი ნელ-ნელა ამოდის სიღრმიდან, გიახლოვდება, წარმოსახვიდან რეალობაში გადმოდის, და ბოლოს, ვერტმფრენის ძრავის ხმაურად მატერიალიზდება.

კვირას, დილით საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე გვალვით დაზარალებულ დედოფლისწყაროს რაიონში ჩავიდა.

პრეზიდენტს და მის თანმხლებ პირებს კახეთის გუბერნატორი ბიძინა სონღულაშვილი და რაიონების გამგებლები დახვდნენ.

ხომ გინახავთ კაცების გაქვავებული სახეები დიდი ტრაგედიის დროს? რაღაც ამგვარი იყო, მაგრამ – ნატამალიც არა დაბნეულობის თუ პანიკის.

ძნელია გაძლება, გადატანა საერთოდ და, მით უფრო, საქართველოში, რომელსაც, ერთის მხრივ, სოციალური პრობლემები აწევს უმძიმეს ტვირთად, მეორე მხრივ, ხრავს კორუფცია.

და, აგერ, როგორც ალმართში ქვა, მსოფლიო გლობალური დათბობის („პარნიკის ეფექტის“) შედეგები მაინცა და მაინც შენს ქვეყანას დაატყდება თავს, როგორც კომბარი და მაეი ჭირო.

კაცი ხარ და გაუძელ, არ გატყდე...

ადამიანის შესაძლებლობათა მიღმა დევს ჭირსა შიგან გასამაგრებელი ქვითკირი.

მოერიე და გაუძელ რადგან მთელი ქვეყანა შემოგცქერის.

– არც მიწას შევეშვებით, არც შრომას და არც ამ გვალვას დავეჩაგვრინებით, – ეტყვის შირაქში პრეზიდენტს ერთი არენდატორი (რომლის გვარი, სამწუხაროდ, ვერ ჩავინიშნე) და ეს არ იყო ქართული მიტინგების პოზიორობა.

კახელი კაცის სიტყვა იყო.

მე ეს ვნახე და მოვისმინე კვირას ტარიბანაშიც და შირაქის გულშიც.

დღეს რაღა ეშველება ამ უბედურებას. მაგრამ ხვალ? კი – ზარალია ათეულ მილიონობით ლარი, მაგრამ გულხელი დავიკრიბოთ?

გამოსავლის ძებნაზე იყო საუბარი იმ გავერანებულ ყანებში იმ დღეს.

იმ საუბრის ფრაგმენტები პრეზიდენტის მონაწილეობით:

– კომბაინი არ შეიყვანეს ყანაში. აზრი არ ჰქონდა. „სალიარკაზე“ უფრო მეტი ფული დაეხარჯებოდათ, ვიდრე მომკილი ხორბალი მისცემდა.

– სპეციალისტები ფიქრობენ, მოხნან ეს ფართობები, მოსავალი მიწაში ჩაზხონ, მარცვალი კვლავ მიწაში ჩაიყრება და იქნებ აღმოცენდეს კიდეც...

– საეჭვოა.

– მივიღებთ სათესლე ხორბალს, მაშინ გარანტირებული ვიქნებით. მანამდე საქონელი მაინც შემოუშვით, საკვებად მაინც გამოიყენეთ.

საქონელსაც უჭირს. თუ წვიმა არ მოვიდა, ბალახი თუ არ ამოიწვერა, შემოდგომისთვის (ღმერთმა არ ქნას!) შეიძლება განახევრდეს პირუტყვის სულადობა.

მერე წლები დასჭირდება აღდგენას.

არ ახსოვთ ასეთი გვალვა 1964 წლის შემდეგ.

– წლევანდელი 5 აპრილის სეტყვის მერე წვეთი არ ჩამოვარდნილა შირაქში. რაც ხორბალი დავთესეთ, ნახევარიც ვერ მივიღეთ (თესლზეა ლაპარაკი) ხოლო მზესუმზირა 18 ათას ჰექტარზე მოისპო.

ვენახმა მწვანე შეინარჩუნა, მაგრამ კალია შევსია. აზერბაიჯანიდან გადმოდის. მოწამლავენ. ახალი ტალღა წამოვა. მეზობლები კალიას არ ებრძვიან.

კახეთში ყველას გაუჭირდა. თუმცა, მეტ-ნაკლებად. ლაგოდეხში, მაგალითად, სხვებთან შედარებით უკეთესობაა, ყოველ შემთხვევაში, თამბაქოს მოსავალი აღებულია. ახლა თანხები სჭირდებათ, მაგრამ ჩვენი ბანკები მაინცა და მაინც ფართოდ არ ულებენ თავიანთ რკინის კარებს.

ზარალი ათეულ მილიონობით ლარია და, რა გასაკვირია, ვერ გადაიხადონ მიწის გადასახადი გლეხმა. დედოფლისწყაროში სხვა არხებიდან ავსებდნენ სხვა დროს ამ დანაკლისს – ივლის-აგვისტოში 500 ათასი ლარი შემოდიოდა. წლეულს ხომ ზედმეტია ამაზე ლაპარაკი. ამიტომ ითხოვენ სესხს, დახმარებას, შეღავათს.

ფინანსთა და სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრები ზურაბ ნოღაიდელი და დავით კირვალიძე გარედან დახმარებაზე საუბრობენ – ფაო, იფადი, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით – ევროკავშირი.

ამასთან, ფონდის შექმნის აუცილებლობაზეც შეთანხმდნენ: თანხები რომ არ გაიფანტოს ისე, რომ მერე ვერავინ გაიგოს თავი და ბოლო.

არც ნაჩუქარ თესლს მიიღებენ ბრმად – შეამოწმებენ, რამდენად იქნება მისადაგებული საქართველოს მიწათმოქმედების პირობებს.

შექმნილი მდგომარეობა პრეზიდენტმა შევარდნაძემ შეაფასა, როგორც კატასტროფული.

ასეა.

მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქვეყნის მეთაური უიმედოდ განწყობილი არ გახლავთ, ძალიან დიდი იმედი აქვს მეგობრების დახმარების:

– თუმცა, – თქვა მან, – უნდა გითხრათ, რომ მათაც მობეზრდათ გაუთავებლად საქართველოსთვის დახმარების გაწევა. მაგრამ აქ ისეთი მძიმე მდგომარეობაა (ძალიან გაუჭირდა ჯავახეთს, სადაც, საერთოდ, იშვიათია გვალვები და მოსავალი 20 პროცენტის ფარგლებში თუ იქნება, ასევე გაუჭირდა ქვემო ქართლს, სხვა რეგიონებსაც. შედარებით უკეთესი ვითარებაა დასავლეთ საქართველოში, თუმცა, იქ სხვა სახის პრობლემები აქვთ – ჩაის ფოთლის გადამუშავების და გასაღების), რომ, არა მგონია, უკან დაიხიონ.

მით უფრო არ დაიხევენ, რომ უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენელმა ელჩებმა თავისი თვალით იხილეს უმძიმესი ვითარება დედოფლისწყაროს რაიონში, თავად დარწმუნდნენ და სათანადო ინფორმაციებსაც მიაწვდიან თავიანთი ქვეყნების მთავრობებს.

პრეზიდენტის დავალებით სოფლის მეურნეობისა და სურსათის, ფინანსთა სამინისტროები მუშაობენ ევროკავშირში გასაგზავნ წერილზე, სადაც აკუმულირებულია სხვადასხვა ქვეყნების სახსრები და შესაძლებლობანი და რომელიც, (ევროკავშირი) როგორც პარტნიორი, მოწოდებულია დაეხმაროს საქართველოს.

– ერთ-ერთი დიდი დონორი იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, რომლისგანაც ჩვენ ყოველწლიურად ვიღებთ მარცვალს 30-40 ათასი ტონის რაოდენობით. ეს არის ძირითადად საკვები, რომელსაც ვყიდით პურის ბირჟაზე შედარებით იაფად და ამიტომაც არის, რომ პურზე ფასები ბოლო წლების განმავლობაში ერთ დონეზეა შენარჩუნებული.

პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ამერიკელებს დამატებით უნდა ვთხოვოთ სათესლე მასალაც და საკვები ხორბალიც. იგი არ გამორიცხავს დახმარებას ჩვენი მეზობლების – უკრაინელების, შესაძლოა, რუსეთის მხრიდანაც, თუმცა, ამ უკანასკნელს, თავადაც უჭირს უმოსავლიანობის გამო. შარშან თურქეთმა საქართველოს უფასოდ მისცა დიზელის საწვავი. წლეულსაც ხელს გამოიღებს უთუოდ. ედუარდ შევარდნაძე არ გამორიცხავს მეზობლების ასეთ დახმარებას.

პრეზიდენტს არ სურს ისე წარმოადგინოს ვითარება, რომ ერთ კვირაში ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ ფაქტია, რომ მუშაობა დაიწყო და ხელისუფლება უსასოობით დამბლადაცემულის გულწრფელი სინანულითა და თანაგრძნობით არ ამოწურავს ქვეყნის წინამძღოლის ფუნქციას.

– რთული ვითარებაა. ასეთ რთულ მდგომარეობაში კახეთი ჯერ არ მინახავს, – იხსენებს ედუარდ შევარდნაძე, – იყო ადრე მსგავსი ვითარება და მაშინ ვენახებს უჭირდა. მახსოვს, მაშინ წყალი ცისტერნებითაც კი შემოჰქონდათ. ცოტა გულუბრყვილო გადაწყვეტა იყო პრობლემის, მაგრამ უმოქმედობას სჯობდა. იმ წლებში, ასე თუ ისე, გადარჩა ვენახი. ახლა, ვფიქრობ, არის საშუალება გამოვაცხადოთ ეკოლოგიური კატასტროფის ზონად (ან სხვა რამ სახელი დავარქვათ იმას, რაც აქ ხდება) კახეთი და საქართველოს ზოგიერთი სხვა რეგიონი, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით, კახეთი. ეს საშუალებას მისცემს, ჩვენს მეგობრებს, რომლებსაც აქვთ დახმარების შესაძლებლობა, დაარწმუნონ თავიანთი მოსახლეობა, თუ რატომ უნდა დაგვეხმარონ.

მინდა გითხრათ, – განაგრძო პრეზიდენტმა, – რომ ბატონი ზურაბ ჟვანია იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და მან ჩემი თხოვნა გადასცა ამ ქვეყნის ადმინისტრაციას, რომ თუ ოდესმე გასჭირვებია საქართველოს, ახლა ყველაზე მეტად გვიჭირს და გვჭირდება დახმარება.

ზურაბ ჟვანიამ შეხვედრაზე კარგად აუხსნა, რომ ქვეყანა გამოდის საფინანსო და საბიუჯეტო კრიზისიდან, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი სავსებით რეალური იგეგმება, ისეთი, რომელიც მოგვცემს ნორმალური ცხოვრების საშუალებას, მაგრამ თუ ახლა ჩავარდა გადასახადების აკრეფა, თუ ახლა ბიუჯეტი ვერ შევასრულეთ, მაშინ სავალუტო ფონდთან ურთიერთობა, ალბათ, აღარ აღდგება და კრიზისი გაგრძელდება. ამიტომ, გინდა თუ არა, მეგობრების დახმარების იმედი უნდა გქონდეს.

მიაქციეთ ყურადღება: საქართველო იმიტომ კი არ ითხოვს დახმარებას; რომ საქმეს და მონდომებას რაღაც დააკლო, არამედ იმიტომ, რომ შეიქმნა ფორსმაჟორული ვითარება სტიქიის შემოტევისა გამო. გაწუხებთ კი იმიტომ, რომ მეგობრად მიგვაჩნიხართ.

აი, ასეთი ლოგიკაა და ასეთი დიპლომატია. ფაქტების და რეალურ ურთიერთობათა ლოგიკა.

პრეზიდენტმა გამგებლებს სთხოვა მეცხოველეობას მიხედონ განსაკუთრებულად, რადგან თუ გაწყდა ძროხა და ცხვარი, სულადობის აღდგენას რამდენიმე წელიწადი დასჭირდება. აქ ჯაჭვური რეაქცია განვითარდება: პირუტყვის რაოდენობის კატასტროფული შემცირება – ფასების ასევე კატასტროფული გაძვირება – მოსახლეობის სოციალური ყოფის გაუარესება, განსაკუთრებით – ქალაქების მოსახლეობისა.

– კახეთს ახლა უჭირს. კახეთი ყოველთვის პიონერთა შორის იყო. როდესაც სხვა რეგიონებს უჭირდა, ყოველთვის ეხმარებოდა, ომიანობის დრო იყო, თუ მას შემდეგ. ამიტომ დღეს მთელმა საქართველომ უნდა გაითავისოს, გულთან მიიტანოს შექმნილი ვითარება და კახეთს უნდა დავეხმაროთ. დარწმუნებული ვარ, ასეთი რეზერვები მოიძებნება. არ მიგატოვებთ საკუთარი თავის ანაბარა!

იმედიანი სიტყვა დაუგდო პრეზიდენტმა.

ადრე (ეს არაერთხელ გაიხსენეს გვალვისგან გადაბუგულ შირაქში) ედუარდ შევარდნაძის ჩასვლას ყოველთვის წვიმა მოჰყვებოდა.

ამ ერთხელაც, ბატონო პრეზიდენტო!

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.

ეკლესია

საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

საზოგადოებისათვის უკვე კარგად არის ცნობილი'ის პრობლემები, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში მოქმედი სექტები ქმნიან. მსოფლიოს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრულია სინდისის თავისუფლების და რელიგიის საკითხები.

მართალია, ჩვენს პარლამენტში ამ მხრივ მუშაობა დაწყებულია, მაგრამ იგი მეტად გაჭიანურდა, ამიტომ საკანონმდებლო ვაკუუმი დღემდე მაინც შევსებული არ არის. სარგებლობენ რა ამით, სხვადასხვა სექტები რეგისტრაციას გადიან როგორც საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციები, და ამ სახელს ამოფარებულნი, ეწევიან ანტიმართლმადიდებლურ და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობას. ე. წ. „იეღოველები“ თავის სწავლებაში პირდაპირ ავითარებენ ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიას, აცხადებენ რა ნებისმიერ სახელმწიფო ინსტიტუტს სატანისტურ გამოვლინებად. ამასთან, ისინი კრძალავენ ავადმყოფთათვის სისხლის გადასხმას, რასაც უკვე მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ამავე დროს მათი მოძღვრება იწვევს ფსიქიკისა და ცნობიერების დარღვევას და სხვა არაჯანსაღ გამოვლინებებს.

ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურად მძიმე მდგომარეობას ზემოაღნიშნული სექტის საქმიანობა კიდევ უფრო ართულებს. და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ სექტის წევრთა რიცხვი იზრდება იმ მიზეზითაც, რომ საქართველოს კანონი ალტერნატიული სამსახურის შესახებ ითვალისწინებს რელიგიური ნიშნით სავალდებულო სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდებას. უკვე ბევრი ახალგაზრდა ეწერება „იეღოვლად“ ჯარიდან თავის დახსნის მიზნით. დღეს ეს თუ ფიქციური პროცესია, ხვალ იგი სერიოზულ პრობლემებს შექმნის. საქართველოს მთავრობამ უნდა გაითავისოს ის აზრი, რომ სექტებისა და განსაკუთრებით ე. წ. „იეღოვას“ მოწმეთა საქმიანობა მთავარ პრობლემას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებას და თვით ხელისუფლებას უქმნის და რომ ამ საკითხის მოუგვარებლობა სავალალო შედეგით შეიძლება დამთავრდეს.

ეკლესიამ არაერთხელ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება სექტების განუკითხავი თარეშის გამო, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა სერიოზული მოქმედება სამართლებრივი ნორმების დამკვიდრების და სათანადო კანონმდებლობის შემუშავებისათვის.

დღეს გამორჩეულ აქტიურობას „იეღოველთა“ სექტის წინააღმდეგ პარლამენტის წევრი გურამ შარაძე იჩენს. ბატონი გურამი ამხელს მათ დანაშაულებრივ საქმიანობას და ცდილობს შეზღუდოს იგი.

საპატრიარქო მხარს უჭერს მის ენერგიულ მოქმედებას სამართლიანობის დასაცავად, მაგრამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია ხელისუფლებამ მიიღოს კანონი რელიგიის შესახებ და დასავლეთის ცივილიზებულ სახელმწიფოთა მსგავსად აკრძალოს ტოტალიტარული სექტები, რომელთა რიცხვს იეღოველებიც მიეკუთვნებიან.

2000 წლის 31 ივლისი.

გუშინ

(პირველი გვერდიდან)

დაიწყო რუსეთის სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აუწყეს, რომ წლის დამლევამდე თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში განადგურდება 116 ერთეული რუსული სამხედრო ტექნიკა – 24 ტანკი, 90 ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა ჯავშნიანი მანქანა, აგრეთვე რესურსამოწურული ორი საარტილერიო სისტემა.

საქინფორმი.

ტრანსპორტი

რკინიგზელებს საქმე კარგად მიუდით

ბათუმის რკინიგზა ამჟამად დიდი მოცულობის ტვირთზიდვას ახორციელებს. განსაკუთრებით გაიზარდა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების სატრანზიტო ნაკადი აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან, ყაზახეთიდან. მარშან გადაზიდეს ნედლი ნავთობი, დიზელის საწვავი, სხვადასხვა მარკის მაზუთი. ახლა აპირებენ დაახლოებით 8 მილიონი ტონა ტვირთის გადაზიდვას. ამის მეოხებით მიიღებენ დაახლოებით 3 მილიონ ლარს, რაც ბიუჯეტში ანარიცხების გარდა სოციალურ საკითხებსაც გადაწყვეტს.

სულ ცოტა ხნის წინათ, ტვირთის მიღება-გაგზავნასთან დაკავშირებულ საკითხებს სადგურის ადმინისტრაცია ნავსადგურთან ათანხმებდა. ახლა ტვირთის გამომგზავნებთან კომერციულ ხელშეკრულებებს საექსპედიტორო კომპანიებში წყვეტენ. ნავსადგურთან კი დადებულია შეთანხმება, რომლის შესაბამისად, სადგური უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ვაგონების მიწოდებას, აგრეთვე ერთდროული ტვირთზიდვის ფრონტსაც უძლევა.

ჯერჯერობით ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვა უწყვეტად მიმდინარეობს.

საქინფორმი.

ირინა სარიშვილი-ჭანტურიას იბარებენ

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია 7 აგვისტოსთვის გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს ახსნა-განმარტების მისაცემად.

როგორც პრაიმ-ნიუსს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ახსნა-განმარტება უნდა მისცეს ორ საკითხთან – აკაკი ელიავასთან დაკავშირებული მოვლენების მისეულ პოლიტიკურ შეფასებასთან და პრესაში შს მინისტრის და მთლიანად ამ უწყების ხელმძღვანელობის კორუმპირებულობაში დადანაშაულებასთან დაკავშირებით.

გენპროკურატურის წარმომადგენელთა ინფორმაციით, კახა თარგამაძემ ოფიციალურად სთხოვა გენერალურ პროკურორს ჯამლეთ ბაბილაშვილს აღნიშნულთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყება, რათა „საბოლოოდ გაირკვეს სიმართლე და დაისაჯოს დამნაშავე“.

რესტრუქტურიზაცია დაიწყო

აჭარაში ეკონომიკის დონის ამაღლების მიზნით შეიმუშავეს სხვადასხვა დარგის რესტრუქტურიზაციის პროგრამა. მაგალითად, მრეწველობის რესტრუქტურიზაცია ითვალისწინებს უპერსპექტივო საწარმოების ლიკვიდაციას, დანარჩენი ორგანიზაციების შერწყმას, რათა მათ წარმოებას უფრო მობილური ფორმა მიანიჭონ. ამ პროგრამის რეალიზაციის დროს გამოთავისუფლდა ბევრი ფართობი, რისი მეოხებითაც შესაძლებელი გახდა შეეკვეცათ გადასახადების მოცულობა და შესაბამისად შეემცირებინათ პროდუქციის თვითღირებულება, რითაც უზრუნველყვეს ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობა.

ანალოგიური პროგრამა განხორციელდება მშენებლობის სფეროშიც, აგროსამრეწველო კომპლექსშიც.

700 ათასი დოლარი მართლმადიდებლების წინააღმდეგ

TBC ბანკს არ შეუძლია იეღოვური ორგანიზაციების „პენსილვანიის საგუშაგო კოშკის“ და „იეღოვას მოწმეთა კავშირის“ საბანკო ანგარიშების გაყინვა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე მათი ორგანიზაციების რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა TBC ბანკის პრეზიდენტმა მამუკა ხაზარაძემ, ამჟამად არსებობს მხოლოდ თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება იეღოველთა ორგანიზაციებისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, მაგრამ იეღოველებმა ეს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, და ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მათი საბანკო ანგარიშების გაყინვა ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევა იქნება.

სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე პარლამენტარმა გურამ შარაძემ მოითხოვა, რომ თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაიყინოს „პენსილვანიის საგუშაგო კოშკის“ და „იეღოვას მოწმეთა კავშირის“ ანგარიშები TBC ბანკში, რომლებზეც შარაძის მონაცემებით, დაახლოებით 700 ათასი დოლარი ირიცხება.

პარლამენტარის აზრით, ეს ფული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაშლისათვის არის გამიზნული.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, საქინფორმმა.

სოფელი

ფუტკრების მოშენება კეთილშობილური საქმეა

ამერიკის მეთოდისტური ეკლესიის ჰუმანიტარული მისიის წევრები, რომლებმაც გადაწყვიტეს დაეხმარონ ქართველ მეფუტკრეებს, სრულიად საფუძვლიანად მიიჩნევენ საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგის აღდგენას.

– როცა ჩვენს ბიზნეს-გეგმას გაეცნენ,– უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის პრეზიდენტმა ზაქრო მენთეშაშვილმა, მათ გრანტის სახით კავშირს გამოუყვეს 20 ათასი ამერიკული დოლარი. შეადგინეს კონტრაქტი, რომლის საფუძველზე „ამქორი“ თავად შეისყიდის 200 ფუტკრის ოჯახს და ჩვენ გადმოგვცემს. კავშირი კი საიჯარო საწყისებზე მათ გაანაწილებს რეგიონალურ განყოფილებებში. გარდა ამისა, მოიჯარეებმა ვალდებულება იკისრეს წლის დამლევამდე უსასყიდლოდ გამოუყონ გაჭირვებულთ ორ-ორი ფუტკრის ოჯახი. ამერიკელებმა ყველა ვალდებულება უსიტყვოდ შეასრულეს. ფუტკრის ოჯახების გადაცემის პროცედურამ კი მათ თვალწინ ჩაიარა. დარჩენილი შვიდი ათასი ლარი „ამქორის“ ხელმძღვანელობის რჩევით, დაიხარჯა მეფუტკრეობისათვის სახელმძღვანელოსა და „მეფუტკრეობა საქართველოში“ ბუკლეტის გამოცემისთვის. მისიონერებმა შემოგვთავაზეს კვლავაც განვავითაროთ თანამშრომლობა.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 207. ოთხშაბათი. 2 აგვისტო. 2000 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქცენტი

მეწარმეები ქრთამს „სიამოვნებით“ იძლევიან

(პირველი გვერდიდან)

ამით პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩრდილოვანი ეკონომიკის ჩრდილოვან რეალობას, რომელიც, როგორც მან განაცხადა, დღესდღეობით ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოიხსნება დღის წესრიგიდან, იგი არის და დარჩება ხელისუფლების მუშაობის პირველი რიგის ამოცანად. ამ მხრივ გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან იმ სამინისტროებმა და სტრუქტურებმა, რომლებსაც ამის გაკეთება კიდევაც ევალებათ და კიდევაც ხელეწიფებათ. ედუარდ შევარდნაძის თქმით, არ ვარგა ისეთი მინისტრი, რომელიც თავის უწყებაში კორუმპირებულებისთვის დალხენილ ატმოსფეროს ქმნის.

რატომღაც ვფიქრობდი, რომ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის ამჟამინდელი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი, რომელსაც საბანკო მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს, ჩრდილოვან ეკონომიკაზე საუბრისას, ბანკებს გვერდს ვერ აუვლიდა. ასეც მოხდა. თათბირზე ითქვა, რომ სწორედ ბანკების გვერდის ავლით მოძრავი ფული ჩრდილოვანი ეკონომიკის ერთ-ერთი „მდიდარი“ შენაკადია. ამას თავის მხრივ ასაზრდოებს საწარმო-დაწესებულებებში დამკვიდრებული აღურიცხაობა და ბანკებისადმი მოსახლეობის უნდობლობა. ფულის ბანკებში მოქცევის მიზნით, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი მანაგაძემ განაცხადა, საჭიროა ექსპორტ-იმპორტის აღრიცხვიანობის მოწესრიგება, სალარო-აპარატების რეალურად ამუშავება, ეროვნული ვალუტისა და ბანკებისადმი ნდობის აღდგენა, რიგი სხვა ღონისძიებების განხორციელება.

დიდად სამწუხაროა, შენიშნა პრეზიდენტმა, რომ მეწარმეთა მხოლოდ 32 და მოსახლეობის 4-5 პროცენტი თუ სარგებლობს ბანკით. როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე? პასუხი ერთადერთია — საბანკო სისტემა ქვეყანაში არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, ტელევიზორში საბანკო რეკლამას იშვიათად თუ მოკრავთ თვალს. თანაც ეს ის რეკლამა არ არის, რაც მეწარმეებსა და მეანაბრეებს მოიზიდავს. საბანკო საქმეს მეტი პროპაგანდა და მეტი სიახლეების დანერგვა გამოაცოცხლებს.

აქ ჩემი კომენტარი, ალბათ, ზედმეტია, მაგრამ გული გეტკინება, როცა გაიგებ, ბანკების საზიანოდ (იგივე ბიუჯეტის საზიანოდ) და ჩრდილოვანი ეკონომიკის სასარგებლოდ ჩვენი მოჭირნახულე „კრიმები“ და ბიზნესმენები ბანკების გვერდის ავლით რა თანხებს ატრიალებენ. და ამ დროს, როცა საბანკო საქმე ლობის იქით ჰყავთ „დაბმული“, ლობის აქეთ თურმე ზოგიერთ საწარმოს წელიწადში სამიათასჯერ ამოწმებენ. ეს ციფრი მაკონტროლებლების „წასახალისებლად“ პრეზიდენტმა დაასახელა, თორემ მე საიდან გავიგებდი!

ამ და სხვა მაგალითებიდან გამომდინარე, თათბირის მონაწილეებმა არც თუ შემთხვევით დაასკვნეს, რომ ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატი არა თუ ვერ უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ეფექტიან მართვას, არამედ განვითარების შემაფერხებელ ფაქტორადაც კი იქცა. ეკონომიკამ, რაც არ უნდა უცნაური იყოს, საბაზრო განვითარების გზაზე მნიშვნელოვნად გაასწრო მოუქნელ და ძველი მენტალიტეტით დაზურგულ ბიუროკრატიას. შედეგად ეკონომიკური პოლიტიკის წარმმართველი სტრუქტურები მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ რეალური ეკონომიკისაგან. ჩრდილოვანი ეკონომიკის დღევანდელი მასშტაბები სწორედ ამ შესაბამისობის გარდუვალი სურათია.

ეს ზოგადად. კონკრეტიკა კი ასეთია: ექსპერტთა ანალიზით, ექვსი ძირითადი სახის გადასახადიდან მიღებულმა შემოსავლებმა შარშან ნავარაუდევი 1,7 მილიარდი ლარის ნაცვლად 667 მილიონი ლარი შეადგინა. იმ ერთ მილიარდ ლარზე მეტი სად წავიდა? თურმე ჩრდილოვან სექტორს შეემატა. და რაც ყველაზე უარესია — იმისათვის, რომ გადასახადი საფინანსო კონტროლის არეში არ მოხვედრილიყო, გადამხდელსა და გადასახადის ამკრეფს, ბიზნესმენსა და მაკონტროლებელს შორის მოხდა გარიგება....

გარიგებაზე არანაკლებ შემაშფოთებელია კორუფციასთან საზოგადოებაში გაბატონებული შემგუებლობის განწყობა. ბიზნესმენთა დიდი ნაწილი, რომელიც გადასახადს თავს არიდებს, თურმე „დიდი სიამოვნებით“ იხდის ქრთამს. ამას ადასტურებს სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მიხედვითაც საწარმოები თავიანთი მოგების თითქმის ნახევარს ქრთამის სახით უხდიან სხვადასხვა სტრუქტურებს. გადასახადის გადახდის ასეთი „წესი“ ჩვენში რატომღაც ნორმად იქცა.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაზეც განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა. ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც თათბირზე ითქვა, ახალი ხილი არ არის არც ცენტრალიზებული და არც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მაგრამ სხვაობა ამ ავადმყოფობის დოზებშია. განვითარებულ ქვეყნებში ეს დოზა 5-10 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, ხოლო განვითარებად სამყაროში იგი 25-40 პროცენტის ჩარჩოებშია მოქცეული. 40-45 პროცენტი წილი მიჩნეულია კრიტიკულ ზღვრად, რომლის ზემოთ წინააღმდეგობა ფორმალურ და არაფორმალურ სექტორებს შორის პრინციპულ ხასიათს იძენს და ჩრდილოვანი ეკონომიკა გამონაკლისიდან ნორმად იქცევა, იწყება მაფიოზურ კლანებთან გარიგებები.

ჩვენ ამ წრედში რომელ საფეხურზე ვიმყოფებით? ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 1999 წელს შეადგენდა 27 პროცენტს (2,3 მილიარდი ლარის ღირებულების პროდუქციას). 1996 წლიდან მოყოლებული, ეს მაჩვენებელი ქვეყანაში თითქმის უცვლელია. თუმცა, მისი მასშტაბები სხვადასხვა დარგისა და სფეროსათვის განსხვავებულია. ვაჭრობაში, მაგალითად, მისი წილი შეადგენს 68 პროცენტს, სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესში — 63 პროცენტს. შემდეგ მოდის მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

დიდი რაოდენობის შემოსავლები აკლდება სახელმწიფოს, მაგალითად, სამარშრუტო ტაქსებიდან, რომლებმაც ბოლო წლებში მთელი დედაქალაქი (და არა მარტო დედაქალაქი) გადათქერეს. როგორც ანგარიშობენ, თბილისში მიკროავტობუსებს ყოველდღიურად 400 ათასი მგზავრი გადაჰყავთ, საიდანაც 88 ათასი ლარის წმინდა შემოსავალს იღებენ. ვის ჯიბეში ილექება ეს ფული? ძირითადად, სამარშრუტო ხაზების „კრიმებისა“, რომელთა შორის დეპუტატებიც არიან, მოხელეებიც და მაკონტროლებელი ორგანოების მუშაკებიც.

ვინმე ებრძვის ამ მოურჩენელ დაავადებას? ფორმალურად კი (თავად ისინიც, ვინც ზემოთ დავასახელეთ), ფაქტობრივად კი არავინ. დიდი იმედი გვქონდა აქციზური მარკებისა, რომელიც თამბაქოს ნაწარმის იმპორტზე, წარმოებასა და რეალიზაციაზე გასული წლის თებერვლიდან შემოიღეს. მაგრამ რა, სიგარეტის კონტრაბანდის თემა კვლავაც აქტუალურია, ამ სფეროდან ბიუჯეტი კვლავ და კვლავ დიდი რაოდენობის თანხებს კარგავს. როგორც თათბირზე ითქვა, ქვეყანაში ოფიციალურად აღრიცხულთან შედარებით მოიხმარება სულ ცოტა 1,3-ჯერ მეტი სამამულო წარმოების სიგარეტი და საბაჟოზე დაფიქსირებულთან შედარებით თითქმის 1,6-ჯერ მეტი იმპორტული სიგარეტი.

მთლიანობაში ეს რა თანხას შეადგენს? ესეც დაანგარიშებულია — არადეკლარირებული თამბაქოს ნაწარმის იმპორტისა და წარმოების მოცულობა 70-80 მილიონი ლარის ფარგლებში მერყეობს.

დიახ, ნავთობპროდუქტების (მასზე წინა წერილში ვისაუბრეთ) და სიგარეტის ბიზნესი ქვეყანაში ახლა ყველაზე დაბინძურებულია. თუმცა, არანაკლებ „ეკოლოგიურ საფრთხეს“ გვიქმნის პროდუქტთა ფალსიფიკაცია. თათბირზე არც ეს პრობლემა გამორჩენიათ. ან როგორ გამორჩებოდათ, როცა სამომხმარებლო ბაზარი სავსეა გაყალბებული პროდუქციით. იგი უხვად გაედინება საზღვარგარეთაც, რაც გარდა ეკონომიკურისა, დიდ მორალურ ზარალსაც გვაყენებს. არ შეიძლება, შენიშნა პრეზიდენტმა, ეს საქმე თვითდინებაზე მივუშვათ, არ აღვიდგინოთ ის პრესტიჟი, რასაც ქართული პროდუქცია ოდესღაც საზღვარგარეთის ბაზრებზე გვიქმნიდა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ედუარდ შევარდნაძემ თქვა, გაფორმებულია ხელშეკრულებები უკრაინასთან, მოსკოვთან, სხვებთან და ისინი მკაცრად უნდა დავიცვათ, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ იმ სიმდიდრეს, რასაც ჩვენი ქვეყანა ქმნის.

აქვე დაისვა საკითხი სტანდარტების შესახებ, რომელთა არარსებობა (ძალიან მცირეა ეროვნული სტანდარტების რაოდენობა) და უკონტროლობა ფალსიფიკაციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. რა თქმა უნდა, სტანდარტებს სახელმწიფო დეპარტამენტი „საქსტანდარტი“ უნდა ქმნიდეს, აღინიშნა თათბირზე, მაგრამ არსებულ სტანდარტებს შემდეგ თავად დეპარტამენტი არ უნდა აკონტროლებდეს. თუ გვინდა, რომ ფალსიფიკაციისა და კორუფციის წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა შედეგი გამოიღოს, პროდუქციაზე სტანდარტების დაცვისა და მონიტორინგის ფუნქცია კერძო მეწარმეთა სპეციალურ გაერთიანებებს უნდა გადაეცეს.

ამასთან, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანტიმონოპოლიური სამსახურის სამინისტროს სისტემიდან გამოცალკევება და დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბება. როგორც თათბირზე ითქვა, ეს მეტ ავტონომიურობას და არაუწყებრივ ხასიათს მიანიჭებს მის გადაწყვეტილებებს.

საინტერესო იყო სახელმწიფო მინისტრის გია არსენიშვილის გამოსვლა. როგორც მან თქვა, ჩვენში თურმე ვალების აღრიცხვაშიც კი ხდება „მიწერები“. მას ძალიან ეჭვება, მაგალითად, რომ ამდენი მოცულობის ვალი გვაქვს თურქმენეთთან, როგორც ირკვევა, ვიღაცამ ეს ყველაფერი არასწორად აღრიცხა, რაშიც ჩვენი ხალხიცაა გარეული.

ეს ერთი. და მეორე, რაზეც სახელმწიფო მინისტრმა აქცენტი გააკეთა, არის ის, რომ უკვე დაიწყო იმ ჩრდილის შევიწროება, რომელიც ქვეყანას ჩრდილოვანი ეკონომიკიდან ეცემა. ეს ჩრდილი, მისი თქმით, ივნისში მაისთან შედარებით (საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების მონაცემებით) 7 მილიონი ლარით შემცირდა, ხოლო ივლისში — 9 მილიონი ლარით. გრძელდება მუშაობა იმისათვის, რომ მომდევნო თვეებში რაც შეიძლება მეტი ჩრდილი გამოვგლიჯოთ ჩრდილოვან ეკონომიკას.

ვნახოთ, თუ ხელი გავანძრიეთ, შეიძლება ღმერთიც წაგვეხმაროს.

ოთარ ხუციშვილი.

საერთაშორისო კომუნიკაციები

ვეძებთ ოპტიმალურ ვარიანტებს

დღეს საქართველოსთვის მეტად აქტუალურია ქვეყნის ტერიტორიაზე საერთაშორისო-სატრანზიტო კომუნიკაციების გატარების ოპტიმალური და სასარგებლო საპროექტო გადაწყვეტილებების მიღება. კავკასიის გავლით თურქეთთან სარკინიგზო კავშირის რეალიზაცია, მაგისტრალური მილსადენებით აზერბაიჯანიდან და შუა აზიის ქვეყნებიდან ენერგომატარებლების გატარება საქართველოსთვის რიგ დადებით და უარყოფით გარემოებებთან არის დაკავშირებული. ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს პროექტები ეკონომიკურად მომგებიანია, რადგან იძლევა დამატებით საბიუჯეტო შემოსავლებს, ხელს უწყობს მოსახლეობის დასაქმებას და ქმნის ენერგორესურსების ერთგვარ წყაროს. ამასთან, მსოფლიო სატრანსპორტო ქსელში ჩართვა მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების თვალსაზრისითაც.

მაგრამ ამ კომუნიკაციების გატარება დაკავშირებულია ეკოლოგიური დაბინძურების საფრთხესთან და ისედაც მცირემიწიანი საქართველოს მიწის ფონდიდან სავარგულების საგრძნობი ფართობის გამოყოფასთან. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ კომუნიკაციების დაცვის საკითხებს.

მართალია ყველა ამ პროექტს სხვადასხვა დამფინანსებელი ჰყავს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ცალკეული პროექტების შეფასება უნდა ხდებოდეს ერთიანი მიდგომით, რომელიც დაეფუძნება ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სახელმწიფოებრივ თვალთახედვას, საკითხთა კომპლექსურ განხილვას და არა ცალკეული ჯგუფების ინტერესების დაკმაყოფილებას. პრობლემის ასეთნაირად გადაწყვეტა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომუნიკაციების დაპროექტების საწყის ეტაპზე, როდესაც ხდება მათი განლაგების, ე. წ. „ინტერესების დერეფნის“, ანუ ტრასის დადგენა. ამ ეტაპზე აუცილებელია გავითვალისწინოთ თითოეული კომუნიკაციის აგებისა და ექსპლოატაციის თავისებურებანი, საქართველოს რელიეფი და ქვეყნის ცალკეული რეგიონების სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობა. თუ რა შედეგს იძლევა პრობლემისადმი სხვანაირი მიდგომა, ჩანს თუნდაც გიუმრი-ყარსის და მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზების მაგალითზეც. პირველი არ ფუნქციონირებს მეზობელი სახელმწიფოების დაპირისპირების გამო, ხოლო მეორე პრაქტიკულად უმოქმედოა იმის გამო, რომ გაყვანილია მეტად რთულ რელიეფზე და არახელსაყრელი კლიმატის პირობებში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხიდებისა და გვირაბების კათედრაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშავდება ზემოაღნიშნული საკითხები. შექმნილია თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის ვარიანტები, რომელთა მიხედვით (იხ. სქემა) ვიყენებთ ბუნების მიერ შექმნილ გასასვლელს თურქეთში — მდინარე მტკვრის ხეობას. პროექტი ითვალისწინებს ქ. ხაშურიდან ქ. ახალციხემდე 75 კმ სიგრძის არსებული რკინიგზის გამოყენებას მისი ნაწილობრივი გასწორებით. ამასთან, შედარებით მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოები გათვალისწინებულია ბორჯომის უბანში. მათი დანიშნულებაა საკურორტო ზონის ეკოლოგიური მდგომარეობის მაქსიმალური გაუმჯობესება. ახალციხიდან ყარსამდე პროექტში დამუშავებულია რკინიგზის ხაზის შემდეგი ვარიანტები. პირველი ვარიანტით რკინიგზა ბოლომდე მიჰყვება მდ. მტკვარს და შემდეგ მდ. შურახის ხეობით გადადის ყარსისკენ. მეორე ვარიანტით რკინიგზა ახალციხიდან მდ. ფარავნის ხეობით ადის ახალქალაქში და მიდის თურქეთის საზღვრამდე სოფელ კარწახთან.

მესამე ვარიანტით კი რკინიგზა ახალციხიდან ვალეს გავლით გადადის თურქეთში მდ. ფოცხოვის ხეობით, კვეთს არსიანის ქედს და მდ. ყარასუს ხეობიდან გრძელდება პირველი ვარიანტის მიხედვით.



ამათგან ყველაზე მიზანშეწონილად გვესახება პირველი ვარიანტი, რომელიც მაქსიმალურად იყენებს ბუნებრივი გასასვლელის უპირატესობებს, ამასთან, საშუალებას იძლევა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებული ალტერნატივა შევუქმნათ დღეს არსებულ საავტომობილო ტრანზიტულ მოძრაობას ბორჯომის ხეობაში — მძიმეწონიან ტრაილერებს თურქეთის საზღვართან შეაყენებენ რკინიგზის პლატფორმებზე და ასე გადაიტანენ დანიშნულების ადგილამდე.

მეორე ვარიანტის, ჩვენი აზრით არცთუ მომგებიანის, დამუშავება განპირობებული იყო სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებაში საქართველოს და თურქეთის რკინიგზების შეერთების ადგილად სოფ. კარწახის დაფიქსირებით.

მესამე ვარიანტის შექმნა დაკავშირებული იყო არსებული რკინიგზის მაქსიმალური გამოყენების შესაძლებლობის განხილვის სურვილთან.

ეკოლოგიური დაბინძურების საშიშროების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მიმართულების დადგენა. ზოგიერთი შემოთავაზებული ვარიანტის მიხედვით ნავთობსადენი გადის ბორჯომსა და ბაკურიანს შორის თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე. ნავთობსადენის ტრასის დადგენის ზოგიერთ ასპექტზე მოსაზრებები მოყვანილია ჩვენსავე სტატიაში „ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელია“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 4-5 აპრილი“ 1999 წ.). მასში აღნიშნულია, რომ მდ. მტკვარი ბორჯომის ზემო წელში მარცხნიდან შემოზღუდულია მესხეთის, ხოლო მარჯვნიდან თრიალეთის ქედითა და მათი განშტოებებით, რომლებიც ქმნიან მდინარის აუზის წყალგამყოფ ხაზს. თუ ნავთობსადენი ამ აუზის ფარგლებშია, მისი ავარიის შემთხვევაში გადმოღვრილი სითხე აუცილებლად მოხვდება მდ. მტკვარში და დააბინძურებს ბორჯომის ხეობას და მინერალური წყლების საბადოებს.



სქემაზე დატანილია ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ტრასის შესაძლო ვარიანტი: აზერბაიჯანიდან შემოსვლის შემდეგ ნავთობსადენი მიუყვება მტკვრის ხეობის მარცხენა ნაპირს, ჩრდილოეთიდან უვლის რუსთავსა და თბილისს, გორსა და ხაშურს, კვეთს ლიხის ქედს, მიუყვება სურამი-ხარაგაულის საავტომობილო გზას და ხარაგაულთან უხვევს სამხრეთისაკენ. ამის შემდეგ ნავთობსადენის ტრასა კვეთს მესხეთის ქედს და ახალციხის გავლით შედის თურქეთის ტერიტორიაზე.

ნავთობსადენის ასეთი განლაგება მისი მცირეოდენი დაგრძელების ხარჯზე საშუალებას გვაძლევს გვერდი ავუაროთ დესტაბილიზაციის შესაძლო რაიონს ჯავახეთის ზეგანზე და უზრუნველვყოთ ბორჯომის ხეობის და მისი წყლების ეკოლოგიური უსაფრთხოება.

საქართველო დაფარულია გაზსადენების საკმაოდ ხშირი ქსელით, რომელთაგან აღსანიშნავია რუსეთიდან კავკასიონის გავლით მომავალი მაგისტრალური გაზსადენი. გაზსადენის განშტოებები მიემართება დასავლეთ საქართველოსა და სომხეთისკენ. ამ გაზსადენით მოწოდებული აირით მუშაობს თბილისის სრესი და მრავალი საწარმო. გაზსადენი აგებულია გერმანული, მანესმანის ფირმის ფოლადის მილებით, რომელთა დიამეტრია 1,5 მ., ე. ი. იმავე დიამეტრისაა, რომელიც გათვალისწინებულია თურქმენეთისა და აზერბაიჯანის გაზსადენებისთვის. გაზსადენი დააპროექტეს კიევის, ხოლო ააშენეს სომხეთის სპეციალისტებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინელ ინჟინრებს აქვთ მეტად მწირი გამოცდილება მთიან პირობებში სატრანსპორტო კომუნიკაციების დაპროექტებისა, ამიტომ მათ მიერ შედგენილ პროექტს ჰქონდა მრავალი ხარვეზი მაგისტრალური გაზსადენის დაცვის თვალსაზრისით ისეთი მოვლენებისგან, როგორიცაა წარეცხვა მთის მდინარეების მიერ, მეწყერები, ღვარცოფები. არც სომეხ მშენებლებს შეუწუხებიათ თავი ამ მოვლენებისაგან ნაგებობების დასაცავად. ისინი ცდილობდნენ შეესრულებინათ ფინანსური თვალსაზრისით ისეთი მომგებიანი სამუშაოები, როგორიცაა თვით ფოლადის მილების ჩაწყობა და შედუღება, ხოლო შრომატევად, შედარებით ნაკლებად ხელსაყრელ სამუშაოებს ასრულებდა გაზსადენის ექსპლოატაციის საქართველოს სამსახური. აქვე აღვნიშნავთ, რომ არც ინგლისელებმა გამოიჩინეს თავი არც თუ ისე რთულ პირობებში კომუნიკაციების დაზიანებისაგან დაცვის საქმეში — 1999 წელს მდ. ხანისწყალმა ჩამორეცხა ხარვეზებით დაპროექტებული ბაქო-სუფსის ნავთობსადენი, რასაც მოჰყვა მისი ექსპლოატაციის დროებით შეჩერება. ავარიამ გვიჩვენა, რომ აუცილებელია საქართველოს კომპეტენტური სამეცნიერო წრეების მიერ იმ პროექტების შემოწმებაც, რომლებიც სრულდება უცხოელთა სახსრებითა და მონაწილეობით.

ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები თურქმენეთიდან და აზერბაიჯანიდან თურქეთისაკენ მიმავალი გაზსადენის დასაპროექტებლად. ამ გაზსადენის ნაწილი გადის საქართველოს ტერიტორიაზე. სქემაზე აღნიშნულია გაზსადენის ტრასის ორი შესაძლო ვარიანტი. პირველით საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის შემდეგ გაზსადენი პარალელურად მიჰყვება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენს უკვე ხსენებულ მიმართულებას თურქეთის საზღვრამდე. მეორე ვარიანტით კი გაზსადენი უვლის თბილისს სამხრეთ-დასავლეთიდან და გორთან უერთდება აღნიშნულ ტრასას.

გაზსადენის ასეთი განლაგება საშუალებას გვაძლევს ავაცილოთ იგი შესაძლო დესტაბილიზაციის რაიონს, უზრუნველვყოთ ნავთობსადენისა და გაზსადენის ერთობლივი დაცვა და შევამციროთ მისი საექსპლოატაციო ხარჯები.

ჩვენი აზრით, კომუნიკაციათა შემოთავაზებული ვარიანტები პასუხობს სტატიის დასაწყისში მოყვანილ კრიტერიუმებს, იძლევა პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის საშუალებას და შეიძლება საფუძვლად დაედოს მაგისტრალების დაპროექტების შემდგომ სამუშაოებს.

გივი კიზირია,
პროფესორი;

ბორის მაისურაძე,
ინჟინერი.

ტრანსპორტი

ერთი ლუკმის ათასი მჭამელი

არცთუ ცუდად მუშაობს ხარაგაულის სააქციო საზოგადოება „ავტოტრანსი“, მას რაიონის თითქმის ყველა სოფელთან აქვს საავტობუსო მიმოსვლა, მუშაობს სატვირთო ავტოტრანსპორტიც. მიმდინარე წლის ექვს თვეში საწარმოს შემოსავალმა 20362 ლარს გადააჭარბა. აქედან რაიონის ბიუჯეტს ჩაერიცხა 5211 ლარი. მაგრამ ეს შედეგები შარშანდელთან შედარებით არც ისე სახარბიელოა. არის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზები.

საწარმომ შარშან რკინიგზის მეორე ლიანდაგის მშენებლობიდან შესრულებული სამუშაოსათვის 6431 ლარი მიიღო, წლეულს რკინიგზაზე მშენებლობა შეჩერდა, აღარ გამოჩნდნენ სხვა დამკვეთებიც. უფრო რთულადაა საქმე ავტობუსებიდან შემოსავლების მხრივ. საწარმოს უკანასკნელი 12 წლის მანძილზე არ განუახლებია პარკი. მძღოლებმა თვითონ უნდა შეისყიდონ საბურავები, საწვავი, აკუმულატორები, სხვა მარაგნაწილები, შეაკეთონ ტრანსპორტი და ამის შემდეგ გეგმაც აუცილებლად შეასრულონ.

მიმდინარე წელს ამას დაემატა სხვა სიძნელეებიც. შარშან მანქანაზე ლიცენზიის გადასახადი ყოველ სამ თვეში 6 ლარს შეადგენდა, წელს ლიცენზია შეიცვალა. საწარმოს სერტიფიცირების შემდეგ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება, აუცილებელია ავტომანქანათა ლიცენზირება ყოველ ექვს თვეში, რასაც 70-80 ლარი სჭირდება. ყოველივე ამას ემატება, ტენდერი ყველა მარშრუტზე და თანხა ბიზნეს-გეგმის შედგენისათვის ცალ-ცალკე. მძღოლმა 98 კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი, თუ არა და... ამას ემატება გრაფიკის გადასახადი 8-10 ლარი. ყოველ ექვს თვეში ტექნიკური დათვალიერების და დიაგნოსტიკის 70-80 ლარი, საგზაო ფონდის წლიური გადასახადი საშუალოდ 250-300 ლარი და... სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მისაცემი საწარმოს თითქმის აღარაფერი რჩება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საწარმომ თავისი ინიციატივით რაიონის ტერიტორიაზე უფასო მგზავრობის ნება დართო ომის მონაწილეებს, ინვალიდებს, მასწავლებლებს. მომრავლდა ე.წ. გადამზიდავი ფირმები. კერძო პირები 20-30 პროცენტით იაფად ემსახურებიან მგზავრებს. ასეთი კონკურენცია „ავტოტრანსისათვის“ დამღუპველია, გამკითხავი კი არ ჩანს. საწარმოს ხელმძღვანელებს თავის მძღოლებთან უხდებათ უსიამოვნო დაპირისპირება.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკური დათვალიერებისა და დიაგნოსტიკის შესაბამისი დოკუმენტის ასაღებად ხარაგაულელმა მძღოლებმა უნდა ირბინონ მეზობელ რაიონებში, სადაც ქვითრის გარეშე გაორმაგებულ თანხებს ახდევინებენ.

როგორც ვხედავთ, უამრავი ბიუროკრატიული, არაფრისმომტანი რგოლი შემოესია სატრანსპორტო დაწესებულებებს. ტრანსპორტელები ხელისუფლებისაგან ერთიანი სერტიფიცირებული სატრანსპორტო გადამზიდავი რგოლის შექმნას მოითხოვენ. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს ტექნიკური დათვალიერების დროულობაც და საწარმო ათასგვარი ხარჯებისაგანაც გაათავისუფლოს, ამით საწარმოც მოიგებს და ბიუჯეტიც.

ჰენრი შარიძაძე,
„სრ“ საკ. კორ.

გვწერენ

ჩემი მეზობელი პენსიას დროულად იღებს

ჩემს მეზობლად მოხუცი ქალბატონი ცხოვრობს. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, იგი კუთვნილ პენსიას ყოველთვის დროულად იღებს. იკითხავთ, საიდან, როგორაო?

მეც დავინტერესდი და დედაქალაქის 92-ე საფოსტო განყოფილებას (ნაძალადევის რაიონი) ვეწვიე. როგორც შევიტყვე, კავშირგაბმულობის ეს დანაყოფი არავითარი პრივილეგიით არ სარგებლობს. ფოსტის ნორმალური მუშაობის მთელი „საიდუმლო“ მისი უფროსის როლანდ ჯულელის პასუხისმგებლობასა და მოქნილობაშია.

— სავალალოა, სიმბოლური პენსიის მიღებაც კი საოცნებო რომ გამხდარა, — განაცხადა ბატონმა როლანდმა ჩემთან საუბარში, — უზომოდ მებრალებიან ასაკოვანი პენსიონერები, ვცდილობ მათთან ახლოს ვიყო და მძიმე ყოფა შევუმსუბუქო. თითქმის ყველა მათგანის ოჯახურ პირობებს ვიცნობ. მარტოხელა ავადმყოფ პენსიონერებს პროდუქტების შეძენაში ვეხმარებით. ვცდილობთ დროულად გავცეთ მათი კუთვნილი პენსიები. ამისათვის საკუთარი მეთოდები გვაქვს შემუშავებული.

არის შემთხვევები, როცა საპენსიო თანხა მაინც იგვიანებს. ასეთ შემთხვევაში ფოსტის დარბაზში შეკრებილი ფულის მომლოდინე პენსიონერები გაგებით ეკიდებიან ფოსტის უფროსის განცხადებას, რომ კუთვნილ პენსიას რამდენიმე დღეში მიიღებენ და მომავლის იმედით უსიტყვოდ იშლებიან. მათი დანაპირების ასრულება როლანდ ჯულელის უპირველესი მოვალეობაა. არც არასდროს გაუტეხია სიტყვა, ამიტომაც ენდობიან და სჯერათ მისი.

სასიამოვნოა, რომ დღევანდელ პირობებშიც კი მოიძებნებიან ღვთისნიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთ უპირველეს მოვალეობად ხალხის სამსახურს მიიჩნევენ.

ლილი ბუხრაძე.

რედაქციისაგან: ამ წერილმა შეუძლებელია არ დაგვაფიქროს და კითხვა არ აღგვიძრას: თუ ერთი საფოსტო განყოფილება პენსიებს დროულად არიგებს, სხვები ამას რატომ ვერ ახერხებენ? რედაქცია შეეცდება შესაბამისი სამინისტროს დახმარებით ამ საკითხს ნათელი მოჰფინოს.

წიგნი

გზამკვლევის როლს შეასრულებს

საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრებმა რევაზ კაკულიამ და გედევან ხელაიამ გამოსაცემად მოამზადეს „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორიის“ სახელმძღვანელო, რომელიც გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლების ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის.

სახელმძღვანელოში განხილულია ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უკუგდებულია ფულად-საკრედიტო, საბანკო, სადაზღვევო და სხვა ფინანსური პროცესების ძველებური, დრომოჭმული გაგება. მათი არსი გადმოცემულია არაკლასობრივი პოზიციებიდან, თანამედროვე ეკონომიკურ თეორიასთან მისადაგებით.

ავტორების თეორიულმა განსწავლულობამ, ღრმა პროფესიონალიზმმა და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივმა მოღვაწეობამ განაპირობა „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორიის“ სახელმძღვანელოს მაღალი მეცნიერული დონე.

ასეთი დონე გვაფიქრებინებს, რომ სახელმძღვანელო ეკონომიკური პროფილის სტუდენტებისათვის სამაგიდო წიგნად იქცევა. ის არის პირველხარისხოვანი ორიგინალური ნაშრომი, რომელსაც წინ უძღოდა ავტორთა მიერ დასტამბული ლექციების კურსი. სახელმძღვანელოს ავტორები საქმის ცოდნით და გასაგებად გადმოსცემენ ფულად-საკრედიტო ურთიერთობების რთულ პროცესებსა და მექანიზმს, თანაც „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორიის“ სახელმძღვანელო სრულ შესაბამისობაშია ამ დისციპლინის სასწავლო პროგრამასთან.

დარწმუნებული ვართ, სახელმძღვანელო საბაზრო ეკონომიკის რთული პრობლემების შესწავლის საქმეში გზამკვლევის როლს შეასრულებს, ხელს შეუწყობს ქვეყანაში სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებით განხორციელებას.

ვალერიან ზურაბიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

განსჯა

ხალხის კეთილდღეობა უზენაესი მიზანია

კავკასიის ხალხები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი ისტორიის სიძველით. მხოლოდ ცხოველმყოფელმა ძალებმა, უამრავი კატაკლიზმის მიუხედავად, მოახერხეს მათი თანამედროვეობამდი გადმოყვანა. ურთიერთგამდიდრების გზით, თვითმყოფადობის დაუკარგავად, ისინი მსოფლიოს სულიერ-მატერიალურ შედევრებს წარმოუჩენენ.

კავკასიის რეგიონი, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსებით, ულამაზესი და გამაჯანსაღებელი ბუნებით, ინტელექტუალური პოტენციალით, ყალიბდება იმ სახელმწიფოების პოლიტიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მსოფლიოში.

მსოფლიო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება კავკასიის რეგიონისადმი, პოსტსაბჭოთა სასიცოცხლო სივრცის იმ ნაწილისადმი, სადაც ჯერ კიდევ შეინიშნება პოლიტიკური ატავიზმების აღდგენა-რეანიმირების პროცესების წარმართვის მცდელობები, უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის თანაზიარობას ადამიანის ღირსებების ფასეულობათა ორიენტირებისადმი.

კულტურის რენესანსი კავკასიაში უზრუნველყოფს ცივილიზაციების განვითარებისა და დიალოგის ახალი პარადიგმების ძიების ეფექტიანობას, განსაზღვრავს ცხოვრების ხარისხზე ორიენტირებული მაღალი ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას.

საქმის წარმატება ნდობის ხარისხსა და გარანტიების სიმყარეზეა დამოკიდებული. ნდობის ხარისხის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ რეგიონული ინტეგრაციის ინტენსიფიკაციის მეშვეობით, რაც კავკასიურ სახელმწიფოთა შორის გონიერი და კომპეტენტური თანამშრომლობის საშუალებით მიიღწევა; ხოლო მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე მიმართული ამ ქვეყნების პრეზიდენტთა პოლიტიკური ნება ყველაზე მყარი გარანტიაა.

განსაკუთრებით ხაზგასმულია საქართველოს, ისევე, როგორც პროცესის ყველა მონაწილის, როლის მნიშვნელობა კავკასიურ ინტეგრაციაში, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობიდან და მეზობლებთან ყველაზე მეტად გაჯერებული ეთნიკური და კულტურული კავშირებიდან გამომდინარე. საქართველო რეგიონული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური მიკრო და მაკროპროექტების პოტენციური კატალიზატორი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მედიატორია.

2000 წლის 9 აპრილს ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნები, თავისი მნიშვნელობით საქართველოსთვის, მხოლოდ რეგიონული მნიშვნელობის არ გახლავთ. მსგავს ვითარებაში ერთიანი ძალისხმევით ვლინდება ხალხის ნება და უნარი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში.

ამომრჩეველმა კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ედუარდ შევარდნაძეს, მის პოტენციალსა და უშრეტ უნარს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო პოლიტიკის შემოტრიალება ერთიანობისა და ეკონომიკური აღმაველობისაკენ. ირწმუნა და აირჩია იგი საქართველოს პრეზიდენტად სტაბილური ეკონომიკური სილატაკის პირობებში, როცა კორუფცია, საზარელ თავებზე ძალაუფლების გვირგვინებმორგებული, ქვეყანაში მეჯლისს მართავს.

ბუნებრივია, რომ ავტორიტარულობის უძლიერესი ვირუსით ინფიცირებული პოლიტიკური სისტემიდან უცბად არ შეიძლება წარმოიშვას მისი ნარჩენი მოვლენებისაგან თავისუფალი პოლიტიკური სისტემა. ისიც ნათელია — საჭირო და შესაძლებელი იყო, არ შექმნილიყო დესტრუქციულობისათვის ისეთი მომგებიანი პირობები, რომელშიც გაძლიერდებოდნენ სახელმწიფოს უსაფრთხოების საფუძვლების დამანგრეველი ძალები.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ერთი წყება ანალიტიკოსების მიერ პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციისას გამოვლენილ ყოვლად დასაშვებ გარდუვალობად კვალიფიცირდება. ასევე არანაკლებ დამაჯერებელი არიან ქვეყანაში დესტრუქციული პროცესების სხვა შემფასებლები. ორივე დახასიათება ავსებს ერთმანეთს და ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას ამუქებს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე ედუარდ შევარდნაძის ხელახალი ყოფნის ყოველი წამი მიზანდასახული უნდა იყოს აღნიშნული დახასიათებების შესაცვლელად. აქვს თუ არა პრეზიდენტს მესაფერისი პოტენციალი და შესაძლებლობები ამ დაბრკოლებების გადასალახავად და არსებული საქმის ვითარების ტყვეობაში ხომ არ იმყოფება? ამ კითხვებზე პასუხი პრეზიდენტის მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ ლოგიკაში უნდა მოიძებნოს.

თუ მხედველობაში მივიღებთ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გონებრივ შესაძლებლობებსა და პოტენციალს, პოლიტიკურ პატივმოყვარეობასა და ამბიციებს, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი შეძლებს კაცობრიობის ისტორიის კარიბჭეში დამოუკიდებელი ძლიერი სახელმწიფოს აღმშენებლად შევიდეს.

სამყაროში, რომელშიც ყველაფერს აქვს მიზეზ-შედეგობრიობის კავშირი, გახდე შენი ქვეყნის სინონიმი და ამით საფუძველი ჩაუყარო ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ძირითადი მასის მიერ შეცნობას ქვეყნისა, რომელსაც მეთაურობ, ეს უკვე საქართველოსთვის ედუარდ შევარდნაძის და ედუარდ შევარდნაძისთვის საქართველოს საგანგებო დანიშნულებაზე მეტყველებს.

კულტურული ეპოქების სიღრმისეული ფენების გააზრების ხარისხი განსაზღვრავს იმ ფესვების სიძლიერეს, რომლითაც ადამიანი დაკავშირებულია თავის სამშობლოსთან. ამბობენ, კულტურული ეპოქები იმით ისაზღვრება, თუ რამდენად შეძლეს წინასწარმეტყველებმა, მოაზროვნეებმა, მხატვრებმა კაცობრიობისათვის თავისი გამოცდილების გაზიარებაო.

მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, როცა თავის გამოცდილებას გვიზიარებს, გამოთქვამს აზრს, განგების ნებაა, რომ ედუარდ შევარდნაძემ შეასრულოს თავისი მისია და ამის შემდეგ დიდხანს იცოცხლოს, როგორც თავისი ქვეყნის აპოლოგეტმა.

უდავოა, ცხოვრებისეულმა გზამ ედუარდ შევარდნაძე მიიყვანა კაცობრიობის იმ კარიბჭესთან, რომელიც ილება ადამიანთა მოდგმის მხოლოდ იმ რჩეულ წარმომადგენელთათვის, რომლებმაც საკუთარ თავში აღასრულეს ერთობა — სამშობლოს მადლიერი შვილისა და ხალხზე მზრუნველი მამისა.

საქართველოს სახელმწიფოს ახალი ფუნქციის რეალიზაცია ყველგან გაიგივებულია მის მეთაურთან — პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან და განისაზღვრება იმით, თუ რამდენად ნათელი იქნება მისი ხალხისთვის სახელმწიფო სტრატეგიის არგუმენტები; სტრატეგიისა, რომელიც, რაც უფრო შეეფარდება ეროვნულ მისიას, მით უფრო ადუღაბებს ერს თავის უფლებებით დაცულ პასუხისმგებლობაში კაცობრიობის ევოლუციურ-ისტორიული განვითარების წინაშე; აგრეთვე იმით, რამდენად შედეგიანად შეასრულებენ თავიანთ დანიშნულებას სახელმწიფო მმართველობის მექანიზმები. ამ ყველაფრის მისაღწევად უდიდესი ძალისხმევა იქნება საჭირო — საზოგადოებრივი მოწყობის აუცილებელი რეფორმირების სფერო უკიდეგანოა.

ქვეყნის კეთილმოწყობისათვის ტიტანური შრომაა გასაწევი. გადაჭრით უარსაყოფია პალიატიური ზომები, რომლებიც ქვეყანაში ჯერ კიდევ გაბატონებული სოციალური ანაქრონიზმების გადასალახავადაა მიმართული, რომელიც ავტორიტარულად მოაზროვნე ფუნქციონერებისათვის საზოგადოების მართვის ბერკეტების ხელმისაწვდომობის შედეგია, და როგორებიცაა: სტანდარტების სიმრავლე, ეროვნული დისკრიმინაცია, პროვინციული პატრიოტიზმი, კლანური პროტექციონიზმი, პროფესიული მოუმზადებლობა (განსაკუთრებით, პოლიტიკაში, რადგან პოლიტიკა ცხოველქმედების სხვა სფეროებზე მეტად ვერ იტანს დილეტანტიზმს), შემოქმედებითი არასრულფასოვნება, ნიჰილიზმი და ცინიზმი, რაც აუძლურებს, ფიტავს და ღუპავს ხალხის აღმშენებლობის ძალას, ფუნქციონერთა აზროვნების ავტორიტარულობა იწვევს საბაზრო ფსიქოლოგიის სტერეოტიპების ღრმად შეღწევას მასების შეგნებაში, რაც საბაზრო ეკონომიკის შავ ხვრელებს ქმნის.

გამოთავისუფლებული ენერგია, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა ხარჯავს ამ წინააღმდეგობების დასაძლევად, სავსებით საკმარისი იქნებოდა ქვეყნის ასაყვავებლად.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ მშენებარე სახელმწიფო ნაგებობის ხილული კონტურები (მიუხედავად ნაკლოვანებებისა) ამყარებს არა იმ რწმენას, რომ აქ მეტად გამოსჭვივის ინდივიდის ფორმალური განდიდება, რაც ადამიანის არსების ნგრევად შემოგვიბრუნდება, არამედ რწმენას, რომ იქ ყველა მყუდროდ იცხოვრებს, როცა გააგრძელებს ტრადიციებს, რომელიც საქართველოს დედაქალაქის არქიტექტურაში ადამიანთა შეგნების უმაღლესი ფორმების ტაძართა კეთილი თანამეზობლობითაა უკვდავყოფილი.

ტრადიცია ეს გზაა, რომელსაც მომავლისაკენ მივყავართ და რომელიც მაღალი ზნეობის უმდიდრესი მემკვიდრეობით მუდმივად ამტკიცებს თავის სარგებლიანობას ცხოველქმედების ყველა სფეროში. არა ცდებისა და შეცდომების მეთოდით, არამედ ხალხის აღმშენებლობით ძალებზე დაყრდნობით, შემოქმედებითი წარმოსახვით ქმნიან ფუნდამენტურ თეორიულ ბაზას და იღებენ თამამ გადაწყვეტილებებს, ედუარდ შევარდნაძესა და მისი პოლიტიკური ფილოსოფიის ადეპტებს ყველა შანსი აქვთ, წინ წარუძღვნენ საქართველოს მტკიცე ნაბიჯით სვლას XXI საუკუნეში.

სამყაროს განვითარების თანამედროვე ციკლში ხდება უდიდესი ისტორიული გადატრიალება, რომლის დროსაც (XX საუკუნის დასაწყისის ფაზისგან განსხვავებით, როცა მატერიალურობის შემოტევა მოხდა), ადამიანში სულიერების შეღწევა იწყება.

მსოფლიოში ამჟამად მხოლოდ იწყება წესრიგის დამყარება და ახალი პოლიტიკური ტექნოლოგიები თვალის დახამხამებაში ძველდება.

საქართველოს, რომელმაც მინიატურაში წარმოქმნა მთელი კაცობრიობის ისტორიული განვითარებისთვის დამახასიათებელი შტრიხები და ნათლად წარმოსახა ისინი აღმშენებლობისა და ნგრევის ეპოქებში, და მის პრეზიდენტს, რომლის პოლიტიკურ ოლიმპზე ყოფნის სტაჟი მოწმობს განსაკუთრებულ მიზანდასახულობაზე, რაც მოითხოვს შეუპოვრობასა და გამბედაობას, ფენომენალურ პოლიტიკურ გამჭრიახობას, გამორჩეული აზროვნების უნარს, რომელიც გამოიხატება რკინის ფარდებისა და ხალხის გამთიშველი ურწმუნობის ბეტონისებური ფსიქოლოგიური კედლების მოშლაში, აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, დაამყარონ წესრიგი საკუთარ სახლში და ამით კაცობრიობას შესთავაზონ უნივერსალური პოლიტიკური ტექნოლოგია, რომელიც გააერთიანებს ხალხებს მათი განუმეორებელი სახით, და ახალი მსოფლიო წესრიგის დაფუძნების ქვაკუთხედი გახდება.

ალექსანდრე როსტომოვი.

რეგიონული საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი „კავკასუსპრესი“.

თავანკარა ქართული

„უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო"

რაც დღეს მაღელვებს, მარტო ჩემი სადარდებელი არ არის. მას ქომაგთა სიმრავლე სჭირდება. აუცილებელი შეიქმნა მოძალებული უცხო სიტყვათა კორიანტელისაგან ქართული ენის სიწმინდის დაცვა.

იმედი მაქვს ქართული ენათმეცნიერება ვერ შეურიგდება და დაფუძნების საშუალებას არ მისცემს „სიმპტომური დაავადების" ვირუსს.

ქართული ანბანის პირველი კონტურები შორეულ წარსულში გამოიხაზა და არსებობის მახვილითა და ვარამით ჩამსრილი გადასახედიდან მარათონული გზა შესაშური სიცოცხლისუნარიანობით განვლო. ანბანთა ქების პირველი ალერსი საუკუნეთა სიღრმიდან მოგვყვა, მოგვყვა როგორც მუხლმაგარ მუხას ღრმა ფესვები. მზეუხვიანმა ქვეყანამ ზარდატეხილი ექო ციხე-სიმაგრეთა კედლებიდან შორს, სამყაროს უსასრულობაში მიმოფანტა და ქართული ენის გმირული მემკვიდრეობის მატიანე დარჩა, ამ ენაზე მეტყველი ერი არასდროს დაუძაბუნდება ზედმოსეულს, არავისზე და არაფერზე გასცვლის. ჰოდა, წვითა და დაგვით შექმნილ ჰიმნებზე აღზრდილმა რჩეულებმა, ბევრმა კი, უცხო ქვეყნებში სწორუპოვართა სახელით აღიარებულებმა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში უკანასკნელი სიტყვით „ვაი, ნანათი" მიიძინეს.

გმირთა მაგალითებით წვრთნის ისტორია ერს. წარსული ცხოვრების საძირკველში ბევრი, ბევრი უვარგისი ქვა ჩაგვიდევს და ეს რომ ასეა, გაცხადდა კიდეც. „რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ორი ათას წელიწადს ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის, თუ არა წინაპართა „საქმენი საგმირონი", — წერს ილია. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ქართულ ენაზეა ამეტყველებული მარგალიტის მძივებად ასხმული მსოფლიო პოეზიის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი", რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უმაღლესი კვარცხლბეკი დაისაკუთრა ღირსეულად.

დიდი ილია შეგვახსენებს „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება, თუ ამასაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას". ხომ არ გრძნობდა ეს გონებით დატვირთული ადამიანი მომავალ საშიშროებას ქართული ენის სიწმინდის გარშემო, როდესაც ამბობდა, ნუ ვიქნებით იმის მხილველი და მაცქერალი, რომ ცოდვამ მადლის პირბადე ჩამოიფაროს? ამ ენამ ჟამთა ხელის ქარბორბალას საშინელ ქროლვას გაუძლო და თავისი გამორჩეული იერსახით ადრე დამკვიდრებულმა განაგრძო არსებობა. მაგრამ „ჩემო კარგო ქვეყანავ", დღეს რა ხდება შენს წარსულით ნაიარევ თბილისში? აჭრელდა აქაურობა უცხოური წარწერებითა და მყვირალა ფირნიშებით, დასანანია, რომ დღევანდელობაში ბევრგან ქართული ენის უპირატესობა უკანაა გადაწეული. ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ქართული ენის უპირველესობას გვერდს უვლის და არაქართული ასოების „ჩაგვირისტებით" გამვლელ-გამომვლელს ამცნობს განძ-ფასეულობისა და სურსათ-სანოვაგით სავსე მაღაზიების არსებობას. ნურავინ იფიქრებს, რომ გონებითა და ზნეობით დავპატარავდით. დიდი წინაპრების შორეულ ლანდებს ჩვენი უნიათობა და სიძაბუნე რომ ეხილათ მათ გვერდით, აუგად მოგვიხსენიებდნენ. ამ დამამცირებელი ქმედების გამო კიჟინით გამოგვიდგებოდნენ და სამართლიანად.

არც ერეკლე მეფე გადაგვისმევდა თავზე ხელს. გიორგი სააკაძე კი ანანურის ციხის ღია გაკვეთილს ჩაგვიტარებდა უმგვანოთ. ბიბლია გვარიგებს „მწედ და მოსარჩლედ ექმენ საქმესო". ვინაა ამის გამკეთებელი? ბოლო ხანებში ქართულ წერით ფორმაში უცხო სიტყვათა დამკვიდრების ჩვევებმა იძალა, რომლის გაგების უნარი შესაბამისი დარგის კვალიფიციური თანამშრომლებისათვის, წარმოიდგინეთ, გაძნელებულია, შეიძლება მას დღეს დიდძალი ტაშის მკვრელი ჰყავს, მაგრამ მათი წინადადებებში ჩართვა, სხვა თუ არაფერი, აუცილებლად მოითხოვს წინასწარ განმარტებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, აზრი გაუგებარი რჩება. აი ნიმუშები: ინდიკატორული გეგმა — საჩვენებელი გეგმა, ინფრასტრუქტურული პროექტები — შიდა სტრუქტურული პროექტები, ემისია — გაფრქვევა, ამისია — კონცენტრაცია, იმიჯი — ავტორიტეტი, ეგიდი — ხელმძღვანელი, შოუ — სანახაობა, ალტერნატული — შემცვლელი, ნოსტალგია — მონატრება და ა. შ. აქვე ადგილი აქვს ტერმინოლოგიაში დამკვიდრებული სიტყვების „გადახალისებასაც". ასე, მაგალითად, წყალდიდობა გადმოქართულებულია, როგორც წყალმეტობა, რა ღირსება დევს ამ გამოთქმაში: წვიმისა და ნიაღვრების წყალმოვარდნები. წვიმისგან ნიაღვარი რომ მოვარდეს, ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ნიაღვრის წყალმოვარდნა აშკარად წვიმის გარეშე წარმოუდგენელია. და კიდევ ზოგიერთი სადავო ფრაზები, შაქრის სიმინდი, საბალანსო მერქნის გამენება. აბრაზიულ ნაკეთობათა წარმოება, ჯართის რედუქცია... და მისთანანი. საუბედუროდ, ყოველივე ეს ზოგიერთ კანონებსა და ოფიციალურ გამოცემებშია დასტამბული.

ჭეშმარიტების აღიარება მოითხოვს, ის თვალში საცემი სიცხადე აღინიშნოს, რომ „არიან სიტყვები, რომლებიც სიძველეთა საძვალეში უნდა იქნან შენახული" (კ. გამსახურდია), მაგრამ ღირსეულ მწერალს, მის გონებრივ სიფხიზლეს არასდროს მოსცილებია თვალსაწიერიდან სალიტერატურო ენის უცხოურ ბარბარიზმზე დაყრდნობა და დამაჯერებლობით გვკარნახობს, რომ აქ უმთავრესია „შინაგანი სესხი" ქართული ენაკავებიდან, უხმარი ლექსიკური მარაგის მოძიება და ამოქმედება. უფრო მეტიც XX საუკუნის მწერლობამ უნდა მოგვცეს ილიას ქართლურის, აკაკის იმერულის, ვაჟას ფშაურის, მეგრულისა და გურულის ენობრივი ელემენტების სრული „მოხმარება", რადგანაც ქართულ ენას არ გააჩნია მონათესავე ენათა ოჯახი, როგორც ფრანგულს — (რომაული ენები), ამდენად, ჩვენივე „სალაროში" არსებული განძის გამომზეურება დაგვჭირდება, თავი რომ დავანებოთ სანიმუშოდ მოყვანილ გამოთქმებს, ქართულ წერით ფორმაში „საშეგაცემულ" სიტყვებს.

ერთსაც დავძენ, ჩვენი უთაურობით ნუ ვამძიმებთ მდგომარეობას. დღენიადაგ საჭიროა ვმფარველობდეთ, ან უდანაშაულოდ არავის გავაქელვინოთ ამაგდარი მამულიშვილების წვითა და დაგვით შემონახული ქართული ენის უბერებელი კულტურა. აქვე მიზანშეწონილად მიმაჩნია, დავიმოწმო ილიას ნაანდერძევი, რომ „უცხოური სიტყვების შემოტანა ქართულში მაშინ არის დასაშვები, თუ ისინი საყოველთაოდ გავრცელებული არიან სხვა ენებშიც ან ქართულს მათი შესატყვისი სიტყვები არ მოეპოვება".

ამ წერილით საქართველოში არც ერთი უცხო ენის დამცირება არ განგვიზრახავს, მხოლოდ მშობლიური ენისა და მისი მართლწერის უპირატესობას მოვითხოვთ ყველგან და ყველაფერში, მათ შორის სარეკლამო წარწერებზედაც...

ქართულ ენას მართლაც საოცარი ჰიმნი უმღერა ირაკლი აბაშიძემ:

„უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა
უტკბესი შენ ხარ,
ენავ დედაო".

მოდი და ნუ მიაგებ პატივს დედის ენას. სუუ-თი არ უნდა დავაშინოთ ვახტანგის, დავითის, თამარისა და სხვა ძირძველ ქართველთა ღირსეული მემკვიდრენი. მშობლიურ ენას რუდუნებით მოვლა სჭირდება.

დემურ ჩიქობავა.

საქართველოს არაფერი დაეხარჯება

საქართველო არც ერთ თეთრს არ დახარჯავს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე, - განუცხადა ჟურნალისტებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ რევაზ ადამიამ.

მისი თქმით, მხოლოდ 2000 წელს აშშ 10 მილიონ დოლარს გამოყოფს საქართველოდან რუსეთის შეიარაღების გატანის პროცესის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში კი, 2001 წელს შესაძლოა დამატებითი თანხები გამოიყოს.

დიდი ბრიტანეთის ინიციატივით, ეუთოს ეგიდით, შესაძლოა სპეციალური ფონდი შეიქმნას საქართველოში ყოფილი რუსეთის სამხედრო ბაზების ტერიტორიებზე აუცილებელი, მათ შორის ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის უთუო სამუშაოების ჩასატარებლად.

ოფიციალურად, საქართველოს ტერიტორიიდან ვაზიანსა და გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა 1 აგვისტოს დაიწყო და 2001 წლის პირველ ივლისამდე უნდა დასრულდეს.

სასამართლო პროცესი კიდევ ერთი თვით გადაიდო

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის საქმეზე განსასჯელთა სასამართლო პროცესი, რომელიც სამშაბათს განახლდა უზენაეს სასამართლოში, კიდევ ერთი თვით, პირველი სექტემბრისათვის გადაიდო.

სასამართლო პროცესს სამშაბათს განსასჯელთა ახალი, სახაზინო წესით დანიშნული ადვოკატები ესწრებოდნენ.

დაახლოებით ერთი თვის წინ მოსამართლე იური ტყემელაშვილმა დარბაზი დაატოვებინა ყველა განსასჯელს. ამის შემდეგ, პროტესტის ნიშნად, პროცესი განსასჯელების ადვოკატებმაც დატოვეს. ადვოკატები განსასჯელების დაბრუნებას, მოსამართლე კი ადვოკატებისაგან მათი საქციელის გამო ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ.

გურამ აბსანძის სახაზინო ადვოკატმა დააყენა შუამდგომლობა აბსანძის პროცესზე დაბრუნების თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში განსასჯელი საკუთარ ადვოკატს უნდობლობას გამოუცხადებს. მოსამართლემ ადვოკატის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ, ახალმა ადვოკატებმა საქმის მასალების გასაცნობად დრო მოითხოვეს, რის გამოც მოსამართლემ პროცესი გადადო.

საპროტესტო აქცია

„პოლიტპატიმართა" უპირობო გათავისუფლების მოთხოვნით, პარლამენტის შენობის წინ პოლიტპატიმართა, პოლიტდევნილთა და პოლიტიკურ ორგანიზაციათა საკოორდინაციო ცენტრის და ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრთა საპროტესტო აქცია მიმდინარეობს.

აქციის მონაწილეებს შეხვდა პარლამენტის ეროვნული თანხმობის კომისიის თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე, რომელიც მათ ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრას დაპირდა.

„პოლიტპატიმართა" გათავისუფლების მოთხოვნით საქართველოს ციხეებში 160-მდე „პოლიტპატიმარი" შიმშილობს.

დააკავეს ყაჩაღური თავდასხმისათვის

მაღაზიის გამყიდველზე ყაჩაღური თავდასხმისათვის პოლიციელებმა ზუგდიდში 26 წლის გოჩა ბუკია დააკავეს.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, ბუკია ზუგდიდში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის გამყიდველს, სოფელ ახალსოფელში მცხოვრებ 44 წლის ეთერი ჭყონიას დანის მუქარით ართმევდა ნავაჭრ თანხას.

საქმეს იძიებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილება.

მოიპარა საფლავის ალუმინის ღობე

საფლავის ალუმინის ღობის ქურდობისათვის პოლიციამ სოფელ ნაბაკევში 22 წლის ალექსანდრე ცივიანოვი დააკავა.

როგორც პრაიმ-ნიუსს შსს პრესსამსახურში განუცხადეს, ცივიანოვმა ალუმინის ღობე ორშაბათს სოფელ ნაბაკევში მარო შენგელიას საფლავიდან მოიპარა. საქმეს იძიებს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის სამტრედიის განყოფილება.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

დედაქალაქი



ყველაფერი არ იჭმევა!

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ მხარი დაუჭირა დედაქალაქის მთავარი სანიტარიული ექიმის ჯ. ახვლედიანის ინიციატივას, ზაფხულის პერიოდში მალფუჭებადი პროდუქტებით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, — აცნობეს საქინფორმს თბილისის მერიის პრესსამსახურიდან.

ქალაქის მერის განცხადებით, სიცხეების დადგომასთან ერთად განსაკუთრებით აქტუალურია დედაქალაქის დასუფთავებისა და სანიტარიული მდგომარეობის პრობლემების დაუყოვნებლივ მოწესრიგება. სადღეისოდ მერიის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ კრწანისისა და საბურთალოს რაიონებში ათამდე უკანონო ნაგავსაყრელი და დასასუფთავებელი ტერიტორია გამოავლინა.

იმედები ვერ გაამართლა

თბილისის მერი ვანო ზოდელავა უკმაყოფილოა მსხვილგადამხდელთა სახელმწიფო ინსპექციის მუშაობით. როგორც დედაქალაქის მერმა 31 ივლისს გამართულ ოპერატიულ თათბირზე განაცხადა, წლის დამდეგიდან ამ უწყებამ საქალაქო ბიუჯეტს თითქმის მილიონი ლარი დააკლო.

მაქსიმალური ყურადღება

ჩვენი ქვეყნის საპენსიო ფონდში დედაქალაქმა 1 მილიონ 500 ათასი ლარი გადარიცხა, საპენსიო ფონდმა კი მხოლოდ 400 ათასი ლარი გასცა პენსიების სახით. თბილისის მერი ვანო ზოდელავა საპენსიო ფონდისაგან პენსიათა დავალიანების დროული დაფარვისათვის მკაცრი ზომების განხორციელებას მოითხოვს.

საქინფორმი.

პრობლემა

სანანებლად საქმეს ნუ გავიხდით, მივხედოთ სოფელს

საქართველო, მოგეხსენებათ, მთაგორიანი ქვეყანა, მისი ტერიტორიის 52 პროცენტი ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს, ვაკე ადგილებს კი 13 პროცენტი უკავია, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო სავარგულში სახნავის წილი მხოლოდ 25 პროცენტია. აღმოსავლეთ საქართველო მორწყვით მელიორაციას საჭიროებს, რომელიც მოვშალეთ, ამიტომ ჩვენს ქვეყანაში სარწყავი სისტემების გამართულობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, 1989 წ. ალაზნის და შირაქის ველზე საშემოდგომო ნათესები უნალექობის გამო მთლიანად გაითიბა ბალახად. გვალვიანი და მოუსავლიანი იყო 1998 წელი, ასევე გვალვიანი და მოუსავლიანია კახეთისათვის მიმდინარე წელიც.

მოგეხსენებათ, მცენარე მთლიანად უძლურია წყლის გარეშე, რადგან ის ნიადაგიდან ითვისებს წყალში გახსნილ მინერალურ ნივთიერებას და გზავნის ფოთოლში, სადაც მზის ენერგიის საშუალებით, ფოტოსინთეზით ხდება ორგანულ ნივთიერებად გარდაქმნა, რაც შემდგომ მცენარის ნაყოფს უბრუნდება, ისე რომ კონვეიერული სისტემით განუწყვეტლივ მოძრაობს მცენარეში საკვები ნივთიერება, რაშიც მთავარი მამოძრავებელი როლი ნიადაგში არსებულ წყალს ეკუთვნის. თუ ნიადაგი მშრალია და მასში არ გაიხსნა საკვები ნივთიერება, მცენარე მას ვერ შეითვისებს, ამიტომ აზრი არა აქვს ნიადაგში სასუქის შეტანას ნალექის, ან მორწყვის გარეშე. იქ, სადაც ნიადაგიდან ტენის აორთქლება აჭარბობს მოსული ნალექების რაოდენობას, მორწყვა აუცილებელი ღონისძიებაა.

ამიტომ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებისათვის, განსაკუთრებით კახეთის და ქართლის რაიონებისათვის მორწყვას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ალაზნის ველზე ნიადაგიდან ტენის აორთქლება 5-ჯერ აღემატება მოსული ნალექების რაოდენობას. სწორედ ესაა ნიადაგის დამლაშების მიზეზიც, რადგან გვალვის დროს მოურწყაობის პირობებში ნიადაგის ქვედა ფენებიდან გრუნტის წყლის საშუალებით (სადაც გახსნილია მარილი) კაპილარებით ამოდის ნიადაგის ზედაპირზე, ორთქლდება წყალი და მარილი რჩება ნიადაგის ზედაპირზე, რაც იწვევს ნიადაგის დამლაშებას. ამიტომ გვალვიან წლებში მორწყვის გარეშე ნიადაგის დამლაშება მატულობს.

ცნობილია, რომ უძველესი დროიდან საქართველოში განვითარებული იყო მორწყვითი მიწათმოქმედება. მაგალითად, უძველესია ქვემო ალაზნის სარწყავი არხი, რომელსაც თამარის არხს უწოდებდნენ. ასევე დღესაც, მრავალ ადგილას შესამჩნევია სხვა ადრინდელი არხების კვალი.

ერთ დროს, საქართველოში ინტენსიურად იყო განვითარებული ირიგაცია, რისთვისაც მილიონობით თანხები გამოიყოფოდა. 1931 წელს აშენდა ქვემო ალაზნის სარწყავი არხი, სარწყავი სისტემა, რომელიც 24000 ჰა-ს რწყავდა, ზუსტად იმდენს, რამდენსაც თამარის არხი, ხოლო რეკონსტრუქციის შემდეგ უნდა მოერწყა 31000 ჰექტარი. სარწყავი ფართობი 95000-დან 360000 ჰექტარამდე გადიდდა. ამავე პერიოდში დაშრობილი იქნა 110000 ჰექტარი ჭარბტენიანი ნიადაგი, ხოლო 1980 წლისათვის სარწყავი და დაშრობილი ნიადაგის ფართობი ორჯერ გაიზარდა.

ამიტომ, 1964 წლიდან დაიწყო ზემო ალაზნის უნიკალური სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც საკავშირო მშენებლობის № 1 კატეგორიის სიაში შედიოდა, რომელსაც უნდა გაესარწყავებინა ახმეტის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის და დედოფლისწყაროს რაიონები. აღნიშნული რაიონების სახნავი მიწის ფართობის 80-95 პროცენტი მოექცეოდა სარწყავ ზონაში, რითაც სარწყავი ფართობი მიაღწევდა 41500 ჰექტარს. ეს მთლიანად შეცვლიდა კახეთის მკაცრ ბუნებრივ პირობებს, მაგრამ დღეისათვის მოიშალა არა მარტო ალაზნის ველზე დაწყებული სარწყავი სისტემა, არამედ მთელი საქართველოს სამელიორაციო საქმიანობა, რაც დიდი საშიშროების წინაშე გვაყენებს.

აღმოსავლეთ საქართველოში მეორე დიდი მელიორაციული ობიექტი წნორის მეცხოველეობის კომპლექსი იყო, რისთვისაც მდინარე ალაზანზე მოწყობილი იყო 5 სატუმბავი სადგური, რომელიც 84 აგრეგატს და 10 ყუბანის ტიპის დამწვიმებელ აგრეგატს ამუშავებდა, რითაც 10000 ჰექტარი ირწყვებოდა, რის შედეგადაც ოაზისად გადაიქცა ალაზნის ველის ძლიერ დამლაშებული ნიადაგები. წნორის კომპლექსი იმდენ საკვებ ბაზას ქმნიდა, რომ არა მარტო 22000 სულ პირუტყვს კვებავდა, რაიონის კოლმეურნეობებსაც სათანადოდ ეხმარებოდა პირუტყვის საკვებით.

მოიშალა რა სარწყავი სისტემა, იმძლავრა გვალვამ. კვლავ დაიწყო ნიადაგიდან წყლის ინტენსიური აორთქლების გამო გრუნტის წყლის ამოწევა და ჭარბი მარილის ზევით ამოსვლა, დაიწყო ალაზნის ველის მეორადი დამლაშება, რითაც წყალში ჩაუყარეთ მისი ათვისებისთვის დახარჯული ათობით მილიონი დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ვალუტის ტოლფასი თანხა და მომავალ თაობას ედემის ბაღის ნაცვლად, რომლისთვისაც ამდენი დაიხარჯა, კვლავ ცარიელ მინდვრებს ვუტოვებთ.

მოურწყველობით მოუვლელ მიწას, რომლის გადასახადიც ძალიან ძვირია (ჰექტარი 35 ლარი), გლეხი თავს ანებებს, მიწის მუშა იძულებულია მიატოვოს თავისი მარჩენალი, რის გამოც ჩვენი მადლიანი მიწა გაუდაბნოებისაკენ მიდის. აი, რა დავმართეთ ჩვენი უგერგილობით მიწის მოყვარულ ქართველ გლეხს და მშობლიურ მიწას. მიატოვა რა მიწა პატრონმა, იმძლავრა სარეველამ, აი, ასე უპატრონოდ მიტოვებული, სარეველებში ჩაკარგულია ოდესღაც დოვლათით სავსე, დღეს გამოფიტული და დამსკდარი მიწა, რომელიც გმინავს და შველას ითხოვს და ეს გმინვა მხოლოდ მიწის პატრონს ესმის, ასე მგონია, ძახილი ხახაგამშრალი მიწისა ვერ აღწევს მაღალ ეშელონამდე.

ცნობილია, რომ მელიორირებულ მიწებზე მოდიოდა მოსავლის მხოლოდ 50-60 პროცენტი, მაგრამ დღეისათვის მელიორაციის დარგის დაუფინანსებლობის გამო წყალსამეურნეო ობიექტებში 10 წელია აღარ ტარდება სარემონტო-საექსპლუატაციო სამუშაოები. მდგომარეობა საგანგაშოა, რადგან კრიტიკულ ზღვარზეა მისული წყალსამეურნეო ნაგებობანი, რაც მეწყერული მოვლენების საშიშროებას ქმნის. განსაკუთრებით საშიშ მდგომარეობაშია მიწის კაშხალიანი წყალსაცავები. სახელმწიფო აღარ აფინანსებს წყალსამეურნეო სამუშაოებს. მაგალითად, 1998-99 წლებში მელიორაციული სისტემის მოვლა-პატრონობისა და საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის 265000 ჰექტარზე 28,4 მლნ ლარის ნაცვლად 8,5 მლნ ლარი გამოიყო. სავარაუდოა, რომ, თუ ასე გაგრძელდა ამ მეტად საჭირო და საშურ საქმეზე „მზრუნველობა", უახლოეს 2-3 წელიწადში მწყობრიდან გამოვა საქართველოს მთელი სარწყავი სისტემა, რომლის შემდგომ აღდგენასაც ვეღარ შევძლებთ და თუ შევძლებთ, ორმაგი დაიხარჯება. ამიტომ უნდა ავტეხოთ განგაში, დავაქუხოთ „დედოზარი" იმ ხელმძღვანელთა გასაგონად, რომელთაც არ ესმით მშობლიური მიწის გმინვა. მივხედოთ სოფლის მეურნეობას, თორემ მერე გვიან იქნება თითზე კბენანი.

უშანგი ჯიბლაშვილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

საქართველოს რესპუბლიკა
№207. ოთხშაბათი, 2 აგვისტო, 2000 წელი.

რესპუბლიკელებმა ბუშს დაუჭირეს მხარი

ამშ რესპუბლიკელთა პარტიის ყრილობაზე ჯორჯ ბუშ-უმცროსი, ტეხასის გუბერნატორი, ოფიციალურად დაასახელეს კანდიდატად მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში. რესპუბლიკელებმა ასევე მოიწონეს მისი წინასაარჩევნო პლატფორმა, რომელშიც იგი თავს „თანამგრძნობ კონსერვატორად" აცხადებს.

მაინც, რას წარმოადგენს ჯორჯ ბუშ-უმცროსი, კაცი, რომელმაც თავისი წინასაარჩევნო კამპანიისათვის 93 მილიონი დოლარი დააგროვა? ერთნი ეჭვობენ, რომ მას სურს, რევანში აიღოს ბილ კლინტონთან მამამისის დამარცხებისათვის, მეორენი ვარაუდობენ, რომ ბუშ-უმცროსის ამბიციები გაცილებით უფრო ღრმად იმალება.

იგი დაიბადა 1946 წელს კონექტიკუტში, ოჯახში, სადაც პოლიტიკა თითქმის მემკვიდრეობითი საქმე იყო: მისი პაპის პაპაც კი ვაშინგტონის სენატორი იყო. თავისი პოლიტიკური ამბიციები რომ ესაზრდოებინა, ოჯახი ქალაქ მიდლენდში გადავიდა და აქტიურად მოჰკიდა ხელი სამეწარმეო საქმიანობას ნავთობით მდიდარ მიწაზე.

პროვინციელი ყმაწვილი

ნორჩი ბუშისათვის ამერიკის პროვინცია თავისებური სამოთხე იყო — პატარა და მშვიდი. ჯორჯ-უმცროსი იქ დაწყებით სკოლაში დადიოდა, და იქვე შეუყვარდა ბეისბოლი.

უბრალო დაწყებითი სკოლიდან იგი გადავიდა უფრო ელიტურ დაწესებულებაში, კერძო სკოლაში, ხოლო შემდეგ პრესტიჟულ იელის უნივერსიტეტში. მის თანაკურსელებს ხშირად სმენიათ, როგორ უჩიოდა იგი უნივერსიტეტის კედლებში გამეფებულ არაჩვეულებრივ სნობიზმს, მაგრამ ზოგიერთი ამ უკმაყოფილებას მის საშუალო აკადემიურ წარმატებებს მიაწერდა.

ერთხელ ბუში დააპატიმრეს კიდეც, როდესაც ამხანაგებთან ერთად დათვრა და დაანგრია უნივერსიტეტის ფეხბურთის მოედნის კარი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თავიდან აიცილა ვიეტნამში გაგზავნა, ვინაიდან ტეხასის საჰაერო გვარდიის მოსამზადებელ ოცეულში შეიყვანეს.

რამდენიმე წლის შემდეგ ბუში კვლავ დაბრუნდა მიდლენდში, სადაც შეხვდა თავის საბედოს — ლორას, პროფესიით ბიბლიოთეკარს, ელეგანტურ და განათლებულ ქალს, რომელიც დაეხმარა, თავი დაენებებინა ლოთობისათვის, მაგრამ მისი დაბრუნების ძირითადი მიზანი იყო სურვილი, ნავთობის ბიზნესით ემოვა ფული.

ოქროს მთები

თავისი ოჯახის წევრების დახმარებით ბუშ-უმცროსმა ჩამოაყალიბა მცირე კომპანია და ინვესტორებს აშენებას შეჰპირდა. იყიდა, აგრეთვე, შტატის ბეისბოლისტთა წამყვანი გუნდის „ტეხას რეინჯერსის" აქციების ნაწილი, რაზეც შემდეგ ვარიანი ფული გააკეთა.

მაგრამ, მერე და მერე, ბუში სულ უფრო მეტად იხრებოდა პოლიტიკისაკენ და ახლა — ელიტური განათლება, გაკვეთილები, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლიდან გამოიტანა, და მისი კაპიტალი, — ყოველივე ეს დაეხმარა გამხდარიყო კანდიდატი რესპუბლიკელთა პარტიისაგან.

ოჯახი, ეკლესია, რომელშიც რეგულარულად დადის, და რამდენიმე კათხა ლუდი ბურთის თამაშის შემდეგ — ესაა ყველაფერი, რაც მას კმაყოფილებას ანიჭებს.

და როგორც საზოგადოებრივი აზრის ბოლო გამოკითხვები მოწმობს, ამერიკული ოცნების ეს მარტივი ვერსია, რომელიც რესპუბლიკელთა პარტიის წიაღში იშვა, ერთობ ნაყოფიერად მუშაობს ბუშის სასიკეთოდ, წერს დასასრულ **ეკატერინე ლინიჯი.**



თამბაქოს წევა – გაყრის საფუძველი

ეგვიპტელებს გაუჩნდათ განქორწინების ახალი შესაძლებლობა. საერთოდ მუსლიმანი მამაკაცებისათვის გაყრა არასდროს ყოფილა პრობლემა — მარიათის მიხედვით მათ შეეძლოთ ნებისმიერ მომენტში განქორწინებულიყვნენ. ქალისათვის კი ეს შეუძლებელი იყო. მაგრამ თანამედროვე ეგვიპტის კანონებმა ამ მხრივ შეზღუდეს ძლიერი სქესის უფლებები და ოდნავ გააფართოვეს სუსტისა. თუმცა სრულიად ეგვიპტის მუფტის ახალი განკარგულება ქალებს უზარმაზარ უფლებებს ანიჭებს. ეს სულაც არ არის ისლამის მღვდელთმსახურის საჩუქარი აფრიკელი ქალების საერთაშორისო დღის გამო, რომელიც 31 ივლისს აღინიშნა. ამ გზით დაიწყო მუფტიმ ბრძოლა ერის ჯანმრთელობისათვის. ახლა განქორწინების საფუძველი შეიძლება გახდეს ის ფაქტი, რომ ცოლი ან ქმარი თამბაქოს ეწევა.

წევის საწინააღმდეგო კამპანია ახალი მოვლენაა ეგვიპტისათვის. აქამდე სახელმწიფო იშვიათად უფიქრდებოდა თამბაქოს წევას და არ მიაჩნდა იგი მაინც და მაინც დიდ პრობლემად. მართალია, მწეველები ეგვიპტელთა მორის ყოველთვის იყვნენ, მაგრამ, ძირითადად, ამ კატეგორიას ხანდაზმულები შეადგენდნენ. ახალგაზრდებისათვის თამბაქოს წევა უკადრისად ითვლებოდა. მაგრამ ბოლო დროს ევროპული წესები სულ უფრო ღრმად იკიდებდა ფეხს საზოგადოების ცხოვრებაში, იეიწყებდნენ ძველ ადათ-წესებს და ახალგაზრდა თაობამ წევას მოუხშირა.

თუმცა თამბაქოს მრეწველობა სახელმწიფო მონოპოლიას წარმოადგენს, ხელისუფლებმა გადაწყვიტეს, ებრძოლონ ერისათვის მავნე ჩვეულებას, ვინაიდან სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშეს, რომ ეგვიპტელთა ნახევარს თავგამოდებული მწეველები შეადგენენ.

თამბაქოს წევის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტი გახდა რელიგია.

სამღვდელოების პირველი ნაბიჯი რადიკალური იყო — მუფტიმ ფარიდ ნასერ ვასელმა გამოსცა ფატვა (პროკლამაცია, რომელსაც მუსლიმანურ სამყაროში კანონის ძალა აქვს) სიგარეტის წინააღმდეგ. მაგრამ იგი საზოგადოებამ უგულებელყო.

მაშინ მუფტიმ განაგრძო ნიკოტინსაწინააღმდეგო კამპანია და გამოაცხადა, რომ ერთ-ერთი მეუღლის მიერ თამბაქოს წევა სავსებით მნიშვნელოვანი საბაბია განქორწინებისათვის.

საერთოდ თამბაქოს წევისადმი ასეთი დამოკიდებულება არ არის ტრადიციული არაბული ქვეყნებისათვის, თუმცა ისლამის ნორმების მიხედვით ყოველივე, რასაც ვნება მოაქვს ჯანმრთელობისათვის, ცოდვად ითვლება (ავიღოთ თუნდაც ალკოჰოლის უმკაცრესი აკრძალვა). ხოლო ქალის ინიციატივით განქორწინების პროცედურის გაიოლება — ეს პრაქტიკულად ნამდვილი რევოლუციაა. ისე კი, ეგვიპტელები ახლოსაც ვერ მიდიან ამ მხრივ იუდეველებთან — ორთოდოქს იუდეველებს უფლება აქვთ ცოლს გაეყარონ მაშინაც კი, თუ საუზმე ტაფაზე მიიწვა...

ვარსკვლავთმრიცხველის კუთხე

„მზისმიერი" აფეთქება ყავისფერ ჯუჯაზე

Chandra რენტგენულმა კოსმოსურმა ობსერვატორიამ პირველად აღმოაჩინა „მზის" აფეთქება ყავისფერ ჯუჯაზე, ანუ არმეძღარ ვარსკვლავზე. ამ აფეთქების ენერგია მზის მცირე აფეთქების ენერგიის შესადარია.



თუმცა ყავისფერი ჯუჯები იუპიტერთან შედარებით უფრო მცირე ზომისაა, ისინი გაცილებით უფრო მკვრივნი არიან და თავიანთ საკუთარ სინათლესასხივებენ, მაშინ, როდესაც იუპიტერი მზის შუქს ირეკლავს.

კაშკაშა რენტგენული აფეთქების კვლევა ხელს შეუწყობს უაღრესად მცირე მასის მქონე ვარსკვლავების მაგნიტური ველების ჩასახვის ბუნების დადგენას.

ობსერვატორიამ ვერ აღმოაჩინა ვერავითარი რენტგენული გამოსხივება ამ წყაროსაგან, რომელიც **LP** 944-20-ად არის რეგისტრირებული, 12-საათიანი დაკვირვებით პირველი ცხრა საათის განმავლობაში, ამის შემდეგ წყარო უეცრად აინთო, და კაშკაში შეიმჩნეოდა რამდენიმე მომდევნო საათის განმავლობაში.

გამოფრქვეული ენერგიის მიხედვით იგი შეედრება მზის მცირე აფეთქებას და მილიარდჯერ აღემატება იუპიტერის რენტგენულ აფეთქებებს. ასტრონომები თვლიან, რომ ასეთ აფეთქებათა ენერგიის წყაროა გრეხილი მაგნიტური ველები. ეს ყველაზე ძლიერი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ ყავისფერ ჯუჯებს და, შესაძლოა, ახალგაზრდა გიგანტურ პლანეტებს აქვთ მაგნიტური ველები, და რომ ენერგიის მეტი ნაწილი შეიძლება გამოფრქვეული იქნეს აფეთქების დროს.

კალიფორნიის ბერკლის უნივერსიტეტის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ აფეთქება „იშვა ყავისფერი ჯუჯის ზედაპირის ქვეშ ტურბულენტურ, დამაგნიტებულ ცხელ მასაში. ზედაპირისქვეშმა აფეთქებამ შეეძლო გაეხურებინა ატმოსფერო, გარეთ გამოეშვა ცხელი მასები და ამის შედეგად გამოეწვია რენტგენული აფეთქება — ელვის მსგავსად".

LP 944-20 წყაროს ასაკი დაახლოებით 500 მილიონ სინათლის წლად არის შეფასებული, მისი მასა იუპიტერისას 600-ჯერ აღემატება და შეადგენს მზის მასის 6 პროცენტს. დიამეტრი აღწევს მზის 0,1 დიამეტრს, გარსშემოვლის პერიოდი ხუთ საათზე ნაკლებია. წყარო მდებარეობს **Fornax** (ღუმელი) თანავარსკვლავედში, სამხრეთ ნახევარსფეროში, და შესაბამისად ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხელსაყრელი ყავისფერი ჯუჯაა, ვინაიდან დედამიწისაგან სულ... 16 სინათლის წლის მანძილზე მდებარეობს.

ყავისფერ ჯუჯებს მეტისმეტად მცირე მასა აქვთ საიმისოდ, რომ განავითარონ ბირთვული რეაქციები თავიანთ ბირთვებში. ჯუჯების ენერგიის ძირითადი წყაროა გრავიტაციული ენერგიის გამოთავისუფლება.

სურათზე: ყავისფერი ჯუჯას (ცენტრში) სიდიდე იუპიტერთან (მარცხნივ) და მზესთან (მარჯვნივ) შედარებით.

GALILEO: იშვიათი ნაპოვნი — კრატერი ევროპაზე

NASA-ს კოსმოსურმა ხომალდმა Galileo-მ აღმოაჩინა კრატერი, რომელიც ზომით დიდი ქალაქის ტოლია, იუპიტერის თანამგზავრ ევროპაზე. ამ კრატერის გამოკვლევებმა შეიძლება შუქი მოჰფინოს ევროპის იდუმალი ყინულის ზედაპირის ხასიათს.

ეს ფოტოსურათი გვიჩვენებს ევროპის ზედაპირთან კომეტის ან ასტეროიდის დიდი ხნის წინანდელი შეტაკების შედეგს. კრატერს — ფოტოსურათის ცენტრიდან ოდნავ მარჯვნივ მდებარე კაშკაშა მრგვალ ლაქას აქვს დაახლოებით 80 კმ დიამეტრი, რაც კრატერის სიდიდეს დედამიწის ქალაქების ზომასთან შესადარს ხდის. ამ კრატერის ფართობი შეადგენს დაახლოებით 5000 კვადრატულ კილომეტრს.

მოხელენი „კონკორდის" შველას ცდილობენ

გუშინ საფრანგეთ-ბრიტანეთის სამთავრობათაშორისო კომისია განიხილავდა „კონკორდ" ზებგერითი სამგზავრო ავიალაინერების ფრენის უსაფრთხოების ახალ ღონისძიებებს. კომისია ავრალური რეჟიმით მუშაობს იმიტომ, რომ კვირას კატასტროფის პირას აღმოჩნდა კიდევ ორი „კონკორდი".

ამ ორი დღის წინ ბრიტანეთის ავიაკომპანიამ ლამის კიდევ ორი თვითმფრინავი დაკარგა. **„British Airways"** კომპანიის პირველი „კონკორდი", რომელიც ლონდონ-ნიუ-იორკის რეისით მიფრინავდა, იძულებით დასვეს ნიუფაუნდლენდის კუნძულზე (კანადა). როგორც შემდეგ გამოირკვა, თვითმფრინავი ძირს დაუშვიათ იმის გამო, რომ ლაინერის სალონში ნავთის სუნი იგრძნობოდა. კომპანიის წარმომადგენლებმა ფაქტი დაადასტურეს. ამ დროს ბრიტანული „კონკორდის" ბორტზე იმყოფებოდა 53 მგზავრი, მათ შორის, მომღერალი ტომი ბენეტი და გიტარისტი ჯორჯ ბენსონი.

ეს მოხდა სულ რამდენიმე საათში მას შემდეგ, რაც იგივე კომპანიის მეორე „კონკორდი" ჰიტროუს აეროპორტში დააყოვნეს. აღმოჩნდა, რომ თვითმფრინავი, რომელიც ნიუ-იორკს უნდა გაფრენილიყო, ლონდონის აეროდრომის მოსამსახურეებს სათანადოდ არ მოუმარაგებიათ საწვავით. ლაინერის გაწყობას საათზე მეტი დასჭირდა.

„კონკორდის" კატასტროფისთანავე შექმნილი საფრანგეთ-ბრიტანეთის სამთავრობათაშორისო კომისია გუშინ შეუდგა ზებგერითი ავიალაინერების ფრენის უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებათა განხილვას. საფრანგეთის ტრანსპორტის მინისტრმა ჟან-კლოდ გესომ, ამ კომისიის თავმჯდომარემ, სხდომაზე მიიწვია ორი ქვეყნის იმ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც „კონკორდ" ლაინერების გამოშვებას და ექსპლუატაციას ეწევიან. გესოს გადაწყვეტილებით, საფრანგეთში „კონკორდის" ფრენა შეჩერებულია, სანამ არ დასრულდება პარიზის მახლობლად **„Air France"** კომპანიის თვითმფრინავის კატასტროფის გარემოებათა გამოძიება.

ამ მომენტისათვის ფრანგმა ექსპერტებმა უკვე გამოიტანეს ერთიანი დასკვნა თვითმფრინავის დაღუპვის მიზეზების გამო. კვირას მათ განაცხადეს, რომ ხანძარი თვითმფრინავის კუდის ნაწილში საწვავის გაჟონვამ გამოიწვია.

გარდა ამისა, გამომძიებელთა თქმით, ასაფრენ ზოლზე, საიდანაც „კონკორდი" აფრინდა, იპოვეს საწვავის ავზის ნაწილები, ეს ადასტურებს ვერსიას, რომლის თანახმადაც თვითმფრინავს საბურავი გასკდა, რის შემდეგაც ბორბლის ფრაგმენტებმა გახვრიტეს სათბობის ავზი.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პარიზის „შარლ დე გოლის" აეროპორტში აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ თვითმფრინავი სასტუმროს შენობას შეასკდა და აფეთქდა. დაიღუპა თვითმფრინავში მყოფი 109-ვე კაცი, აგრეთვე, ხუთი ადამიანი დედამიწაზე. ეს იყო „კონკორდის" პირველი ავარია მისი თითქმის 30 წლის ისტორიის მანძილზე. ახლა „ერ ფრანს" ავიაკომპანიას ამ ტიპის ხუთი, ხოლო ბრიტანეთისას — შვიდი თვითმფრინავი დარჩა.

„British Airways"-ის წარმომადგენლებმა გამოავლინეს მზადყოფნა, რომ დაიცავენ თავიანთი კომპანიის ღირსებას, და „გაზეტა.რუ"-ს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ მათი ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემა ყველაზე საიმედოა მსოფლიოში. ბრიტანეთის კომპანიის წარმომადგენელთა თქმით, 2000 წლის იანვრიდან მათ ამ უსაფრთხოებაში უკვე 950 მილიონ დოლარზე მეტი დააბანდეს.

ორშაბათს ბრიტანეთის კომპანიამ განაცხადა, რომ ორი საკვირაო ინციდენტი აბსოლუტურად არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და წმინდა წყლის დამთხვევაა. **„Air France"**-საგან განსხვავებით, ბრიტანეთის კომპანია არ აპირებს თავისი შვიდი „კონკორდის" რეისების გაუქმებას, წერს დასასრულ **სერგეი ივაშკო** ინტერნეტ-გაზეთის გუშინდელ ნომერში.

მილოშევიჩმა შეთქმულება გახსნა

იუგოსლავიის ინფორმაციის მინისტრმა გორან მატიჩმა ჟურნალისტებს უჩვენა ვიდეოფირი, რომელზეც აღბეჭდილია ექვმიტანილთა იარაღი, აგრეთვე, ერთ-ერთი დაკავებულის აღიარება. ჰოლანდიელი გოტფრიდ დე რის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჯგუფს განზრახული ჰქონდა მილოშევიჩის მოკვლა. ფირზე აღბეჭდილია რუკები, სამხედრო აღჭურვილობა, დანები და ფოტოაპარატები.

მატიჩის თქმით, ჰოლანდიელები დააპატიმრეს ბელგრადიდან 500 კილომეტრზე ჩერნოგორიის საზღვრის მახლობლად. გამოძიების აზრით, ყველანი არიან პროფესიონალი კილერები და მუშაობენ ნატოს სადაზვერვო სტრუქტურებზე. იუგოსლავიის ხელისუფალნი ხაზს უსვამენ კავშირს მკვლელობის მცდელობასა და იმ ფაქტს შორის, რომ ექვმიტანილი დერი ნიდერლანდის რეგულარულ არმიაში მსახურობდა.

СОЦИЈА
ПАРТИЈА
СРБИЈЕ

ექვმიტანილი იოჰანეს ვან იერსევის აღიარებით, ჯგუფი ეძებდა იმ პირებს, ვისაც წაყენებული აქვს გაეროს ომის დანაშაულობათა ტრიბუნალის ბრალდება. იმ შემთხვევაში, თუ ჰოლანდიელები მილოშევიჩს შეიპყრობდნენ, ჯგუფს „იუგოსლავიის პრეზიდენტი მანქანის საბარგულში უნდა დაემალა" და ასე გაეყვანა ქვეყნიდან. დანარჩენ ექვმიტანილთა გეგმები კიდევ უფრო სისხლიანი ყოფილა. მათ განზრახული ჰქონიათ, მოეკლათ პრეზიდენტი მილოშევიჩი, შემდეგ მოეჭრათ მისთვის თავი და ჩაეტანათ ბილ კლინტონისათვის „რვეულის" სამიტზე სპეციალური სათხილამურო ბუდით. მინისტრის თქმით, ოთხ ჰოლანდიელ მოქალაქეს უნდა მიეღო დასავლეთის სპეცსამსახურების მიერ დანიშნული ჯილდო — 5 მილიონი დოლარი. ფულს ჰპირდებოდნენ იმათაც, ვინც იშოვიდა ინფორმაციას, თუ როგორ შეეპყროთ ყოფილი იუგოსლავიის ყველაზე მაღალი თანამდებობის დამნაშავენი.

ორშაბათ საღამოს ნიდერლანდის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ არ გააჩნია არავითარი ცნობები დაპატიმრებულ ჰოლანდიელთა საიდუმლო მისიის შესახებ და აღნიშნა, რომ სწავლობს მათდამი წარდგენილ ბრალდებებს. ნიდერლანდის მთავრობის წყაროს თქმით, დაპატიმრებულნი სავსებით შეიძლება უბრალოდ ტურისტები იყვნენ. შარშან მათ ხორვატეთსა და ჩერნოგორიაში დაისვენეს, სადაც ტურისტებად იყვნენ ჩასული. ჰოლანდიის ხელისუფალთა არაოფიციალური განცხადებით, იუგოსლავიის მთავრობამ შეიძლება, ეს დაპატიმრება ანტიდასავლური პროპაგანდისათვის გამოიყენოს.

კოსმოსური ბომბის სიმძლავრეა 10 მლრდ მლრდ მლრდ მეგატონა!

საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ასტრონომებმა აღმოაჩინეს ვარსკვლავი, რომელიც მოახდენს ჩვენს სამყაროში ერთ-ერთ უდიდეს აფეთქებას. ეს ვარსკვლავი, რომელიც ცნობილია **CPD** 1930+2752-ის სახელწოდებით, აფეთქდება, ოღონდ, არა ახლო მომავალში, არამედ მომდევნო 200 მილიონი წლის მანძილზე.

CPD 1930+2752 ფაქტობრივად ორი ვარსკვლავია. ერთი — ცხელი და კაშკაშა, ხოლო მეორე — სუსტი, მკვრივი ვარსკვლავი — თეთრი ჯუჯა. ცხელი ვარსკვლავი თეთრი ჯუჯას გარშემო ბრუნავს ზუსტად ისევე, როგორც დედამიწა — მზის გარშემო, ოღონდ საათში მილიონი კილომეტრის სიჩქარით, და მას სულ 137 წუთი სჭირდება, რათა გარს შემოუაროს კომპანიონ ვარსკვლავს.

მაგრამ **CPD** 1930+2752-ის სისტემა განწირულია. ენერგიას წარიტაცებენ გრავიტაციული ტალღები — ენერგიის ტიპი, რომელიც აინშტაინის ფარდობითობის ზოგადი თეორიით არის ნაწინასწარმეტყველები. ასე რომ, ვარსკვლავები ერთმანეთს შეეჯახებიან მომდევნო 200 მილიონი წლის განმავლობაში.

ასეთი აფეთქებანი, რომლებიც ცნობილია როგორც **LA** ტიპის ზეახალთა აფეთქებები, გარემო სივრცეს აჯერებენ ისეთი მძიმე ქიმიური ელემენტებით, როგორიცაა რკინა, ნიკელი და კობალტი. დედამიწაზე არსებული თითქმის მთელი რკინა წარმოებულია ასეთი აფეთქებების დროს მილიარდობით წლის წინათ, მათ შორის, ჩვენს სისხლში შემავალი რკინაც.

ეს გამოსახულება, რომელიც ჰაბლ კოსმოსური ტელესკოპით არის მიღებული 1994 წლის თებერვალში, გვიჩვენებს, 1987**A** ზეახალის გარემომცველი მოგიზგიზე ალის სამ რგოლთა სისტემას. დიდი მაგელანის ღრუბლის მცირე გალაქტიკაში მდებარე ეს ზეახალი ობიექტი არის მასიური ვარსკვლავი, რომელიც აფეთქდა დაახლოებით 165 000 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მაგრამ მისგან მომავალმა შუქმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 1987 წლის თებერვალში.

CPD 1930+2752-ზე დაკვირვება აპრილში განხორციელდა ნიუტონის ტელესკოპით.

ბედმა მართლაც სანეხვეზე იპოვა

ბოლივიელი მაწანწალა გაექცა პოლიციას, რომელიც დაეძებდა, რათა ეცნობებინა, რომ იგი... მულტიმილიონერი გახდა.

უსახლკარო, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს ქალაქ სანტა-კრუს-დე-ლა-სიერას ქუჩებში, ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ პოლიციამ გადაწყვიტა, დაეკავებინა იგი ალკოჰოლისა და ნარკოტიკზე მიძალებისათვის. სინამდვილეში სამართალდამცველი ორგანოები მხოლოდ ეხმარებოდნენ კერძო დეტექტივს, ეპოვა ეს კაცი, რომელსაც წილად ხვდა მემკვიდრეობა ექვსი მილიონი (!) დოლარის ოდენობით.

ადგილობრივი პრესის მონაცემებით, უსახლკარო ერთ დროს შეძლებული ბიზნესმენი ყოფილა, მაგრამ შემდეგ გაკოტრებულა და ქვეყნიდან გადახვეწილა. მაწანწალის ძებნას შეუდგა მისი ცოლყოფილი, რომელსაც სურს, ქმარს უწილადოს დიდი მემკვიდრეობა, რომელიც ახლახან მიიღო.

ვატიკანი და აშშ იერუსალიმის სტატუსს განიხილავენ

იერუსალიმის სტატუსის — პალესტინა-ისრაელის მოლაპარაკების ბოლო სადავო პუნქტის გამო მოლაპარაკება გადავიდა ვატიკანში, სადაც გაიმართება შეხვედრები აშშ სახელმწიფო მდივანს მადლენ ოლბრაიტსა და მის ვატიკანელ კოლეგას ჟან ლუი ტარონს შორის.

იერუსალიმის საკითხს შეუძლია, მთელი ახლო აღმოსავლეთის პროცესის ბედი გადაწყვიტოს. სწორედ ამიტომ, ოლბრაიტი შეეცდება, შეიპიროს ვატიკანის მხარდაჭერა ვაშინგტონის პოზიციის გასამაგრებლად. ამ მხრივ ყველაზე რთულია ძველი ქალაქის პრობლემა, რომელსაც თავიანთ სალოცავად თვლიან ქრისტიანებიც, იუდეველებიც და მაჰმადიანებიც.

კემპ-დევიდის მოლაპარაკების ჩაშლიდან ცოტა ხნის შემდეგ პაპმა იოანე პავლე მეორემ წამოაყენა წინადადება, მიენიჭოს ქალაქს განსაკუთრებული საერთაშორისო სტატუსი, რომელსაც საერთაშორისო გაერთიანება დაურთავს გარკვეულ გარანტიებს. ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟან ლუი ტარონი და მადლენ ოლბრაიტი განიხილავენ ამ წინადადების დეტალებს.

ოლბრაიტი, გარდა ამისა, შეეცდება, ვატიკანს მიაღებინოს პრობლემის მოგვარების ვაშინგტონისეული ხედვა. თუმცა შეერთებული შტატები უარს ამბობს, საჯაროდ განიხილოს თავისი პოზიცია იერუსალიმის საკითხში, ოლბრაიტმა მაინც განაცხადა, რომ ნებისმიერი შეთანხმება უნდა შეიცავდეს კომპრომისებს წმინდა ადგილების — ძველი ქალაქისა და იერუსალიმის სხვა უბნების სტატუსის გამო.

ამავე დროს, ოლბრაიტმა აღიარა, რომ არც პალესტინელები და არც ისრაელები არ არიან დაინტერესებულნი იმით, რომ ქალაქს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭოს.

ოლბრაიტის ვიზიტი ვატიკანში — ეს არის შეერთებული შტატების მორიგი ცდა, შეიპიროს თავისი სამშვიდობისმყოფლო ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებმაც მარცხი განიცადეს კემპ-დევიდის მოლაპარაკებაზე. ვატიკანის შეხვედრების გარდა, ამჟამად სახელმწიფო დეპარტამენტი მართავს აგრეთვე მთელ რიგ ანალოგიურ შეხვედრებს არაბული ქვეყნების ლიდერებთან, წერს დასასრულს — ბი-ბი-სის — ვაშინგტონელი კორესპონდენტი **რიჩარდ ლისტელი.**

სურათზე: ქალაქის სტატუსზე ბჭობდნენ იერუსალიმში პაპის ვიზიტის დროს.

ნაპოვნია უძველესი უნიტაზი

როგორც გამოირკვა, ჩინელებს გამოუგონიათ არა მარტო დენთი და წიგნის ბეჭდვის ხელოვნება. უცნობ ჩინელ ბრძენკაცს უნდა ვუმადლოდეთ აგრეთვე უნიტაზის გამოგონებასაც.

ძველი ჩინეთის პირველი მცხოვრები ქვის ჩეჩმაზე დასკუპებულა ორი ათასწელიწადზე მეტი ხნის წინათ, ანუ თითქმის ათი საუკუნით ადრე იქამდე, ვიდრე რომაელები გაიმეორებდნენ ამ დიად აღმოჩენას.

სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანეს არქეოლოგებმა, რომლებმაც გათხარეს ხანის დინასტიის იმპერატორის სამაროვანი (ეს დინასტია დასავლეთში მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის 206 წლიდან ახალი წელთაღრიცხვის 24 წლამდე). იმპერატორის ჭირისუფლებს უფიქრიათ, რომ ცხონებულ მბრძანებელს საიქიოშიც დასჭირდებოდა სააბაზანო ოთახი, ამიტომ იმპერატორის აკლდამისათვის არ მოუკლიათ ყოფითი კომფორტის მოწყობილობა.

აკლდამის აღმომჩენ ჩინელ მეცნიერს ტუალეტი იმდროინდელი კაცობრიობის უდიდეს აღმოჩენად და ძველი ჩინეთის მაღალი სოციალური განვითარების სიმბოლოდ მიაჩნია. თუმცა ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ იმ დროს, მართალია, ტუალეტები იყო, მაგრამ არ იყო ტუალეტის ქაღალდი, რომლის დამზადებაც პირველად დაიწყეს ხის ქერქისა და მერქნისაგან მხოლოდ ახალი წელთაღრიცხვის 100-იან წლებში...

ვინც აქ ერთი საათი მაინც დაჰყო,
მუდამ ჩვენთან ჩამოვა
ბათუმის სასტუმრო „ლო-ბაკური".
ტელ: 7-69-30, 7-63-21.

სს „ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატი"
იწვევს სს-ის აქციონერების საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2000 წლის 24 აგვისტოს ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში.
დღის წესრიგი:
1) დირექტორატის ანგარიშის მოსმენა
2) ორგანიზაციული საკითხი.
აქციონერების დასწრება აუცილებელია.
სამეთვალყურეო საბჭო.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით გვერდს უძღვებიან
არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

ქრისტეშობა - 2000

„დადგა ჟამი მოციქულებრივი მისიონერობისა“...

2000 წლის წინათ კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო. ღმერთი განკაცდა, შეიმოსა ადამიანური ბუნება და შედეგად ამისა, კაცი განიღმრთო, ანუ სულიწმიდის მადლით აღივსო. განკაცებულმა ღმერთმა თავისი ჯვარცმითა და სიკვდილით დათრგუნა ეშმაკი, შემუსრა ჯოჯოხეთი და განგვიხსნა ბჭენი სასუფეველისანი. ადამიანის სულის გათავისუფლება ხორციელი ბუნების ტყვეობისაგან ქრისტიანობის უმთავრესი მონაპოვარია: „...უკეთუ ვისმე ჰსწყუროდეს, მოვედინ ჩემდა და ჰსუემდინ“ (იოანე 7,37) – ბრძანებს უფალი.

ბედნიერია ქართველი ერი, რადგანაც იგი პირველივე საუკუნიდან დაეწაფა ღვთაებრივი სიცოცხლის წყაროს. გაუძლო 20-საუკუნოვან გამოცდას და შეუმწიკვლელი სარწმუნოებით ხვდება ღვთის განკაცების 2000 წლისთავს. მართალია, ბოლო საუკუნეებში ჩვენმა ეკლესიამ მძიმე განსაცდელი გამოიარა, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში სარწმუნოება უაღრესად შესუსტებული იყო, რაც ზოგიერთებში დაბნეულობასა და მერყეობას იწვევდა.

მაცხოვრის შობის 2000 წლისთავი ყოველი ქრისტიანი ერი ცდილობს საგანგებოდ აღნიშნოს. ყოველი ახალი წლის დადგომისას იკურთხება გვირგვინი წელიწადისა. ამ კურთხევით ერი აღივსება ღვთის მადლით მიმდინარე წლის მშვიდობიანი აღსრულებისათვის. ბუნებრივია, რომ ჩვენ, ასევე, გამოვითხოვთ უფლისაგან კურთხევას ახალი საუკუნისათვის ან ახალი ათასწლეულისათვის.

ქართლის მოქცევისათვის უფლისადმი მადლიერების გამოსახატავად ჩვენმა ეკლესიამ აირჩია წმინდა ადგილების მილოცვის ტრადიცია. შედგენილი იქნა ორი მარშრუტი: პირველი გზა – მოციქული ანდრია პირველწოდებულისა, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ქრისტიანობის ქადაგების დაწყება საქართველოში. მეორე გზა – მოციქულისა ნინოსი, რომელმაც დაგვაგვირგვინა მოქცევაი ქართლისაი.

თანახმად წმიდა სახარებისა, იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს მისცა მითითება წასულიყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში და გაევრცელებინათ ქრისტიანობა – „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველი წარმართი და ნათელს სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“ (მათე 28,19).

ღვთისმშობელმა მარიამმა მოისურვა მონაწილეობა მიეღო მოციქულებრივ ქადაგებაში. მას წილად ხვდა საქართველო, ამიტომ ეწოდება საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრი. დედაღვთისა გასამგზავრებლად გაემზადა, მაგრამ, ვინაიდან მოახლოებული იყო ღვთისმშობლის მიძინება, უფალმა ისურვა მისი იერუსალიმში დარჩენა. ღვთისმშობელმა უხმო ანდრია პირველწოდებულს, გადასცა მას თავისი ხელთუქმნელი ხატი და გამოგზავნა საქართველოში ქრისტეს სჯულის საქადაგებლად.

ანდრია პირველწოდებული მეთევზე იყო, ძმა პეტრე მოციქულისა. თავდაპირველად ანდრია იოანე ნათლისმცემლის მოწაფე იყო, მაგრამ როგორც კი მაცხოვარი იხილა, მაშინვე დაემოწაფა მას და პირველმა აღიარა იესო ქრისტე მესიად.

ანდრია პირველწოდებული პირველად ქალაქ ტრაპიზონში მოვიდა, შემდეგ დიდაჭარაში, სადაც სახარება იქადაგა. მოციქულმა მრავალი ჭირი და განსაცდელი გამოიარა, მაგრამ ღვთის შეწევნით ყოველივე დაითმინა და მრავალი მოაქცია. იმ ადგილას, სადაც ყოვლადწმიდის ხატი დაასვენა, ბუნებრივმა წყარომ გადმოსჩქეფა (რომელიც დღესაც მოედინება). ანდრია პირველწოდებულმა იქაურ ქართველებს დაუდგინა მღვდლები, დიაკვნები და ღვთისმშობლის სახელზე ეკლესია ააშენა. წმინდა ანდრია მოციქულმა გამოიარა მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდა (ის ჯვარი თვით ანდრიას მიერაა აღმართული). ასევე გამოიარა ოძრხის ხევი (აბასთუმანი), მოვიდა სამცხის საზღვართან და დაივანა სოფელ ზადენ-გორაში. შემდეგ გადავიდა სოფელ აწყვერში (ბორჯომის ხეობა). მოციქული ანდრია საქართველოს სხვა კუთხეებში გაემართა საქადაგებლად. ჩავიდა ტაოში, მდინარე ჭოროხამდე.

ამის შემდეგ წმინდა ანდრია პირველწოდებული კიდევ რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში და თან ჩამოიყვანა სხვა მოციქულები – სვიმონ კანანელი და მატათა. მოციქულები შევიდნენ აფხაზეთში და სებასტოპოლში (სოხუმი), სადაც მრავალი მოაქციეს. საქართველოს გარდა, ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა ბიზანტიაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ყირიმში და სკვითიაში. წმინდა ანდრიამ თავისი მოციქულებრივი გზა ბერძნულ ქალაქ პატრში დაასრულა. აქ იგი ეპარქმა ჯვარს აცვა ახალი მოძღვრების გავრცელებისათვის. მოციქულის წმიდა ნაწილები ჯვაროსნებმა იტალიაში წაიღეს. ისინი მხოლოდ მეოცე საუკუნეში დაუბრუნდა საბერძნეთს და ამჟამად დასვენებულია ქალაქ პატრში.

მოციქული მატათა დაკრძალულია გონიოს ციხე-სიმაგრეში (აბასთუმანთან ახლოს), ხოლო სვიმონ კანანელის საფლავი ახალ ათონშია.

ქართველთა შორის ქრისტიანობა რამდენიმე მოციქულმა გააავრცელა, მაგრამ ქართული ეკლესია დააარსა წმინდა მოციქულმა ანდრიამ, რადგანაც მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყვერში და დააფუძნა საეპისკოპოსო კათედრა. ამრიგად, საქართველოში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) I საუკუნიდან იღებს სათავეს.

ხოლო წმინდა ნინო განმანათლებელი საქართველოში ჯავახეთის მხრიდან შემოვიდა, სადაც ფარავნის ტბასთან ორი დღე დაჰყო. მცხეთისაკენ მიმავალმა ქალაქ ურბნისამდე მიაღწია. ურბნისელები უცხო ღმერთებს, კერპებს ეთაყვანებოდნენ. მცხეთელები გაცისა და გაის კერპებს. შეწუხებულმა ნინომ შესთხოვა ღმერთს: „უფალო, მოხედენ წყალობით ამათ... აჩუენე ძლიერება და ყაჳ-სასწაული, რათა იხილონ ერთა ამათ მაცხოვარებაი შენი და შენდა მხოლოსა შეწირონ დიდება და თაყვანისცემა“. ლოცვის დასრულების შემდეგ საშინელი ქარი ამოვარდა. ძლიერმა სეტყვამ შემუსრა და მტვრად აქცია კერპები. ექვსი წელი ცხოვრობდა წმინდა ნინო მცხეთაში, სამეფო ბაღის მცველის სახლში. ლოცულობდა, მკურნალობდა სნეულთ, ქრისტეს სჯულზე მოაქცია მცხეთელები. წმინდა მოციქულთასწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა ქრისტიანობა. წმინდა ნინო დაკრძალულია ბოდბეში. იგი ქართლში მოსელიდან, მეთოთხმეტე წელს გარდაიცვალა.

ამრიგად, გვიახლოვდება ქრისტეშობის ორიათასი წელი, რომელსაც მომავალ წელს დიდი ზეიმით აღნიშნავს მთელი მსოფლიო. საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლება უკვე ემზადება ამ თარიღის აღსანიშნავად. ანდრია პირველწოდებულის გზა დაიწყო აჭარაში წმინდა მოციქულ მატათას საფლავიდან (გონიო) 14 მაისს (ამ მისიას უძღვება შემოქმედელი ეპისკოპოსი იოსები და საგარეჯოსა და გურჯაანის ეპისკოპოსი ანდრია). წმინდა ნინოს გზა კი ტრადიციულად ჯავახეთში ფარავნის ტბიდან, 1 ივნისს, რომელსაც უძღვება ბოდბელი ეპისკოპოსი მეუფე ნიკოლოზი, დღესასწაულის ორგანიზატორი ცხუმ-აფხაზეთის მღვდელმთავარი მეუფე დანიელია. მომლოცველთა მოგზაურობა ნოემბრის ბოლომდე, დაახლოებით 6 თვის მანძილზე გაგრძელდება. ქართლის განმანათლებელთა ნაკვალევზე მოგზაურობისას მოილოცავენ და მოინახულებენ ეკლესია-მონასტრებს, წმინდა რელიქვიებს, წმინდანთა საფლავებს, ისტორიულ ადგილებს. დღესასწაულის აღნიშვნა საშუალებას იძლევა მასში მონაწილეობა მიიღოს ხრულიად საქართველოს მოსახლეობამ (განურჩევლად აღმსარებლობისა). ქრისტეშობის 2000 წლისთავთან ერთად აღინიშნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავი. ქალაქებსა თუ სოფლებში გარდა საეკლესიო ღვთისმსახურებისა, მოეწყობა ლიტერატურული, მუსიკალური საღამოები, სამხატვრო გამოფენები, თეატრალური წარმოდგენები. ცნობილი მეცნიერები მონაწილეობას მიიღებენ რაიონებში მოწყობილ კონფერენციებში და ლექცია-საუბრებში. დღესასწაულში მონაწილეობის მიღება – იქნება ეს ლოცვით, მეცნიერებით, ხელოვნებით თუ ფიზიკური შრომით, უფლისადმი ძღვენით შეწირვას და მის თაყვანისცემას ნიშნავს. საერთო სახალხო ძღვენი იქნება ჩვენს დედაქალაქში წმინდა ილია თესბიტელის ელიას მთაზე მშენებარე წმინდა სამების საკათედრო ტაძარი. ეს ტაძარი იქნება აღთქმა უფლის წინაშე მესამე ათასწლეულში მისდამი თავდადებული სიყვარულისა და ერთგულების. იქ, სადაც არ შედის სასულიერო პირი, არ იქადაგება მართლმადიდებლობა, ადვილად იკიდებს ფეხს სექტანტობა. ამ ორი მისიონერული გზის საშუალებით მოხდება ქადაგება, ნათლობები, ჯვრისწერები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, შედარებით მივარდნილ სოფლებში, ამ გზის წყალობითაა მონათლული. წლევანდელ გზას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. საიუბილეო თარიღს რამდენიმე იუბილე ემთხვევა – საქართველოს გაქრისტიანების 1700 წლისთავია (ამასთან დაკავშირებით, საპატრიარქო აპირებს დახმარება გაუწიოს თბილისის ბავშვთა სახლებს, ინტერნატებს და ლტოლვილ ბავშვებს), საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების 1500 წლისთავი.

28 ივნისს წმინდა ნინოს გზის წევრები ქარელში შევიდნენ. მეთორმეტე წელია, რაც წმინდანის გზა შემოდის ამ რაიონში. პირველ ივლისს მომლოცველთა ჯგუფმა სამთავისის და გორის ეპარქიაში გადაინაცვლეს. ისინი ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში შეიტანენ ღვთის სიტყვას. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ბრძანებს: „დადგა ჟამი მოციქულებრივი მისიონერობისა“...

აღსანიშნავია, რომ ამ მსვლელობაში მონაწილეობას იღებს ახალგაზრდა თაობა, სტუდენტები და მთამსვლელები. საგანგებოდ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით სტუმრად ჩამოვიდა სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დიდი ჯგუფი. მათი მიზანია, წმინდა ნინოს გზის მსვლელობაში მონაწილეობა. ჯგუფის ერთი ნაწილი ჩიკაგოდანაა, ნაწილი სერბეთის მართლმადიდებელი ეპარქიიდან. მათი ხელმძღვანელი გახლავთ დეკანოზი მილოში. პროფესორი დიმიტრი სტეფანოვიჩი და რობერტ პაფიჩი ამ ჯგუფის ორგანიზატორები არიან. ცხადია, რომ სერბი მართლმადიდებლები ქართველებთან ერთად იმ მადლმოსილ მისიას უძღვებიან, რომელიც ქადაგებს სიკეთეს, „მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას“.

თეა ცაგურიშვილი.

სურათებზე: სერბი და ქართველი მართლმადიდებლები.

მემუარები

კონსტანტინე სიმონოვი

ჩემი თაობის კაცის თვალით

„ლიტერატურნაია გაზეტა“,

1951 წლის 10 მარტი.

კიდევ ერთი წერილის გამო

მწერალი მიხეილ შოლოხოვი „კომსომოლსკაია პრავდაში“ (№505) გამოვიდა მიხეილ ბუბენოვის იმ წერილის დასაცავად, რომელიც მე გავაკრიტიკე „ლიტერატურნაია გაზეტაში“ (№27).

მოგახსენებთ რამდენიმე მოკლე შენიშვნას ამასთან დაკავშირებით.

პირველი. დისკუსიის გამართვა გაზეთებში ლიტერატურული ფსევდონიმების მართებულობის თუ უმართებულობის გამო, ჩემი აზრით, არ არის საჭირო, ვინაიდან, აირჩიოს თუ არ აირჩიოს ლიტერატურული სახელი – ეს მწერლის პირადი საქმეა. სწორედ ამ გარემოების ხაზგასმა იყო მიზანი ჩემი მოკლე პასუხისა ბუბენოვისადმი.

მეორე. შოლოხოვი კითხულობს: „ვის იცავს სიმონოვი? რას იცავს იგი? ერთბაშად ვერც კი მიხვდები...“ მე ვფიქრობ, ამის გაგება არ არის ძნელი, მაგრამ პატივს ვცემ შოლოხოვის სახელს და შემიძლია ერთხელ კიდევ განვმარტო. მე გამოვედი, რათა დამეცვა მწერლები, – რომლებმაც ისურვეს ლიტერატურული სახელები დაერქმიათ, – ქამელეონობის ბრალდებისაგან. შოლოხოვი წერს, რომ ბუბენოვი ლაპარაკობს მხოლოდ ჩვენი დღეების ახალგაზრდობაზე, რომელიც ახლა შემოდის ლიტერატურულ სარბიელზე, და სულაც არ ისახავს მიზნად ცნობილი მწერლების ფსევდონიმების განადგურებასო. შოლოხოვს უყურადღებოდ წაუკითხავს ბუბენოვი. ბუბენოვი კი საერთოდ ლიტერატურულ ფსევდონიმებს უკავშირებს „საზოგადოებისაგან დამალვის“ ცდებს და „თავისებურ ქამელეონობას“. იგი წერს, რომ „დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ მოვეღოს ბოლო ფსევდონიმებს“. ჩემი აზრით კი, სახელმოხვეჭილი პოგოდინი, რომელმაც თავისი ლიტერატურული სახელი ოცი წლის წინათ აირჩია, და ახალგაზრდა მალცევი, რომელმაც ფსევდონიმი ხუთი წლის წინათ აიღო, თანაბრად არ იმსახურებენ უაზრო საყვედურებსა და ქამელეონობის დაწამებას.

მესამე. არასწორად და ჩვენი ლიტერატურის შეურაცხყოფად მიმაჩნია როგორც ბუბენოვის, ისე შოლოხოვის წერილებში მწერალთა ლიტერატურული ფსევდონიმების საკითხის გაერთიანება „ცალკეული ბალახტარების“, „ლიტერატურას მიტმასნული საქმოსნებისა და ხოჭოების“ წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთან.

მეოთხე. შოლოხოვი „ბატონკაცურ აგდებას“ ხედავს ჩემს ფრაზაში ბუბენოვის მიმართ, „დასანანია, როდესაც ასეთი ელფერი უჩნდება ახალგაზრდა, ნიჭიერ მწერალს“. მე ახლაც დარწმუნებული ვარ, რომ ბუბენოვი ნიჭიერია და, როგორც მწერალი, ახალგაზრდაა. ამაში ვერაფერს ვხედავ საწყენს და ბუბენოვთან ერთად ჩემს თავსაც მივაკუთვნებ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებმაც კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლონ მრავალთაგან, მათ შორის, ლიტერატურის ისეთი ოსტატისაგან, როგორიც არის მიხეილ შოლოხოვი. არ მინდა, ვისწავლო შოლოხოვისაგან მხოლოდ ერთი რამ – ის უხეშობა, მეორე მწერლის შერცხვენის ის უცნაური ცდები, რომლებიც გამოვლინდა კერძო საბაბის გამო უცრად დაწერილ შენიშვნაში, შენიშვნაში, რომელიც გამოქვეყნდა მისი ხუთწლიანი სრული დუმილის შემდეგ მაშინ, როდესაც ლიტერატურის უაღრესად საჭირბოროტო პრობლემებს განვიხილავდით. მე ისეთ დიდ პატივს ვცემ შოლოხოვის ნიჭს, რომ ვაღიარებ, თავიდან დავეჭვდი კიდეც არსით ამ არასწორი და ფორმით შეურაცხმყოფლად უხეში წერილის ქვეშ მისი ხელმოწერის დანახვაზე. ძალიან ვწუხვარ, რომ შენიშვნას შოლოხოვის ხელმოწერა აქვს.

და, ბოლოს, უკანასკნელი. დარწმუნებული ვარ, რომ ბუბენოვის მიერ წამოჭრილი ლიტერატურული ფსევდონიმების ვითომდა პრობლემა თითიდან არის გამოწოვილი იაფფასიანი სენსაციურობის გულისათვის და არ წარმოადგენს სერიოზულ ინტერესს ფართო მკითხველისათვის. სწორედ ამიტომ, ვეცდილობდი, მოკლედ გამომეთქვა ჩემი მოსაზრებები წერილებში და აღარ ვაპირებდი არც ერთი სიტყვის დაწერას ამ თემაზე, მაშინაც კი, თუ „კომსომოლსკაია პრავდა“ კვლავ მოისურვებს დაუთმოს სხვადასხვა ავტორებს ფურცლები ჩემი მისამართით უღირსი გამოხდომებისათვის,

კ. სიმონოვი.

* * *

სტალინის გულმოსულმა ტირადამ ორმაგი გვარების წინააღმდეგ: „რა საჭიროა ამის ხაზგასმა? რაში გვჭირდება ამის კეთება? რატომ დავნერგოთ ანტისემიტიზმი? ვის სჭირდება ესო“? – პირადად ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა თაობის ადამიანებთან საუბრისას მე ვაწყდებოდი იმ აზრს, რომ სტალინს არ უყვარს, ან ყოველ შემთხვევაში, გულზე არ ეხატება ებრაელები; ვაწყდებოდი ცდებსაც, აეხსნათ ეს მრავალი მიზეზით, ბუნდისადმი მისი დამოკიდებულებით დაწყებული და იმ ძირითადი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების სიის მოყვანით დამთავრებული, რომლებსაც მან სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხერხით მოუთავა ხელი, სიისა, რომლის სათავეში იყვნენ ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი და ტროცკის ბევრი სხვა მომხრე და მემარცხენე ოპოზიციონერი. ეს, ერთი მხრივ, თითქოს დამაჯერებლად ჟღერდა, მეორე მხრივ, კი – არა, იმიტომ, რომ მემარჯვენე ოპოზიციას, რომელსაც ასევე დაუნდობლად გაუსწორდა სტალინი, სათავეში ედგნენ, თითქოს ჯინზეო, რუსულგვარიანი და რუსული წარმოშობის მქონე ადამიანები. მესამე მხრივ, კაგანოვიჩი ჩვენს წარმოდგენაში დროის დიდი პერიოდის მანძილზე ითვლებოდა სტალინის უახლოეს თანამოსაგრედ და ლამის ასევე იწოდებოდა, სულ ბოლომდე რჩებოდა პოლიტბიუროს წევრად; მეხლისი მრავალი წლის მანძილზე იყო სტალინის თანაშემწე, ომის წლებში, ქერჩის მარცხის მიუხედავად, რომლის გამოც თავისუფლად შეიძლებოდა დაეკარგა თავი, სხვადასხვა ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრად რჩებოდა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი გახდა; ლიტვინოვი თხუთმეტ წელიწადს ფაქტობრივად, მერე კი ოფიციალურადაც ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს; კინემატოგრაფიაში, სადაც თავიდანვე ისე წარიმართა საქმე, რომ მის უთვალსაჩინოეს ტალანტებს შორის უმრავლესობას შეადგენდნენ ებრაული წარმოშობის ადამიანები, ყველაზე სასტიკ წლებში ოცდაჩვიდმეტსა და ოცდათვრამეტში – გაცილებით ნაკლებ ხალხს შეეხო რეპრესიები, ვიდრე ხელოვნების ნებისმიერ სხვა სფეროში.

მართალია, რაღაც შეიცვალა და რაღაც ხდებოდა უკანასკნელ წლებში, ომის შემდეგ. მიხოელსის უეცარი დაღუპვა, რომელმაც მაშინვე გამოიწვია უნდობლობის გრძნობა მისი ოფიციალური ვერსიისადმი; მოსკოვის ებრაული თეატრის გაქრობა; ომისშემდგომი დაპატიმრებანი ებრაულენოვან მწერლებს შორის; ფსევდონიმების შემდეგ ფრჩხილებში ჩაჩენა, რომლებშიც გვარი ეწერა; იმ ადამიანთა იგივე ნიშნით შერჩევა, ვინც მოხვდა სტატიაში „თეატრალურ კრიტიკოსთა ერთი ანტიპატრიოტული ჯგუფის მესახებ“; თავზე ხელის გადასმა ამ მიმართულებით მოქმედი მოხალისეებისათვის, რომლებიც ზოგჯერ საკუთარ კარიერას იკეთებდნენ ან ცდილობდნენ გაეკეთებინათ ანტისემიტიზმის გამოყენებით, – ყოველივე ეს მაინც არ ქმნიდა რაღაც ვეგმაზომიერისა და სტალინისაგან მომდინარე წამოწყების შთაბეჭდილებას. მე, მაგალითად, არ მეჯერებოდა მისი ანტისემიტიზმი: ეს არ ემთხვეოდა ჩემს წარმოდგენებს სტალინზე, ყოველივე იმაზე, რაც მასთან წამეკითხა, და, საერთოდ, მეჩვენებოდა რაღაც სიბრიყვედ, შეუთავსებლად იმ ადამიანის პიროვნებასთან, რომელიც მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა.

და მაინც, იგრძნობოდა, რომ ხდება რაღაც არანორმალური, რომ ომის შემდეგ ამ მხრივ რაღაც შეიცვალა. ებრაელთა ასიმილაციის თუ არაასიმილაციის პრობლემებმა, რომლებიც, უბრალოდ, არ არსებობდა ჩემი სიყმაწვილის ხანაში, ჩვენს ყოფაში, – სკოლაში, ინსტიტუტში, ომამდე, – თანდათან წამოყვეს თავი. ებრაელები იყოფოდნენ იმეებად, ვინც თავის თანდათანობით ასიმილაციას სოციალისტურ საზოგადოებაში კანონზომიერად თვლის, და იმეებად, ვინც არ თვლის და ეწინააღმდეგება ამას. ამ ომისშემდგომ კატაკლიზმებში, უტიფრად გამოჩეკილი ანტისემიტიზმის გარდა, გაჩნდა აგრეთვე ფარული, მაგრამ ჯიუტი საპასუხო ებრაული ნაციონალიზმი, რომელიც ზოგჯერ ცალკეულ საუბრებში კვალიფიცირდება როგორც თავისებური ნაციონალიზმი კადრების შერჩევის დარგში, – ყოველივე ეს აშკარად იყო ცხოვრებაშიც და ცნობიერებაშიც. მაგრამ სტალინის მიმართ იმ დამოკიდებულების დროს, რომელიც ჩემისთანა ადამიანებს იმ წლებში თითქმის არაკრიტიკულად რჩებოდათ, ჩვენ ერთმანეთთან საუბრისას არაერთგზის ვუბრუნდებოდით იმ საკითხს, თუ ვინ არის მაინც ანტისემიტიზმის ამ ახალ-ახალ გამოვლინებათა სულისჩამდგმელი. ვინ ასრულებს აქ პირველი ვიოლინოს როლს, ვისგან მომდინარეობს და ვისგან ვრცელდება ეს? ვინ ცდილობს ისარგებლოს ებრაელების მიმართ არაკეთილმოსურნე განწყობითა და გამონათქვამებით სტალინის მხრივ, რომელთა არსებობასაც ჩვენ ვუშვებდით, ვინ ისწრაფვის, ყოველივე ამის ჰიპერბოლიზებას და უტილიზებას? სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვა ვარაუდებს აყენებდნენ, მაგრამ ამასთან გულისხმობდნენ მაშინდელი პოლიტბიუროს ხან ერთ, ხან მეორე, ხან მესამე, ხან კი ერთბაშად რამდენიმე წევრს.

და აი, როდესაც ორესტ მალცევის წიგნისა და ორმაგი გვარების გამო გამოთქვამდა თავის აზრს, თავად სტალინმა, შეიძლება, ვიღაცის საწყენად, მაგრამ ჩვენი, უმრავლესობის, გასახარად, არაორაზროვნად განაცხადა, რომ თუკი არიან ადამიანები, რომლებიც უკვე მეორე წელიწადია, ვერ იგუებენ სტალინის მიერ აშკარად შეთავაზებულ უარყოფითს დამოკიდებულებას ამ ორმაგი გვარებისადმი, ანტისემიტიზმის ამ დანერგვისადმი, თვითონ იგი, სტალინი, არათუ ძალზე შორს არის იმისაგან, რომ მხარი დაუჭიროს რაღაც მსგავსს, არამედ საჭიროდ მიიჩნია, ჩვენი თანდასწრებით სრული სიცხადით გამოეთქვა საკუთარი თვალსაზრისი ამის თაობაზე და ყველფრისთვის თავისი ადგილი მიეჩინა, განემარტა, რომ ეს მისგან არ მომდინარეობს, რომ იგი ამით უკმაყოფილოა და რომ განზრახული აქვს, აღკვეთოს ეს.

თარგმნა

არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 181-185; 187-206.

სანთელი

დაუვიწყარი ლევან ხაინდრავა

ხუთი წლის წინათ ქართულმა მიწამ მიიბარა თავისი ერთ-ერთი გამორჩეული და ერთგული შვილი, თავისებურად განუმეორებელი პიროვნება მწერალი ლევან ხაინდრავა (1916-1995).

მართლაც და, განა ბევრი მოიძებნება ასეთი მდიდარი, დრამატიზმით აღსავსე ბიოგრაფიის მქონე ადამიანი, როგორიც იყო ბატონი ლევანი – კაცი, რომელმაც გამოიარა იაპონური ჟანდარმერიისა და „მშობლიური“ სუკ-ის ჯურღმულები, გამოსცადა გადასაგზავნი ციხეების კოშმარი, იწვნია ციმბირის ქარბუქების სუსხიანი სუნთქვა.

შორეულ ჩინეთში დაბადებული და გაზრდილი – სამშობლოში – სანუკვარ საქართველოში ჩამოსული 1948 წელს, იგი სულ მალე, კვლავ, დასაკარგ გზას გაუყენეს – ციმბირში, გადასახლებაში.

დრამატიზმით იყო აღსავსე მისი ბიოგრაფია გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც, 1955 წელს. მოგეხსენებათ, არც ეს იყო იდილიური პერიოდი ჩვენს ცხოვრებაში. მას უხდებოდა ყოველდღიური ბრძოლა ლუკმა-პურისათვის, მწერლობაში თავისი ადგილის დამკვიდრებისათვის. თავისი პირველი წიგნების დაბეჭდვა სისხლის ფასად უჯდებოდა და ბატონ ირაკლი აბაშიძისა და სხვა ქართველი მწერლების დახმარება და მხარდაჭერა რომ არა, შეიძლება საერთოდ ხელიც აეღო მისთვის ესოდენ საყვარელ საქმეზე.

ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განცდებში იქნებოდა ბატონი ლევანი ცხოვრების უკანასკნელი წლების მანძილზე. აქ შეერთებული იყო ბედნიერებისა და სიხარულის და, მეორე მხრივ, სასოწარკვეთილების მწველი გრძნობები. მახსოვს, რა გახარებული იყო ლევანი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს. ახდა მისი სანუკვარი ოცნება, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე ატარა. იგი უსაზღვროდ ამაყობდა იმით, რომ მისი საყვარელი ვაჟი გოგი ქართველ ხალხთან იყო მისი ტრაგიკული დღის – 9 აპრილის განსაცდელის ჟამს და ისტორიისათვის აღბეჭდა იგი ფირზე. ლევანს არაერთგზის უთქვამს ჩემთვის, რომ მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთი იყო, როდესაც მთავრობის სახლის სახურავიდან გადმოაგდეს საბჭოთა დროშა და სანაცვლოდ აღმართეს ქართული ეროვნული დროშა. ბოლო ხანს კი, დაამატებდა ხოლმე: ჯობდა, ამის შემდეგ მალე მომკვდარიყავიო. იმიტომ, რომ ის, რაც ხდებოდა მომდევნო წლებში ჩვენს ქვეყანაში, უსაზღვრო წუხილისა და მტანჯველი განცდების წყაროდ იქცა მისთვის.

განსაკუთრებული სიმძაფრით განიცდიდა აფხაზეთის ტრაგედიას. ბევრს ახსოვს მისი მგზნებარე გამოსვლები ტელევიზიით, ბრწყინვალე პუბლიცისტური წერილები პრესაში, რომლებმაც მას დიდი ავტორიტეტი მოუპოვეს ჩვენს საზოგადოებაში. აუცილებლად უნდა ითქვას კიდევ ერთი გარემოების შესახებ, რომელიც მას თავის პირად ტრაგედიად მიაჩნდა. იგი სრულყოფილად ვერ ფლობდა ქართულ ენას: ყოველდღიური თავაუღებელი შრომა აღარ უტოვებდა მას დროს მშობლიური ენის ღრმა შესწავლისათვის. იგი გახლდათ რუსულენოვანი მწერალი, რომელიც საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის იღწვოდა.

განსაკუთრებული წარმატება ხვდა მისი ავტობიოგრაფიული რომან-ტრილოგიის პირველ ორ წიგნს, რომლებიც ასიათასიანი ტირაჟებით გამოვიდა მოსკოვსა და თბილისში და როგორც ჭეშმარიტ ბესტსელერს შეეფერება, უმალ გაქრა მაღაზიების თაროებიდან. რამდენიმე ათეული წერილი მიიღო მან მადლიერი მკითხველებისაგან. გამოუცემელი დარჩა უკვე დასაბეჭდად გამზადებული ტრილოგიის დასკვნითი მესამე წიგნი, რომელსაც მოუთმენლად ელოდა მკითხველი.

ბატონი ლევანის კიდევ ერთ წიგნზე მინდა საგანგებოდ შევჩერდე. ეს გახლავთ რომანი „ჩას შესტოი“ („ჟამი მეექვსე“), რომელიც უდავოდ მისი ცენტრალური ნაწარმოებია. მასში აღწერილია ქართული საზოგადოების ცხოვრება 50-იან წლებში და მთავრდება იგი 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიით. წიგნის წერა მან 1960 წელს დაამთავრა და მისი შინაარსი ისეთი იყო, რომ, არა თუ დაბეჭდვა, არამედ ხელნაწერის სახლში შენახვაც კი საშიში იქნებოდა. თითქმის 25 წლის მანძილზე იგი ლევანის მეგობრების სახლში ინახებოდა. წიგნი 1987 წელს გამოვიდა რუსულ ენაზე და ისიც მალე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად. მართალია, იგი ითარგმნა და ცალკეული თავები დაიბეჭდა ქართულად ჟურნალში, მაგრამ დღემდე არ არის გამოცემული. ვფიქრობ, ჩვენი მწერალთა კავშირისა და საერთოდ, ჩვენი საზოგადოებრიობის ვალია მიაწოდოს ის ქართველ მკითხველს, რომლითაც იგი გაეცნობა ქართველი ხალხის ცხოვრების დრამატულ ფურცლებს მე-20 საუკუნეში, ეს არის ჭეშმარიტი მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი ნაწარმოები, გამსჭვალული მაღალი ეთიკური, ზნეობრივი იდეებით და ღრმა ქრისტიანული სულით.

ბატონმა ლევანმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოს წინაშე. აღუზარდა მას სამი შესანიშნავი შვილი, რომელთაც თავის ანდერძში დაუბარა: **გიყვარდეთ საქართველო!**

თავისი წიგნებით იგი თესავდა სიკეთესა და სიყვარულს. მისი უტეხი პრინციპულობა და ვაჟკაცური შემართება სამაგალითოა ყოველი ჩვენგანისთვის, მისი სახელი კი მარადჟამ დარჩება ქართველი ხალხის ცნობიერებაში.

გულბათ ტორაძე.

სურათებზე: ლევან ხაინდრავა სუკ-ის დამწვარ შენობასთან. 1992 წლის 20 თებერვალი; ალექსანდრე ვერტინსკის ქორწინება. შანხაი, 1943 წელი. ლევან ხაინდრავა ვერტინსკის მეჯვარე (მარჯვნიდან პირველი).

XXI საუკუნე

კვიცი გვარზე ხტის



საჭადრაკო ოლიმპზე ასვლა ყველაზე რთული და მიუდგომელი მწვერვალის დალაშქვრაზე იოლი როდია. მართალია, აქ არც წრიაპი გჭირდება, არც თოკი და წერაქვი, სამაგიეროდ, წინ გიდევს 64-უჯრიანი ჯადოსნური დაფა, რომელზეც ხან ქარიშხალი მძვინვარებს, ხანაც სიმშვიდე და იდუმალება, მილიონობით ვარაუდი, აზრი და ჩანაფიქრი, მილიონობით ალმაფრენა და იმედგაცრუება. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ცხოვრებაში, ოღონდ უფრო პოეტურ და მშვენიერების სამოსელში გამოწყობილი.

ნათია ფხაკაძე, გორის მესამე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე, დიდი ხანი არ არის, რაც ოლიმპზე ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა. იცის, რომ ეს ლაშქრობა ხანგრძლივი და შრომატევადი, მძიმე და მომქანცველი იქნება. ამიტომ ჩინებულ ფიზიკურ წრთობასთან ერთად იმ უზარმაზარი, ზღვა მემკვიდრეობის შესწავლაცაა საჭირო, რომელიც ჭადრაკმა თავისი არსებობის მანძილზე შექმნა.

თუმცა, წლის ბოლომდე ჯერ კიდევ ხუთი თვეა დარჩენილი, მაგრამ უკვე შეიძლება ითქვას, რომ 2000 წელი ნათიას წელიწადია. აღმასვლა აპრილში დაიწყო, როცა თბილისის ჭადრაკის სასახლეში 16 წლის მოჭადრაკეთა შორის საქართველოს პირველობა გაიმართა. ნათია ფხაკაძე აქ მეორე ადგილზე გავიდა და ევროპის პირველობაზე თამაშის უფლება მოიპოვა.

მაისში ახალგაზრდა მოჭადრაკემ ქალთა შორის საქართველოს პირველობის ფინალში ითამაშა. აქ ნათიამ პირველად შეიძინა მოჭადრაკის ძალის განმსაზღვრელი საწყისი რეიტინგი. ეს მის სპორტულ ცხოვრებაში საყურადღებო მოვლენა იყო.

ივნისში იგი საკვალიფიკაციო ტურნირში გამოვიდა და იქ მოთამაშე ვაჟ მოჭადრაკეებს უშეღავათო ბრძოლა გამოუცხადა. ყაიმით დაამთავრა შეხვედრები ოსტატებთან პარმენ გელაზონიასთან, ვახტანგ ჩიქოვანთან, ფიდეს ოსტატ ვარლამ ვეფხვიშვილთან, მოაგროვა 10-დან 6 ქულა და საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალი დაიმსახურა.

მეორე ბალი მან ამ დღეებში სხვა საკვალიფიკაციო ტურნირში მოიპოვა, რომელიც ასევე ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. ნათიას აქტივშია გამარჯვება ოსტატ მიხეილ ჭიპაშვილთან, საერთაშორისო ოსტატ ალექსანდრე ყამაშვილთან, ყაიმი ტურნირის გამარჯვებულთან, ერევნელ რაფაელ გეზალიანთან.

საერთაშორისო ოსტატის წოდების მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო ტურნირებში სულ ცოტა, 24 პარტია უნდა ითამაშო. ნათიას კი ნათამაშები აქვს 19. კიდევ ერთ ტურნირში თავის გამოჩენაა საჭირო. ნათია მზადაა, მაგრამ საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია არის მზად ახალი საკვალიფიკაციო ტურნირის გასამართავად?

კიდევ უფრო სერიოზული პრობლემაა ნათია ფხაკაძის გამგზავრება ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე სათამაშოდ, სადაც მონაწილეობის უფლება მან, როგორც აღვნიშნეთ, ადრევე მოიპოვა. ერთ-ერთ ტურნირზე მისი გაგზავნა უწინ საჭადრაკო ფედერაციამ ითავა, მაგრამ დღეს?

ევროპის პირველობას წლეულს სექტემბერში საბერძნეთი მასპინძლობს, მსოფლიო პირველობა კი ოქტომბერში ესპანეთში გაიმართება. ფხაკაძეების ოჯახში საკუთარი თანხებით ტურნირებზე გამგზავრებაზე არც ლაპარაკობენ. ესპანეთი კი არა, გოგონა აგერ, სამტრედიაში ვერ ჩასულა ბებიას სანახავად.

ნათია გორში იზრდება, მოჭადრაკის ოჯახში. მისი მუდმივი მწვრთნელია დედა, ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, საერთაშორისო ოსტატი ციალა ქასოშვილი.

ჭადრაკის ქომაგები ამ სტრიქონებს რომ წაიკითხავენ, ალბათ, იტყვის: „კვიცი გვარზე ხტისო“.

რატომაც არა!

გურამ ვაშაკიძე,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: ნათია ფხაკაძე.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფეხბურთი

მომავლის კონტურები

თქვენს წინაშეა საქართველოს ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის (უმაღლესი და პირველი ლიგა) კალენდრის პროექტები, რომლებსაც, ალბათ, მალე დაამტკიცებს **სფფ** აღმასკომი. „ალბათ“ იმიტომ ვთქვით, რომ თუ ქვეყნის ათგზის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ „მრეტების“ ვალის გადაუხდელობის გამო **ფიფამ** ქვედა დივიზიონში დააქვეითა, რაც ჩვენი საუკეთესო (ტრადიციებით, რა თქმა უნდა) კლუბის დღევანდელი უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით სავსებით ადვილი შესაძლებელია, მაშინ მის ადგილს განვლილი სეზონის სპორტული შედეგების შესაბამისად წყალტუბოს „სამგურალი“ დაიკავებს. ერთი საორგანიზაციო დეტალიც: წლეულს პირველად უმაღლეს ლიგაში 12 გუნდი იასპარეზებს.

საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კალენდარი

პროექტი

I ეტაპი

I წრე

I ტური
19 აგვისტო, შაბათი
1. დილა გორი - ვიტ-ჯორჯია თბილისი
2. მერანი 91 თბილისი - კოლხეთი 1913 ფოთი
3. იბერია სამტრედია - ლოკომოტივი თბილისი
4. გორდა რუსთავი - დინამო ბათუმი
5. თსუ-არმაზი თბილისი - დინამო თბილისი
6. ტორპედო ქუთაისი - სიონი ბოლნისი

II ტური
27 აგვისტო, კვირა
1. დინამო თბ - ტორპედო
2. კოლხეთი 1913 - იბერია
3. დინამო ბთ - თსუ-არმაზი
4. დილა - მერანი 91
28 აგვისტო, ორშაბათი
5. ვიტ-ჯორჯია - სიონი
6. ლოკომოტივი - გორდა

III ტური
6 სექტემბერი, ოთხშაბათი
1. გორდა - კოლხეთი 1913
2. მერანი 91 - ვიტ-ჯორჯია
3. იბერია - დილა
4. თსუ-არმაზი - ლოკომოტივი
5. ტორპედო - დინამო ბთ
6. სიონი - დინამო თბ

IV ტური
10 სექტემბერი, კვირა
1. ვიტ-ჯორჯია - დინამო თბ
2. ლოკომოტივი - ტორპედო
3. დინამო ბთ - სიონი
4. კოლხეთი 1913 - თსუ-არმაზი
5. დილა - გორდა
6. მერანი 91 - იბერია

V ტური
17 სექტემბერი, კვირა
1. გორდა - მერანი 91
2. თსუ-არმაზი - დილა
3. ტორპედო - კოლხეთი 1913
4. დინამო თბ - დინამო ბთ
18 სექტემბერი, ორშაბათი
5. სიონი - ლოკომოტივი
6. იბერია - ვიტ-ჯორჯია

VI ტური
23 სექტემბერი, შაბათი
1. ლოკომოტივი - დინამო თბ
2. ვიტ-ჯორჯია - დინამო ბთ
3. კოლხეთი 1913 - სიონი
4. დილა - ტორპედო
5. იბერია - გორდა
6. მერანი 91 - თსუ-არმაზი

VII ტური
1 ოქტომბერი, კვირა
1. თსუ-არმაზი - იბერია
2. სიონი - დილა
3. დინამო თბ - კოლხეთი 1913
4. ტორპედო - მერანი 91
2 ოქტომბერი, ორშაბათი
5. გორდა - ვიტ-ჯორჯია
6. დინამო ბთ - ლოკომოტივი

VIII ტური
14 ოქტომბერი, შაბათი
1. კოლხეთი 1913 - დინამო ბთ
2. ვიტ-ჯორჯია - ლოკომოტივი
3. დილა - დინამო თბ
4. მერანი 91 - სიონი
5. იბერია - ტორპედო
6. გორდა - თსუ-არმაზი

IX ტური
21 ოქტომბერი, შაბათი
1. თსუ-არმაზი - ვიტ-ჯორჯია
2. ტორპედო - გორდა
3. სიონი - იბერია
4. დინამო თბ - მერანი 91
5. დინამო ბთ - დილა
22 ოქტომბერი, კვირა
6. ლოკომოტივი - კოლხეთი 1913

X ტური
25 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1. გორდა - სიონი
2. მერანი 91 - დინამო ბთ
3. იბერია - დინამო თბ
4. თსუ-არმაზი - ტორპედო
26 ოქტომბერი, ხუთშაბათი
5. ვიტ-ჯორჯია - კოლხეთი 1913
6. დილა - ლოკომოტივი

XI ტური
29 ოქტომბერი, კვირა
1. დინამო თბ - გორდა
2. სიონი - თსუ-არმაზი
3. დინამო ბთ - იბერია
30 ოქტომბერი, ორშაბათი
4. ტორპედო - ვიტ-ჯორჯია
5. ლოკომოტივი - მერანი 91
6. კოლხეთი 1913 - დილა

II წრე

XII ტური
3 ნოემბერი, პარასკევი
1. დინამო თბ - თსუ-არმაზი
4 ნოემბერი, შაბათი
2. ვიტ-ჯორჯია - დილა
3. კოლხეთი 1913 - მერანი 91
4. დინამო ბთ - გორდა
5. სიონი - ტორპედო
6. ლოკომოტივი - იბერია

XIII ტური
11 ნოემბერი, შაბათი
1. ტორპედო - დინამო თბ
2. იბერია - კოლხეთი 1913
3. თსუ-არმაზი - დინამო ბთ
4. მერანი 91 - დილა
5. სიონი - ვიტ-ჯორჯია
6. გორდა - ლოკომოტივი

XIV ტური
17 ნოემბერი, პარასკევი
1. კოლხეთი 1913 - გორდა
2. ვიტ-ჯორჯია - მერანი 91
3. დილა - იბერია
4. დინამო თბ - სიონი
5. დინამო ბთ - ტორპედო
18 ნოემბერი, შაბათი
6. ლოკომოტივი - თსუ-არმაზი

XV ტური
25 ნოემბერი, შაბათი
1. სიონი - დინამო ბთ
2. გორდა - დილა
3. იბერია - მერანი 91
4. დინამო თბ - ვიტ-ჯორჯია
5. ტორპედო - ლოკომოტივი
6. თსუ-არმაზი - კოლხეთი 1913

XVI ტური
29 ნოემბერი, ოთხშაბათი
1. ვიტ-ჯორჯია - იბერია
2. მერანი 91 - გორდა
3. დინამო ბთ - დინამო თბ
4. დილა - თსუ-არმაზი
5. კოლხეთი 1913 - ტორპედო
6. ლოკომოტივი - სიონი

XVII ტური
3 დეკემბერი, კვირა
1. დინამო თბ - ლოკომოტივი
2. დინამო ბთ - ვიტ-ჯორჯია
3. სიონი - კოლხეთი 1913
4. ტორპედო - დილა
5. გორდა - იბერია
6. თსუ-არმაზი - მერანი 91

XVIII ტური
28 თებერვალი, ოთხშაბათი
1. იბერია - თსუ-არმაზი
2. დილა - სიონი
3. კოლხეთი 1913 - დინამო თბ
4. მერანი 91 - ტორპედო
5. ვიტ-ჯორჯია - გორდა
6. ლოკომოტივი - დინამო ბთ

XIX ტური
4 მარტი, კვირა
1. დინამო თბ - დილა
2. დინამო ბთ - კოლხეთი 1913
3. სიონი - მერანი 91
4. ტორპედო - იბერია
5. თსუ-არმაზი - გორდა
5 მარტი, ორშაბათი
6. ლოკომოტივი - ვიტ-ჯორჯია

XX ტური
10 მარტი, შაბათი
1. ვიტ-ჯორჯია - თსუ-არმაზი
2. იბერია - სიონი
3. გორდა - ტორპედო
4. მერანი 91 - დინამო თბ
5. დილა - დინამო ბთ
6. კოლხეთი 1913 - ლოკომოტივი

XXI ტური
18 მარტი, კვირა
1. სიონი - გორდა
2. დინამო ბთ - მერანი 91
3. დინამო თბ - იბერია
4. ტორპედო - თსუ-არმაზი
5. კოლხეთი 1913 - ვიტ-ჯორჯია
6. ლოკომოტივი - დილა

XXII ტური
22 მარტი, ხუთშაბათი
1. გორდა - დინამო თბ
2. ვიტ-ჯორჯია - ტორპედო
3. თსუ-არმაზი - სიონი
4. იბერია - დინამო ბთ
5. მერანი 91 - ლოკომოტივი
6. დილა - კოლხეთი 1913

თასების დღეებია 27 სექტემბერი, 17 ოქტომბერი, 7, 21 ნოემბერი, 6, 10 დეკემბერი, 20-24 თებერვალი, 14 მარტი.
კალენდარში გათვალისწინებულია საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრების დღეები.

საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატის პირველი ლიგის კალენდარი

პროექტი

I ეტაპი

I წრე

I ტური
26 აგვისტო, შაბათი
1. თბილისი თბილისი - თორი ბორჯომი
2. სამგურალი წყალტუბო - მეტალურგი ზესტაფონი.
3. შუქურა ქობულეთი - ლოკომოტივი-2 - გურია ლანჩხუთი.
4. დინამო ზუგდიდი - ასკ თბილისი.
5. ოკეანე სამტრედია - მილანი წნორი.
6. კოლხეთი ხობი - ცხინვალი ცხინვალი.

II ტური
3 სექტემბერი, კვირა
1. თორი - ცხინვალი.
2. მილანი - კოლხეთი.
3. ასკ - ოკეანე.
4. ლოკომოტივი-2 - გურია - დინამო.
5. მეტალურგი - შუქურა.
6. თბილისი - სამგურალი.

III ტური
9 სექტემბერი, შაბათი
1. სამგურალი - თორი.
2. შუქურა - თბილისი.
3. დინამო - მეტალურგი.
4. ოკეანე - ლოკომოტივი-2 - გურია.
5. კოლხეთი - ასკ.
6. ცხინვალი - მილანი.

IV ტური
16 სექტემბერი, შაბათი
1. თორი - მილანი
2. ასკ - ცხინვალი
3. ლოკომოტივი-2 - გურია - კოლხეთი
4. მეტალურგი - ოკეანე
5. თბილისი - დინამო
6. სამგურალი - შუქურა

V ტური
20 სექტემბერი, ოთხშაბათი
1. შუქურა - თორი
2. დინამო - სამგურალი
3. ოკეანე - თბილისი
4. კოლხეთი - მეტალურგი
5. ცხინვალი - ლოკომოტივი-2 - გურია
6. მილანი - ასკ

VI ტური
24 სექტემბერი, კვირა
1. თორი - ასკ
2. ლოკომოტივი-2 - გურია - მილანი
3. მეტალურგი - ცხინვალი
4. თბილისი - კოლხეთი
5. სამგურალი - ოკეანე
6. შუქურა - დინამო

VII ტური
30 სექტემბერი, შაბათი
1. დინამო - თორი
2. ოკეანე - შუქურა
3. კოლხეთი - სამგურალი
4. ცხინვალი - თბილისი
5. მილანი - მეტალურგი
6. ასკ - ლოკომოტივი-2 - გურია

VIII ტური
4 ოქტომბერი, ოთხშაბათი
1. თორი - ლოკომოტივი-2 - გურია
2. მეტალურგი - ასკ
3. თბილისი - მილანი
4. სამგურალი - ცხინვალი
5. შუქურა - კოლხეთი
6. დინამო - ოკეანე

IX ტური
8 ოქტომბერი, კვირა
1. ოკეანე - თორი
2. კოლხეთი - დინამო
3. ცხინვალი - შუქურა
4. მილანი - სამგურალი
5. ასკ - თბილისი
6. ლოკომოტივი-2 - გურია - მეტალურგი

X ტური
13 ოქტომბერი, პარასკევი
1. თორი - მეტალურგი
2. თბილისი - ლოკომოტივი-2 - გურია
3. სამგურალი - ასკ
4. შუქურა - მილანი
5. დინამო - ცხინვალი
6. ოკეანე - კოლხეთი

XI ტური
20 ოქტომბერი, პარასკევი
1. კოლხეთი - თორი
2. ცხინვალი - ოკეანე
3. მილანი - დინამო
4. ასკ - შუქურა
5. ლოკომოტივი-2 - გურია - სამგურალი
6. მეტალურგი - თბილისი

II წრე

XII ტური
27 ოქტომბერი, პარასკევი
1. თორი - თბილისი
2. მეტალურგი - სამგურალი
3. ლოკომოტივი-2 - გურია - შუქურა
4. ასკ - დინამო
5. მილანი - ოკეანე
6. ცხინვალი - კოლხეთი

XIII ტური
3 ნოემბერი, პარასკევი
1. ცხინვალი - თორი
2. კოლხეთი - მილანი
3. ოკეანე - ასკ
4. დინამო - ლოკომოტივი-2 - გურია
5. შუქურა - მეტალურგი
6. სამგურალი - თბილისი

XIV ტური
10 ნოემბერი, პარასკევი
1. თორი - სამგურალი
2. თბილისი - შუქურა
3. მეტალურგი - დინამო
4. ლოკომოტივი-2 - გურია - ოკეანე
5. ასკ - კოლხეთი
6. მილანი - ცხინვალი

XV ტური
18 ნოემბერი, შაბათი
1. მილანი - თორი
2. ცხინვალი - ასკ
3. კოლხეთი - ლოკომოტივი-2 - გურია
4. ოკეანე - მეტალურგი
5. დინამო - თბილისი
6. შუქურა - სამგურალი

XVI ტური
24 ნოემბერი, პარასკევი
1. თორი - შუქურა
2. სამგურალი - დინამო
3. თბილისი - ოკეანე
4. მეტალურგი - კოლხეთი
5. ლოკომოტივი-2 - გურია - ცხინვალი
6. ასკ - მილანი

XVII ტური
28 ნოემბერი, სამშაბათი
1. ასკ - თორი
2. მილანი - ლოკომოტივი-2 - გურია
3. ცხინვალი - მეტალურგი
4. კოლხეთი - თბილისი
5. ოკეანე - სამგურალი
6. დინამო - შუქურა

XVIII ტური
3 მარტი, შაბათი
1. თორი - დინამო
2. შუქურა - ოკეანე
3. სამგურალი - კოლხეთი
4. თბილისი - ცხინვალი
5. მეტალურგი - მილანი
6. ლოკომოტივი-2 - გურია - ასკ

XIX ტური
9 მარტი, პარასკევი
1. ლოკომოტივი-2 - გურია - თორი
2. ასკ - მეტალურგი
3. მილანი - თბილისი
4. ცხინვალი - სამგურალი
5. კოლხეთი - შუქურა
6. ოკეანე - დინამო

XX ტური
17 მარტი, შაბათი
1. თორი - ოკეანე
2. დინამო - კოლხეთი
3. შუქურა - ცხინვალი
4. სამგურალი - მილანი
5. თბილისი - ასკ
6. მეტალურგი - ლოკომოტივი-2 - გურია

XXI ტური
21 მარტი, ოთხშაბათი
1. მეტალურგი - თორი
2. ლოკომოტივი-2 - გურია - თბილისი
3. ასკ - სამგურალი
4. მილანი - შუქურა
5. ცხინვალი - დინამო
6. კოლხეთი - ოკეანე

XXII ტური
25 მარტი, კვირა
1. თორი - კოლხეთი
2. ოკეანე - ცხინვალი
3. დინამო - მილანი
4. შუქურა - ასკ
5. სამგურალი - ლოკომოტივი-2 - გურია
6. თბილისი - მეტალურგი

თასების დღეებია 27 სექტემბერი, 17 ოქტომბერი, 7,21 ნოემბერი, 6,10 დეკემბერი, 20,24 თებერვალი, 14 მარტი.

ჭადრაკი

ეპიცენტრმა ქობულეთში გადაინაცვლა

ახლა საზაფხულო არდადეგებია. თბილისურ ხვატსა და ბუღს გარიდებულებმა ზღვისპირეთს მიაშურეს. უმეტესობას, რატომღაც, ქობულეთისკენ მიუწევს გული. აქ მხოლოდ დამსვენებელთა მოძალება როდია — 64 უჯრის ოსტატებსაც აქაური ლურჯად მოლივლივე ზღვა და რაიონულ საჭადრაკო კლუბში გაჩაღებული ორთაბრძოლები იზიდავს. აგერ უკვე თვენახევარია, ქობულეთი საჭადრაკო ეპიცენტრად იქცა. 15 ივნისიდან აქ რამდენიმე შეჯიბრება გაიმართა. ჯერჯერობით ყველაზე მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ასაკში განათლების სამინისტროს ეგიდით მოწყობილი საქართველოს პირველობები იყო.

10 წლის გოგონათა პაექრობაში ჩინებული შედეგით — 9 შესაძლებლიდან 9 ქულით (!) ჩემპიონობა ბათუმელმა თინათინ ბერიძემ მოიპოვა. მას ორი ქულით ჩამორჩა თანაქალაქელი ნინო კეკელიძე. 6,5 ქულით მესამე ადგილზე საგარეჯოელი თინათინ ჯაჭვაძე გავიდა.

ამავე ასაკის ბიჭების ორთაბრძოლებში ყველას ქუთაისელმა დავით ბენიძემ აჯობა. მან 8 ქულა მოაგროვა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით, მეორე იყო ზუგდიდელი ზვიად ფაცაცია. 6,5 ქულით მესამე ადგილი ქუთაისელ ზურაბ ქელბაქიანს ხვდა წილად.

თოთხმეტწლიანი გოგონების ასპარეზობა ქუთაისელთა სრული უპირატესობით წარიმართა. კვარცხლბეკის სამივე საფეხური მათ დაიკავეს. 6 ქულით პირველობა ნინო ადეიშვილს ერგო. მას ნახევარ-ნახევარი ქულით სალომე ჭოხონელიძე და თინათინ თევზაძე ჩამორჩნენ.

ვაჟებშიც ჩემპიონობა ქუთაისელმა მოჭადრაკემ გიორგი ყუფარაძემ მოიპოვა, რომელმაც 8 ქულით დაამთავრა ასპარეზობა. ოზურგეთელი დავით ცეცხლაძე 6 ქულით მეორე ადგილზე გავიდა. 5,5 ქულით მესამე იყო ფოთელი გიორგი გამზარდია.

გუშინ ასპარეზობა დაამთავრეს 12 და 16 წლის გოგონებმა და ვაჟებმა. წინ კიდევ სამი საერთაშორისო ტურნირია.

ვაჟა დანელია.

ცხოვრების ჯანსაღი წესი

კენეთ კუპერი — თქვენი ჯანმრთელობისთვის

მომზადებულია ფონდი „რეაბის“ და საქართველოს კარდიოლოგიის საზოგადოების მიერ, დასაწყისი იხ. „სრ“ №120,128-129, 150, 164, 183-184, 187, 195, 204-205.

უწინაც აღვნიშნავს, რომ უძრაობა, ანუ ცხოვრების მჯდომარე წესი რისკ-ფაქტორია კორონარული დაავადებების, ინსულტის, სისხლის მომატებული წნევის და სხვა დაავადებების გასავითარებლად. ამდენად, აუცილებელია რეგულარული ვარჯიში, რომელიც ზრდის ფიზიკურ ამტანობას, აბალანსებს ენერგიის მიღებასა და ხარჯვას შორის წონასწორობას, რითაც ხელს უწყობს ნორმალური წონის შენარჩუნებას.

ფიზიკური ვარჯიშის ყველაზე ადვილი და მარტივი სახეა ფეხით სიარული, განსაკუთრებით უფროსი თაობის ადამიანებისთვის. იგი აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა, ნერვული, სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი და სხვა სისტემების ფუნქციურ მდგომარეობას, მოძრაობაში მოჰყავს მთელი ორგანიზმი, რომელიც უკეთ მარაგდება ჟანგბადით, რაც აუცილებელია თავის ტვინის მუშაობისთვის. ამიტომაც გონებრივად მომუშავეებს ფეხით სიარული ჩვევად უნდა ექცეთ. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ადამიანმა, თავისი ჯანმრთელობის გათვალისწინებით, ყოველდღიურად 5-10 კილომეტრი უნდა დაიაროს. სიარულისა და განსაკუთრებით სირბილისას ხორციელდება ე.წ. დინამიკური ხასიათის სუნთქვითი ვარჯიში, რაც ორგანიზმსა და გარემოს შორის აძლიერებს აირების ცვლას. ეს კი ხელს უწყობს დაღლილი ორგანიზმის აღდგენით პროცესს.

საერთოდაც, ფიზიკური ვარჯიშების შედეგად უმჯობესდება გულის მუშაობა, მატულობს გულის კუნთის კუმშვადობა, ქვეითდება არტერიული წნევა, ადამიანი ხალისდება და, რაც მთავარია,. ხშირ შემთხვევაში მოსალოდნელ დაავადებებსაც იცილებს თავიდან.

დღემდე კენეთ კუპერის წიგნიდან 50 წლამდე ქალებსა და მამაკაცებს ვთავაზობდით ფიზიკური ვარჯიშების პროგრამას, ახლა კი 50 წელს გადაცილებულებისთვის გამოვაქვეყნებთ სხეულის გასაკაჟებლად რეკომენდებულ ცხრილებს.

ადგილზე სირბილის პროგრამა

კვირა	დრო წთ.	ნაბიჯების რაოდ. წთ-ში	მეცად. სიხშირე კვირაში	ქულები კვირაში
1	5.00	70-80	3	0
2	7.30	„	„	„
3	10.00	„	„	„
4	10.00	„	„	„
5	12.30	„	„	„
6	12.30	„	„	„
7	5.00	„	4	7,0
8	7.30	„	4	10,5
9	10.00	„	4	14.0
10	10.00	„	5	17.5
11	10.00	„	5	17.5
12	12.30	„	5	24.4
13	12.30	„	5	24.4
14	15.00	„	5	31.25
15	15.00	„	5	31.25
16	17.30	80-90	4	37.5

სიარულის პროგრამა

კვირა	დისტანცია კმ	დრო წთ	მეცადინეობის სიხშ. კვირაში	ქულები კვირაში
1	1,6	20	4	4,0
2	2,4	30	4	8,0
3	3,2	40	4	12,0
4	3,2	38	4	13,3
5	3,2	36	„	14,7
6	3,2	34	„	10,2
7	4,0	42	„	21,7
8	4,0	40	„	23,5
9	4,0	38	„	25,5
10	4,8	47	„	30,0
11	4,8	46	„	31,0
12	4,8	45	„	32,0

სირბილის პროგრამა

კვირა	დისტანცია კმ	დრო წთ	მეცადინეობის სიხშ. კვირაში	ქულები კვირაში
1	1,6	18	5	5,3
2	3,2	36	4	14,7
3	4,8	54	3	18,00
4	4,8	52	4	25,6
5	3,2	26	4	24,9
6	3,2	24	„	28,0
7	3,2	22	„	31,6
8	3,2	20	„	36,0
9	4,0	27	„	41,0
10	4,0	25	„	48,0
11	4,8	32	„	51,5
12	4,8	30	„	51,0

ყოველი მხრიდან

ქეცბაია იყიდება!

ქართველი ლეგიონერი თემურ ქეცბაია ინგლისის „ნიუკასლმა“ ტრასფერაზე დააყენა და მასში ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი მოითხოვა. — იტყობინება „Novosti.Ru“.

ჩვენებური კაცი შოკშია კლუბის ხელმძღვანელობის ასეთი გადაწყვეტილებით.

— კლუბს არ უჩვენებია, რომ მე შევდივარ 22 წამყვან ფეხბურთელთა რიცხვში, ამ დროს კი, ჩემში ასეთი ფულის მოთხოვნა? ეს ხომ უბრალოდ, ბოდვაა, — განაცხადა თემურმა.

იტალიის ცის ქვეშ

იტალიის ქალაქ მონტეკატონი-ტერმეევში დაიწყო საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც უკვე მეცხრედ იმართება. ფესტივალის პროგრამაშია მე-17 კატეგორიის დიდოსტატთა ტურნირიც, მასში სხვა ცნობილ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობს ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილიც.

უკვე გაიმართა სამი ტური. პირველ ტურში ზურაბმა ალექსი შიროვი (ესპანეთი) დაამარცხა, მეორე ტურში სომეხ არტაშეს მინასიანს დაუზავდა, მესამე ტურში კი პოლანდიელ იერუნ პიკეტთან დამარცხდა.

სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულით ლიდერობს კვარტეტი: ევგენი ბრეევი (რუსეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), პიკეტი და სერგეი რუბლევსკი (რუსეთი). შემდეგ მოდის ზურაბ აზმაიფარაშვილი 1,5 ქულით. ლჟუტიანსა და შიროვს — თითო, ნახევარი ქულა აქვს არტაშეს მინასიანს (სომხეთი).

მილიონი ერთ თამაშში

უმდიდრესი ხალხის მეფესებითაც კი ასეთი ჰონორარი — ერთი მილიონი გირვანქა სტერლინგი — მხოლოდ ერთ თამაშში ძალზე მაღალი ფასია! მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ასეთი თანხა გადაუხადა ამხანაგურ მატჩში მონაწილეობისათვის მსოფლიოს გოლფის საუკეთესო მოთამაშეს ტაიგერ ვუდსს ინგლისელმა მულტიმილიონერმა ჯო ლუისმა. შეხვედრა უნდა გაიმართოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ორლანდოს მახლობლად.

63 წლის ინგლისელის ჯო ლუისის ქონება 2 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. იგი გამდიდრდა ვალუტის და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ოპერაციებით, ახლა ჯო დიდადაა დაინტერესებული სპორტით. მისი კომპანია „ენიკი“ აკონტროლებს ისეთ საფეხბურთო კლუბებს, როგორიცაა ათენის „აეკ“-ი; იტალიური „ვიჩენცა“ და პრაღის „სლავია“.

ლონდონის მკვიდრს უხობს საქმეები ატრიალოს არა დიდბრიტან თავის სამშობლოში, არამედ დაბეგვრის „სამოთხეში“, — ბაგამის კუნძულებზე, სადაც მას 15 მილიონ გირვანქად ღირებული ვილა აქვს, წყალში კი ტივტივებს მისი 100-მილიონიანი იახტა.

ყოველივე ეს ჯო ლუისმა 15 წლიდან მოიპოვა, როცა სკოლა მიატოვა და ლონდონის ისტ-ენდის რაიონში ოფიციანტობა დაიწყო.

რაც შეეხება გოლფის ვარსკვლავს ტაიგერ ვუდს და მის კოლეგას ო'მეერს, მათ ეს წინადადება ისე მოეწონათ, რომ გადაწყვიტეს, შეხვედრის დროს გოლფის უფასო გაკვეთილებიც მოაწყონ და საზეიმო სადილიც გამართონ.

სურათზე: თამაშობს მსოფლიოს გოლფის ვარსკვლავი ტაიგერ ვუდსი.

კიდევ ერთი

რუსეთის კრივის ისტორიაში ერთი ახალი ფურცელი ჩაიწერა: გაიმართა პირველი ორთაბრძოლები რუსეთის ჩემპიონის წოდებაზე ქალ-პროფესიონალთა შორის. ეს საპატიო წოდება 22 წლის ანასტასია ტოკტაულოვამ მოიხვეჭა. ათრაუნდიან ბრძოლაში (თითო რაუნდი 2 წუთს გრძელდებოდა) მან დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ანასტასიას პროფესიულ რინგზე 7 ბრძოლა აქვს გამართული (4 გამარჯვება), მისი მეტოქისათვის ეს დებიუტი იყო პროფესიულ ასპარეზზე. თუმცა, სამოყვარულო კრივში ოქსანა ვასილიევა 2000 წლის ევროპის თასის მფლობელიცაა და ქვეყნის 1999 და 2000 წლების ჩემპიონიც, და კიდევ, მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსინგში ახალგაზრდებში.

კრივში ვარჯიში ახალმა ჩემპიონმა 2 წლის წინათ დაიწყო. იქამდე კარატე-კიოკუშინკაის მისდევდა და ჩემპიონიც კი გახდა.

ახლა ანასტასია ჯერ ევროპის ჩემპიონობაზე ოცნებობს, შემდეგ კი, ალბათ, გამოჩენილი მოკრივეების მოჰამედ ალისა და ფრეზერის ქალიშვილებთან შებრძოლებაზეც იფიქრებს.

სურათზე: უტევს ქალთა კრივის ახალი შენაძენი — რუსეთის პირველი ჩემპიონი ანასტასია ტოკტაულოვა.

სპორტის რედაქცია.

ალბომში

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

საოჯახო ალბომში შემონახული ეს ფოტო 1941 წლის 22 ივლისს, ომის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ არის გადაღებული. დათო ფაილოძე თანატოლ ჭაბუკებთან ერთად მარტვილიდან თბილისში ჩამოიყვანეს და ფრონტზე გასამგზავრებლად გაამზადეს. ეს სურათი ბიცოლამ, ნინა გაბისონიამ მულიშვილთან ერთად გადაიღო. მალე სამწუხარო ცნობა მიიღო ოჯახმა:

„თქვენი შვილი როსტოვისათვის გამართულ ბრძოლაში უგზო-უკვლოდ დაიკარგა".

სურათი მოგვაწოდეს ლანდა ბაბისონიამ და მურმან ფაილოძემ.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.

ქორწილია, ქორწილი...

გაიხარა დიდმა სანათესაომ

ამ ახალგაზრდებმა შვიდი წლის წინათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველ კურსზე გაიცნეს ერთმანეთი.

ეკა იოსელიანი ტყიბულიდან გახლდათ, ზაზა ბროლაძე მკვიდრი თბილისელია. მყარი გამოდგა უნივერსიტეტში დაწყებული მათი მეგობრობა... გაჩნდა დიდი გრძნობა და...

... ახლახან, თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაში ჯვრისწერით დაკანონდა მათი ცოლქმრული კავშირი.

... ეკა სკოლის წლებიდან იყო ჭადრაკით გატაცებული და არა მარტო ტყიბულში, საქართველოში ნიჭიერ მოჭადრაკედ იცნობდნენ. ეკამ სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრებასთან ერთად, აქვე, პარალელურად იურიდიული განათლებაც მიიღო და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში დაიწყო მუშაობა, მისმა რჩეულმა — ახალგაზრდა ეკონომისტმა ზაზამ კი სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკროეკონომიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ეკონომიკის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტობა ადვილად შეუთავსა საგადასახადო სამინისტროში სამსახურს. ოჯახის შექმნითაც გაახარა ნათესავ-მეგობრები, ახლობლები...

ეკას სახით საოცრად მოსიყვარულე წევრი შეიძინა ბროლაძეების ქართულ ტრადიციულ ოჯახში; ასევე მისი ბედნიერებით გაიხარეს ტყიბულშიც, დედოფლის დედამ, პედაგოგმა ნათელა იოსელიანმა და მთელმა მისმა სანათესაომ. ნეფე-დედოფლის ორივე მხარემ ფუძე დაულოცა ახალგაზრდა ოჯახს, შვილთა სიმრავლე და სულიერი ცხოვრების სისპეტაკე უსურვეს...

ნანა რაზმაძე,
ტყიბული. გაზეთ „ოკრიბის" კორესპონდენტი.

სურათზე: ნეფე-დედოფალი ჯვრისწერის დროს.

ავტორის ფოტო.

ღვაწლი

შრომაში განვლილი წლები მართლაც მისი სიმდიდრეა

ალიარება, დაფასება, გარშემომყოფთა პატივისცემა თავისით არ მოდის. ამისთვის, ბევრ სხვა რამესთან ერთად, წლების მანძილზე მუხლჩაუხრელი და კეთილსინდისიერი შრომა, სიკეთის უანგაროდ თესვა, ის საუკეთესო ადამიანური თვისებებია საჭირო, უხვად რომ უნდა ამკობდეს პიროვნებას.

სწორედ ასეთია ქალბატონი ლელი ქერქაძე, რომელმაც თითქმის ყველა საფეხური გაიარა უბნის ექიმიდან კათედრის გამგემდე.

ძნელიც კი არის მისი ყველა ტიტულისა თუ ხარისხის ჩამოთვლა. ეს ღვაწლმოსილი პედიატრი გახლავთ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის საბჭოს წევრი, პროფესორთა საბჭოს წევრი, რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო ასოციაციის — „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" — საბჭოს წევრი, ღირსების ორდენის კავალერი...

ყოველივე ზემოჩამოთვლილი ადასტურებს მისი, როგორც მკურნალის, მეცნიერისა და პედაგოგის დამსახურებას, მაგრამ ვერანაირი ხარისხითა თუ წოდებით ვერ შეაფასებ ქალბატონ ლელის ადამიანურ სიმდიდრესა და ღირსებას. იგი მოსიყვარულე, გულთბილი, სიმართლისათვის მებრძოლი, ერთგული, უანგარო, თავმდაბალი ქალბატონია, გარშემომყოფთ მუდამ ხალისით ავსებს, მის ცხოვრებას წითელ ხაზად გასდევს ოპტიმისტური ფრაზა „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება".

ქალბატონი ლელი მორალურად გაუხზარავი ადამიანია. ამიტომაც მის სამეგობროში ვერ შეხვდებით მოშურნეებსა და კაცთმოძულეებს. მისი ტკბილი სიტყვა და სათუთი მოფერება განკურნების ტოლფასია. ქვეყნის ტკივილით ტკივა გული, მისი სიხარულით ხარობს.

საოცრად უყვარს თავისი საქმე, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. ყველაზე მეტად ადამიანში სიზარმაცეს, უპასუხისმგებლობას და უმადურობას ვერ ეგუება. ამიტომ არასოდეს პატიობს თავის სტუდენტებს, რომელიმე მათგანს თუ შეამჩნია ეს თვისებები.

განსაკუთრებული სიფაქიზით ეკიდება პატარა პაციენტებს, რომელთაც, აგრეთვე, ძალიან უყვართ „ლელი ექიმი" და ყოველთვის უცრემლოდ მიდიან მასთან. მისი კაბინეტიდან მადლიერი მშობლები ყოველთვის იმედიანი ღიმილით გამოდიან.

მუდამ ბოლომდე იხარჯება, თავს არ ზოგავს, მაგრამ მაინც შესაშური ენერგია და შემართება აქვს. ამიტომაც დღესაც ადრინდელი აქტიურობით იღვწის მეცნიერებასა და პედაგოგიკაში, მრავალი საზოგადოებრივი დატვირთვაც აკისრია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 8 საკანდიდატო და ერთი სადოქტორო დისერტაცია.

ის არის 200-მდე სამეცნიერო ნაშრომის და ორი სახელმძღვანელოს ავტორი. მრავალჯერ წარმოადგინა ქართული პედიატრიული სკოლა უცხოეთში კონგრესებზე.

ქალბატონი ლელისთვის ამქვეყნიური ფუფუნება არასოდეს ყოფილა მთავარი. ის უდიდესი სულიერი საყრდენის მქონე მეცნიერია. იაფფასიანი პოპულარობა და ყალბად ნაძიები ორიგინალობა შეუთავსებელი მცნებებია, უბრალოება და სისადავე კი ცხოვრების ნორმაა მისთვის.

ნაყოფიერ შრომაში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ხალხის სამსახურში განვლილი წლები, ცნობილი სიმღერისა არ იყოს, მართლაც, მისი სიმდიდრეა, დამსახურებული აღიარება რომ მოუტანა ამ ღვაწლმოსილ ადამიანს.

საიუბილეო თარიღს გილოცავთ ქალბატონო ლელი, მრავალჟამიერ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებას გისურვებთ თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში.

რამაზ ხეცურიანი,
საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;

თამაზ ჭურაძე,
საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს პედიატრიის ასოციაციის პრეზიდენტი;

ჟარამან ფალავა,
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიისა და მოზარდთა მედიცინის კათედრის გამგე, საქართველოს მთავარი პედიატრი.

გვწერენ

სიმშვიდის მსახური

იყო დრო, როცა (ოზურგეთში) გურიაში კრიმინალური ბანდები თავისუფლად დათარეშობდნენ, რითაც საფრთხე ემუქრებოდა მშვიდობიან მოსახლეობას, თითოეულ ჩვენგანს, სწორედ ამ დროს რაიონში მხსნელად მოგვევლინა შავი სამყაროს დაუძინებელი მტერი, პროფესიონალი პოლიციელი, გურიის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე. და თუ დღეს უშფოთველად გვძინავს, ეს მისი დიდი ძალისხმევის შედეგი, მისი პროფესიონალიზმის დამსახურებაა, ასეთი ნაღდი პოლიციელები პაერივით სჭირდება დღეს საქართველოს.

ძვირფასო რედაქცია, გთხოვთ, მოგვცეთ საშუალება თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადაევუხადოთ შინაგან საქმეთა მინისტრს კახა თარგამაძეს ასეთი კადრის შერჩევისათვის, ბატონ ვიქტორს კი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს, რათა კვლავაც დიდხანს ასეთი შემართებით ემსახუროს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას.

ბენიამინ ზოზოტიშვილი, ზერმანე ზურზენიძე, ნინო ტიკაძე, მიხეილ ზოიძე, ნანა ვაშაკიძის, ცერცვაძეების, ვაშალომიძეების ოჯახები და სხვები.

ოსტატი

ჩვენი წარსულის ფოტომემატიანე



შალვა გოქაძე

უფროსი თაობის ჟურნალისტები, მეტადრე კი ისინი, ვინც საგაზეთო საქმიანობასთან იყო და არის დაკავშირებული, კარგად იცნობენ შალვა გოქაძეს, ფოტორეპორტიორს, რომლის ნამუშევრები ლამის ექვსი ათეული წელია ქართულ პრესაში იბეჭდება.

მართალია, ახლა იგი ხანდაზმულია და ძველებურად ველარ „დარბის" ფოტომასალების გადასაღებად, მაგრამ დღე ისე როგორ მიილევა, მშობლიური გაზეთის რედაქციაში თუ ფოტოლაბორატორიაში არ შემოიაროს, უამისოდ ვერ ძლებს, ისევ საქმიანობს, ისევ ფუსფუსებს, თავის ფოტოარქივს დასტრიალებს, ასე ზედმიწევნით რომ აქვს დამუშავებული და მოწესრიგებული. დღის მანძილზე ძია შალვას ხან რომელი გაზეთის რედაქციის თანამშრომელი მოაკითხავს ფოტოსათვის, ხან რომელი, ცდილობს ყველას ხელი გაუმართოს და ასეც არის, წუთში აგნებს საჭირო მასალას. ეს ფოტოარქივი კი იმდენივე წლისაა, რამდენისაც მისი ფოტოსაქმიანობა ითვლის — არანაკლებ სამოცი წლისა.

ფოტოსაქმიანობით გატაცება შალვა გოქაძის ცხოვრებაში ადრეულ ბავშვობას უკავშირდება. ყმაწვილობისას ისწავლა გადაღება, მერე სამხედრო სამსახურში ყოფნისას შორეულ აღმოსავლეთში ნაწილის გაზეთში აქვეყნებდა ფოტოებს, როგორც კი დაბრუნდა სამშობლოში, ჯერ გაზეთ „კომუნისტში" იმუშავა, მერე კი, რაც გაზეთი „თბილისი" დაარსდა, იმ დღიდან დღემდე სულ იქ მუშაობს.

შალვა გოქაძეს დღეს ერთ-ერთ პირველ ფოტორეპორტიორად მოიხსენიებენ. ცოტა როდია სამოცი წლის გამოცდილება, რამდენს იტევს მისი ფოტოარქივი, ბევრს ილებდა, ბეჭდავდა, ეძიებდა. ვინ არ გადაუღია ამ ხნის მანძილზე, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები თუ შრომის გმირები, სახელოვანი მამულიშვილები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მის ფოტოობიექტივს რამდენი დადებითი თუ უარყოფითი ფაქტი, მოვლენა აღუბეჭდავს ფირზე, როგორც თავად ამბობს ყველა ნეგატივი შენახული აქვს, — ასე, მილიონამდე მაინც იქნებაო.

ძია შალვა ჩვენი წარსულის ფოტომემატიანეა. ეს ფოტოებიც სწორედ მისი არქივიდან არის. მათზე აღბეჭდილია ცნობილი იუგოსლავიელი საესტრადო მომღერლის ჯორჯ მარიანოვიჩის პირველი ჩამოსვლა საქართველოში და ცნობილი ქართველი მსახიობის თენგიზ ჩანტლაძის სტუმრობა რედაქციაში.

რუსუდან მუხიგულაშვილი.



მილოცვა

გერონტი მიქაძეს — გვეამაყება, რომ შენი ოჯახის წევრები ვართ

ბევრია თუ ცოტა სამოცდაათი წელი?

ალბათ, ბევრია, თუ განვლილ გზას გადახედავ, დაულალავ, გულიან შრომას, კეთილ საქმეებს გაიხსენებ...

ალბათ, ცოტაა, თუ წარმოიდგენ, რამდენი სითბო, ალერსი, თანაგრძნობა გინდოდა გეწილადებინა ყველა გარშემომყოფისათვის.

ბევრია თუ ცოტა, სამოცდაათი წელი გასულა.

გასულა საყვარელი საქმის სამსახურში, სხვისი სიხარულისა თუ ტკივილის გაზიარებაში, ოჯახზე, ახლობლებზე ზრუნვაში.

გილოცავთ დაბადების დღეს!

ამ, თითქოს გაცვეთილ, სიტყვებში დიდი სითბო და სიყვარული გვინდა ჩავდოთ...

სკოლისა და უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შენი სიცოცხლე თანაბრად გაუნაწილე ოჯახსა და სამსახურს, სამსახურს, რომელიც შენთვის ყველაფერია. ერთ საიუბილეო თარიღს მეორეც ავსებს — შრომითი საქმიანობის 45 წელი. ამ წლების აღწერას ერთი პატარა საგაზეთო წერილი ნამდვილად არ ეყოფა.

პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი, იუსტიციის მრჩეველი დღემდე ემსახურები საქართველოს გენერალურ პროკურატურას, შრომასა და ენერგიას არ იშურებ, რათა საყვარელ საქმეს სანაქებო ცვლა გამოუზარდო. შენმა პიროვნულმა ღირსებებმა უდიდესი როლი ითამაშა ვაჟიშვილის პროფესიის განსაზღვრისას. წელს კი საუკეთესო საიუბილეო საჩუქარი მოგიძღვნა შვილიშვილმა: იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ეს უკვე ოჯახურ ტრადიციას ნიშნავს.

გიცქერთ ამაყ, ჯან-ღონით სავსე, კეთილშობილ კაცს და გვემაყება, რომ შენი დიდი ოჯახის წევრები ვართ.

ღიმილის დოზა

მისდევდა კაცი დაძრულ ტრამვაის. დაუსხლტა ფეხი და გუბეში ჩავარდა.

ჩაუარა სხვა კაცმა:

— შენ გგონია ცურვით მიასწრებ?

* * *

დილით გამეღვიძა და გავიფიქრე:

— რატომ არ უნდა წავიდე სამსახურში?

და არ წავედი.

* * *

დისკოთეკაზე:

— ცეკვისთვის გმადლობთ, ქალიშვილო.

— რომელი ცეკვისთვის? მე გასასვლელისკენ მივდიოდი.

* * *

ხაიმი და ნათანი გვიან ღამით შინ ბრუნდებიან. უცებ შენიშნავენ საეჭვო გარეგნობის ორ სუბიექტს:

— ნათან, — ეუბნება ხაიმი ნათანს, — მოდი მეორე მხარეს გადავიდეთ. რაც უნდა იყოს, ისინი ორნი არიან, ჩვენ — ერთნი.

* * *

ერთი კანტორის მუშებმა გამოიგონეს სპირტი, რომელსაც სუნი არ ჰქონდა, მაგრამ ათრობდა, როგორც ნამდვილი სპირტი.

უფროსი კარგა ხანს ვერაფერს ამჩნევდა. ბოლოს მიხვდა, გამოიძახა მუშები და ეუბნება:

— დღეიდან ოფიციალურად ნებას გრთავთ სამუშაო საათებში სვათ არაყი, რადგან მართებულია ჩვენს კლიენტებს საქმე ჰქონდეთ მთვრალ სპეციალისტებთან, ვიდრე ფხიზელ იდიოტებთან.

ტელევიზია — ოთხშაბათი, 2 აგვისტო

08.00, 13.00 ალიონი 09.30 აერობიკა 09.45, 21.00 „შავი მარგალიტი" 10.30 „თავვზე ნადირობა" 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00 მოამბე 12.50, 19.35, 21.50 უ-თუ-ოდ 14.30 ჯემი 15.10 ბავშვები, უპირველეს ყოვლისა 15.25 „ცისფერი ჟინული" 17.05 ქართ. დოკ. ფ. 18.15 „უჩარჩოოდ" 18.55 „ნაპოლეონი" 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.50 „ვიდეოპატრული-02" 22.00 ვესტნიკი 22.25 მრავალსახეობა 22.55 „ეკო-დაიჯესტი" 23.20 „კომუნიკატორი" 00.35 „ეს საქაველო".

19.00 ინფორმაცია 19.30 „სენტროპე" 20.20 მულტფილმი 20.40 „ამერიკელი მეძალთანე" 22.30 შეიდეული 22.55 „დამსხვრეული გულები".

07.00 მუსიკა. 07.30 მულტფილმები 08.00, 12.00, 15.00 კურიერი 08.55 „ლაბირინთი" 09.50 „საიდუმლო მასალები" 10.40 „ალფი" 11.10 „სიყვარულის სახელით" 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფ. 18.00, 21.00, 22.50, 01.55 კურიერი 18.20 „ლუისი და კლარკი" 19.00 „მოდელების აკადემია" 19.30 „ალფი" 19.55 „სიყვარულის სახელით" 21.50 „საიდუმლო მასალები" 23.50 „დამანგრეველი" 02.05 კლასიკა.

იბერია 09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი" 09.15 „სტუდია დიალოგი" 10.00, 19.20 „ქალაქი" 10.25 ქართული პანგები 10.35, 21.10 „ყველა ჩემი შვილი" 11.20 მხ. ფ. „ოვაცია" 19.00, 22.00 ახალი ამბები 19.45 მუს. ტალღა 20.45 ძვ. პანგები 22.30 მხ. ფ. 00.00 „ნოსტალგია" 00.25 მხ. ფ.

14.00, 21.30 „მილედი" 14.45 მულტ. ფ. 15.25 „შოკი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღე" 17.15, 23.50, 01.10 მუსიკა 17.30 მულტ. ფ. 18.00 „მოფერე სპორტი" 19.20 სტუდია „სპექტრი" 21.00 „ვარსკვლავები" 22.15 „ლამაზი ცხოვრება" 00.20 „მთიელი" 01.05 „რასემონი".

ევრიკა 11.00, 18.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 „ღამის ვარსკვლავი" 14.00 „სვირინგიანი" 17.15 „კასანდრა" 18.30 დოკ. ფ. 19.00 საუბრები „მწვანე ბუხართან" 20.30 მუსიკალური გადაცემა „მელომანი" 21.00 „კუნ-ფუს დიდი ოსტატი" 22.30 მუსიკა 22.40 „დუელიანტები".

08.00 „ტონიკი" 10.30 „ბითლზი: 4 პლიუს 1" 12.10, 20.30, 22.25, 00.40 კლიპმიქსი 14.00 კონცერტი 18.00 მულტფილმი 19.00 „ბუნების მბრძანებელი" 20.45 „ძალიან ცუდი საქმეები" 22.40 „თამაში მეხსიერებით" 00.55 „პავერდის საგადო" 02.35 ნონ-სტოპი.

09.00 ინფორმაცია 09.10, 18.10 „ტეიკ ვეორის მულტფილმები" 09.30 „მიზრენიდ" 11.00, 12.55, 21.00, 22.05, 00.10 მუსიკა 11.20 დოკ. ფ. 13.10 „გამოსასყიდი" 15.10, 18.35 „დისქავერი" 15.40 „გაქცევა შაუშენკოდან" 18.00 საინფორმაციო პროგრამა 20.30 საინფორმაციო პროგრამა 21.15 „სრულიად საიდუმლოდ" 22.20 „გველის თვალები" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.30 „მეცხრე კარიბჭე".

09.30 „დღე" 10.00, 18.30 მულტფილმები 11.00 „ფიროსმანი" 12.30 „მიმოდრამა" 12.40 „მკვდრების გაცოცხლებისას" 14.45 მუს. კოლაჟი 15.00 „ერთგული ბული" 17.30 კონცერტი 19.30 „არაჩვეულებრივი გამოფენა" 21.05 დოკ. ფ. 22.00 „დღე" 22.35 „ინგლისელი პაციენტი" 01.10 მუსიკალური კოლაჟი 01.20 „ბრძნულებზე ნადირობა".

თითქმის ნატურიდან

ხვალვე დაგიკონტაქტდებით...

— უნდა იჩქაროთ, თუ თვითმფრინავი შეივსო, შეიძლება ხვალვე გაემგზავროთ, — უთხრა ნუგზარს კომპანია „პეჩუნი-მენჩუნის" ვიწრო ოფისში კონდიციონერს მიწეპებულმა წენგოსფერლოყებიანმა ქალიშვილმა, რომელიც ქართულად ბასკური აქცენტით მეტყველებდა.

— საგზურის ფული წინასწარ უნდა გადავიხადო?

— რა თქმა უნდა, გარანტირებული უნდა ვიყოთ, რომ არ გადაიფიქრებთ. ჩვენი მხრივ არაფერში დაგალალატებთ. კონტუნო, სადაც თქვენ ტურისტული საგზურით დაისვენებთ, ხმელთაშუა ზღვის თვალმარგალიტია, დიდებული პლიაჟებითა და ფეშენებელური სასტუმრო-რესტორან-კაფეებით. კლეოპატრას, აბა, რა შეემლებოდა, თურმე მთელი ცხოვრება იმ პლიაჟზე ნებივრობდა.

არც ეკასა აქვს ნაკლები გემოვნება, გაიფიქრა ნუგზარმა, მართალია ცოლობაზე ჯერჯერობით ვერ დაითანხმა, მაგრამ კონტუნოს რომ გაიგებს, იცის სული აუკაწკაწდება. ნუგზარსაც რა ენაღვლება, მთელი ორი კვირა ერთად იგრიალებენ და პლიაჟზეც ერთად იგორავებენ.

რახან თქვა, შეასრულა კიდეც — ეკა შეიპირა და საგზურები სასწრაფოდ შეიძინა. წენგოსფერლოყებიანმა ქალიშვილმა დაამედა — ტელეფონით დაგიკონტაქტდებით (ნუგზარმა ეს სიტყვა პირველად ტელევიზორით მოისმინა და მაშინვე მოეწონა) და გასვლის თარიღს თავად შეგატყობინებთო.

გავიდა სამი დღე, ხუთი, მთელი კვირა, ტელეფონი კი დუმდა. ნუგზარმა მობილური აიღო და დარეკა.

— არ შეგეშინდეთ, რეისი ჯერჯერობით გადაიდო, — აუწყეს „პეჩუნი-მენჩუნის" ოფისიდან.

— რა მიზეზით გადაიდო?

— მგზავრები ვერ შეგროვდა, რაღაც 5 კაცი გვაკლია, შეივსება თუ არა ტურისტული ჯგუფი, მაშინვე დაგიკონტაქტდებით.

გავიდა მეორე კვირაც. ნუგზარმა ველარ მოითმინა და თავად დაუკონტაქტდა.

— იცით, რეისი ისევ გადაიდო, — ამცნო შეწუხებულმა ხმამ „პეჩუნი-მენჩუნის" ოფისიდან.

— როდისთვის?

— ზუსტად ვერ გეტყვით, ორ დღეში ყველაფერი დაზუსტდება და დამატებით დაგიკონტაქტდებით.

— თუ შევბულება თქვენთან დაკონტაქტებაში გავატარე, როდისღა დავისვენო? — შეკადრა მორიდებით ნუგზარმა.

— რა ვქნათ, ბატონო, ჩვენც ენერგიულობთ, მაგრამ საკუთარ თავს ვერ გადავახტებით. აქედან, როგორც იქნა, შეივსო ჯგუფი, მაგრამ იქიდან წამომსვლელები ვერ შეგროვდა.

— ეგ რა ჩვენი საქმეა?

— აბა, როგორ გინდათ, მგზავრების გულისთვის ფირმას ხომ არ გავაკოტრებთ?

— ?!

სამი კვირის თავზე ნუგზარი ისევ დაუკონტაქტდა წენგოსფერლოყებიანს.

— ვერაფრით განუგეშებთ, რეისი კვლავ გადადებულია.

— ისევ იქიდან წამომსვლელთა მიზეზით?

— არა, იქიდან წამომსვლელთა ჯგუფი შეივსო, მაგრამ ახლა აქედან წამსვლელები დაგვეფანტნენ.

— რატომ?

— ბევრს შვებულება დაუმთავრდა და გადაიფიქრა.

— ეტყობა, ველარც მე წავალ, ფული დამიბრუნეთ, — მოუჭრა ნუგზარმა.

— ფულს დაგიბრუნებთ, მაგრამ საგზურის ღირებულების მხოლოდ ნახევარს.

— რატომ ნახევარს?

— ნუთუ ამას კითხვა უნდა? რეისები ჩვენი კი არა, მგზავრების მიზეზით ჩაიშალა და ზარალიც თქვენ უნდა გაინაწილოთ. ხომ ხედავთ, რამდენს ვმუშაობთ, ვწვალობთ და რაღაც გროშებიც არ გინდათ დაგვრჩეს?

სხვა რა გზა იყო, ნუგზარმა კვირის თავზე განახევრებული თანხის ასაღებად „პეჩუნი-მენჩუნის" ოფისში შეიარა. გამოკეტილ კარზე განცხადება იუწყებოდა: „თბილისურმა სიცხემ ნამეტანი შეგვაწუხა და კომპანიის მუშაკები ანტალიაში გადავფრინდით. ტურისტები წლევანდელი საგზურებით მომავალ წელს (თუ, რა თქმა უნდა, რეისები შეივსო) კონტუნოში უსიკვდილოდ გაემგზავრებიან".

ოთარ ხუციშვილი.

ანეკდოტი თემაში

ცოლი ქმარს კურორტზე აცილებს და ეუბნება:
— ძალიან გთხოვ, ფული არ დახარჯო იმ საგნებში, რომლებიც შინ უფასოდ გაქვს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ამავე გაზეთის ყოფილ საკუთარ კორესპონდენტს გივი გეწაძეს მეუღლის

ნათელა ენუქის ასული
დუშუაშვილი-გეწაძის

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა ქ. ტყიბულში, 5 VIII, შაბათს. გამოსვენება გელათის ქ. №14-დან, 3 საათზე.

საქინფორმის კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ყოფილი კორესპონდენტი კეთილშობილი პიროვნება და უღალატო მეგობარი

თამაზ გვაზავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ძმისწულები დოდო, თამაზი, გია ნეფარიძეები ოჯახებით, რძლები ელენე დონაძე, ნანი ნიშნიანიძე და მაყვალა ხუციშვილი, ძმისშვილიშვილები გოჩა, თეა, ზვიადი, შორენა და ქეთინო ნეფარიძეები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბაბილინა (ბაბულია) ბართლომეს ასული ნეფარიძე

პანაშვიდი 1, 2 VIII, 5 სთ. გამოსვენება 3 VIII, 2 სთ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. 18, მე-4 კორპ. მე-2 სადარბაზო, მე-6 სართული, ბინა 51.

სამშენებლო კომპანია „ლიბო პლიუსი"-ის თანამშრომლები იუწყებიან ამავე კომპანიის თანამშრომლის

თომა გაბაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკა"

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი — რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, — 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით — 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა —
PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.